პროლეტარებო ყველა ქვეყნის შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ. ა.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6 500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მანეთი განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 202 სამშაბათი, 4 სექტემბერი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი ფასი 250,000 მან. № 202

დ ღ ი უ რ ი

— იტალიის მთავრობამ, მიუხედავათ იმისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა საბერძნეთთან არ შეუწყვეტია, დაიწყო სამხედრო მოქმედება. იტალიის [illegible] საბერძნეთის სხვა კუნძულები.

გაზეთების ცნობით, იტალიას განზრახვა აქვს სამუდამოთ ჩაიგდოს ხელში საბერძნეთის კუნძულები, რომ ამით თავისი ჰეგემონია დაამყაროს ხმელთა შუა ზღვაში.

— მემარჯვენე პარტიები სასტიკ კამპანიას ეწევიან შტრეზემანის კაბინეტის წინააღმდეგ. „ტევტონური პარტიის“ გაზეთები აგიტაციას ეწევიან სამხედრო დიქტატურის სასარგებლოდ.

დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს

სამშაბათს, 4 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე,
დანიშნულია
ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი პ. ხაბაშვილი.

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ს. ა. კ. კ. ცეკას დადგენილებით, 15 ენკენისთვისათვის ქ. ტფილისში მოწვეულია მორიგი—მე-6 (მე-3-მე ლეგალური) სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის

ყრილობა

ყრილობაზე დასმულია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება ს. ს. რ. კ. საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე.
2) ს. ა. კ. კ. ცეკას ანგარიში.
3) საქ. ახალ. კომუნისტური კავშირის ამოცანები.
4) სასკოლო აღმშენებლობა.
5) ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა.
6) ცეკას არჩევნები.

ყრილობაზე იმუშავებენ სექციები.

ა) საორგანიზაციო.

1) კავშირის აქტიურ შემადგენლობის მომზადება.
2) წითელ ჯარში და წვევამდელთა შორის მუშაობა.
3) ს. ა. კ. კ. სტრუქტურა.
4) ს. ა. კ. კ.-ში ფიზიკური კულტურის საქმის განვითარება.
5) ქალთა შორის მუშაობა.
6) ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა.
7) საღრიცხვო, საინფორმაციო და სასტატისტიკო საქმის დაყენება.
8) მუშაობა მოწაფეთა შორის.

ბ) სააგიტაციო საპროპაგანდო.

1) პოლიტ. განათლების სისტემა.
2) აქტივისტების თვითგანვითარება.
3) ყოფაქცევის ნორმების გამომუშავება.
4) სოფლათ მუშაობა.
5) საპროპ. კოლექტივების მუშაობა.
6) კომკავშირის პრესა.

გ) ეკონომიური.

1) მუშათა ახალგაზრდობის ტარიფი.
2) უმუშევრობა.
3) ქალაქად და სოფლად პროფესიონალური მუშაობა.
4) სასოფლო-სამეურნეო განათლება.
5) მუშათა ახალგაზრდობის სკოლები.
6) ტრანსპორტზე მუშაობა.

წარმომადგენლობის ნორმა: 150 ამომრჩევი გზავნის 1 დელეგატს.

ს. ა. კ. კ. ცეკას მდივანი: გ. დევდარიანი.

საბერძნეთ-იტალიის ომის მოლოდინში

შეგვიძლია უკვე ვთქვათ, რომ ამ „მოლოდინშიც“ თითქოს აღარ ვართ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზარბაზნებმა უკვე იჭექეს. პირველი შეტაკება კუნძულ კორფუზე, რომელსაც შეესია იტალიელები, გაგრძელდა თითქმის ერთი საათი და მას, ბუნებრივია, მოჰყვა მსხვერპლიც.

კუნძული დაჭერილია.

საომარი მდგომარეობის შესახებ ორ სახელმწიფოთა შორის ჩვეულებრივი დეკლარაცია ერთი ან ორივე მხარის მიერ ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ როგორც პირველი ენერგიული ნაბიჯი ფაშისტური მთავრობის საბერძნეთის ფაქტიურ მფლობელობაში ჰყოფ ერთ კუნძულზე, ისე ის გამოხმაურება და ერთნაირი პანიკა, რომელსაც ვამჩნევთ მიღებულ რადიოების თანახმათ ევროპის ზოგიერთ ცენტრებში ყველა ეს სიმპტომატიურია საკმაოთ და მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ ვუახლოვდებით თუ არა ისეთ მომენტს—ჯერ ამის ნიშნები არ არის—რომელიც შეაძრევს სარაევოსებურათ მთელ მსოფლიოს, ყოველ შემთხვევაში ისეთს, რომელიც სხვა მსგავს „ენერგიულ ჟესტებთან“ ერთათ რაზმავენ სახელმწიფოებს ახალ შეხლა-შემოხლებისათვის.

საბერძნეთ-იტალიის შორის დაწყებული კონფლიქტის გამოსავალი წერტილი ოფიციალურათ არის ის, რომ საბერძნეთის საზღვრებთან მოკლულ იქნა ხუთი იტალიელი, სამხედრო პირები, წევრები კომისიის, რომელსაც დავალებული ჰქონდა საბერძნეთ-ალბანეთის საზღვრების გარკვევა. რასაკვირველია, არავინ არ დაიჯერებს, რომ მუსოლინის მთავრობა, რომელმაც „ტახტი“ დაიკავა ასეულ და ათასეულ იტალიელთა ცხედრებზე გავლით და რომლის მიმდევარი სტიქიაა სწორეთ მკვლელობა, სისხლის ღვრა, პოგრომები თავიანთვე თანამემამულეების, რომ ასეთი მთავრობა არაჩვეულებრივ მგრძნობიარე შეიქნა იტალიელების დაღუპვის გაგონებაზე. ეს, რასაკვირველია, ასე არ არის. და გარდა ამისა, როგორადაც დანაშაული არ უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარე, ყოველთვის შესაძლებელია მსგავს შემთხვევებში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება. ამის მაგიერ იტალია უგზავნის საბერძნეთს ისეთ ულტიმატუმს ხასიათის მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს მხოლოთ ქვეყანამ, ომში დამარცხებულმა ან და ისეთმა, რომელმაც „გადასწყვიტა“ დაჰკარგოს ყოველგვარი ნიშანი დამოუკიდებლობის და საერთაშორისო პრესტიჟის.

ხუთი იტალიელ სამხედრო პირის მოკვლა—ეს საბაბი შეიქნა იტალიელ ფაშისტებისათვის გამოიყენონ შემთხვევა თავიანთი რეჟიმის შინაურ და საგარეო მდგომარეობის განამტკიცებლათ.

ინტერესთა წინააღმდეგობა საბერძნეთ-იტალიის შორის იმავე ალბანეთის „მემკვიდრეობის“ შესახებ ახალი არ არის. ორი უმთავრესი ადგილობრივი მეტოქე ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე, რაიმე გლახათ მდებარე ადგილის ხელში ჩასაგდებათ, იყვნენ ეს ორი მონაპირე სახელმწიფო. როგორც პირველი ისე მეორე ბალკანეთის ომის შემდეგ არა ერთხელ ყოფილა დიპლომატიური შეტაკება ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთა განვითარებული აღებ-მიცემობა გზაზე ეხეხებიან ერთიერთმანეთს. სულ უკანასკნელ ხანებში, როდესაც ირჩეოდა ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი, იტალიამ თავისი საკუთარი ანგარიში დაუყენა საბერძნეთს და მიიღო კიდევაც დაკმაყოფილება. მიუხედავათ ამისა იტალია მუდამ ადევნებდა თვალყურს, რათა არ მომხდარიყო „გლახათ მდებარე ადგილების“ ისეთი „გადაჯგუფება“, რომელიც გააძლიერებდა თავის უახლოეს მოქიშპეს. როდესაც ანტანტის ელჩთა კონფერენციის მიერ გადაწყვეტილი იყო სხვათა შორის ალბანეთ-საბერძნეთის საზღვრების გამიჯვნა, იტალიამ მოახერხა ხელთ ეგდო ეს საქმე, რადგან დაინტერესებული იყო საბერძნეთის შევიწროებით, რასაც ის ადვილათ მოახერხებდა ალბანეთის ამოძრავებით მის წინააღმდეგ. ამნაირათ უკვე ძველიდანვე დაწყებული წინააღმდეგობა აშკარა მტრობაში გადაიდა მას შემდეგ, რაც საბერძნეთ-ალბანეთის კონფლიქტის „არბიტრათ“ ელჩთა კონფერენციამ მათდა განსაკუთრებით საბერძნეთს, მოახვია თავზე იტალია. საბერძნეთის ნაციონალისტებში დაიწყო სასტიკი კამპანია წინააღმდეგ იტალიელებისა, რომლებიც მიზნათ ისახავენ სრულ ჰეგემონიას ხმელთაშუაზღვის ნაპირებზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ერთ-ერთი იმ თავსატეხ კვანძთაგანია მსოფლიოს ყველა კუთხეებში გაბნეულ, ზოგან აშკარა, ზოგან კი მიფარულ, წინააღმდეგობათა ქსელების, რომელსაც შეუძლია ცეცხლის ალში გახვიოს არა მარტო კონფლიქტში პირველი შეხედვით უშუალოთ დაინტერესებული მხარეები, არამედ სხვა სახელმწიფოებიც.

დღევანდელი იტალია-საბერძნეთის შეტაკება იძლევა ამის სურათს. ლონდონში დიდი აღელვებაა და რადიოს ცნობით ინგლისი გულხელ-დაკრეფილი ვერ დაიწყებს შორიდან მოთვალიერებას ამ ამბების შემყურე. საფრანგეთი, რომელიც მუდამ ცდილობს იტალიის გულის მოგებას ინგლისის დასაპირისპირებლათ საკონტრიბუციო საკითხში, უკვე იჩენს თანაგრძნობას იტალიასადმი. ამნაირათ იწყება ჩვენს თვალ წინ დარაზმვა ორი სხვადასხვა ინტერესების წარმომადგენლების, რომლებიც დიდი ომის დროს ერთ კოალიციაში იყვნენ მოქცეული.

ძნელია იმის თქმა, რამდენათ შორს წავა ეს პროცესსი და რას უქადის კაცობრიობას „ხვალინდელი დღე“, მაგრამ ერთი ცხადია, რომ პერმანენტული იმპერიალისტური სისხლისღვრის ატმოსფეროში არა სჩანს სხვა ძალა გარდა ევროპის რევოლიუციონური პროლეტარიატისა, რომელიც მოწოდებულია აქტიური გამოსვლით ჩააქროს არა მარტო დაწყებული კონფლიქტი, არამედ მიწაზე გაანარცხოს მამოძრავებელი ძალებიც ამ კონფლიქტების.

აგიტაციის და პროპაგანდის საკითხები საქართველოში

IV

გამომცემლობის დარგში საჭიროა სისტემა!

ჩვენს მკითხველს არ ესაჭიროება ლაპარაკი გამომცემლობის მნიშვნელობაზე. მას საკმაოთ ესმის და აქვს შეგნებული ეს. ამიტომ ამაზე შეჩერება არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. აქ ჩვენი გვინდა მხოლოდ შევეხოთ ქართული გამომცემლობის საქმეს; მის ნაკლს და იმას, თუ როგორ უნდა გავაუმჯობესოთ ის. პირველ წერილში ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ ჩვენ გაკვრით შევეხეთ გამომცემლობის საკითხს და აღვნიშნეთ, რომ ეს დარგი ჩვენი მუშაობისა თავის სიმაღლეზე არა სდგას, რომ ქართველ მუშას და გლეხს ჩვენ ვერ მივაწოდეთ დღემდის ისეთი სერიოზული რამე, რომელიც მას მისცემდა მეცნიერულათ დასაბუთებულ წარმოდგენას მსოფლიოზე და ცხოვრებაზე, აშკარათ გახდიდა მისთვის რელიგიის წარმოშობის საკითხს. მაგრამ ეს ცოტაა. მარტო აქ კი არ მოიკოჭლებს ჩვენი გამომცემლობა არამედ სხვა დარგებშიაც. ჩვენ შედარებაც კი არ შეგვიძლია ჩვენი გამომცემლობის რუსეთის გამომცემლობასთან. რა წიგნი გინდათ, რომ რუსულ ენაზე არ იყოს გადათარგმნილი და გამოცემული? საუკეთესო ნაწარმოებნი დასავ. ევროპის მეცნიერებისა გადმოთარგმნილი არის. რუსეთის მკითხველ საზოგადოებას ამით აქვს საშვალება ღრმათ გაეცნოს მეცნიერულ საკითხებს. ჩვენში? ჩვენში ჯერ პირველი ნაბიჯებიც არ გადაგვიდგამს.

ავიღოთ მაგალითები. შევჩერდეთ პოლიტიკურ ეკონომიაზე. რა გამოვეცით ამ დისციპლინიდან? დიდის ვაი-ვაგლახით ბოგდანოვის დაწყებითი და მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა. მაგრამ ეს შრომები ეხებიან სამეურნეო ცხოვრების განვითარების ყველა ეპოქებს დაწყებული პირველყოფილი კომუნიზმიდან. მათ არა აქვთ დასახული **სპეციალური მიზანი**—შესწავლა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მომქმედ კანონებისა. ეს პოლიტიკური ეკონომიის საქმეა და არა ეკონომიური მეცნიერების, რომელიც ბოგდანოვის შრომებში წარმოდგენილია როგორც ისტორია სამეურნეო ცხოვრების ფორმების განვითარებისა. აშკარაა ეს გამოცემები ვერ დააკმაყოფილებს დღეს ჩვენს მკითხველთ, ჩვენს საბჭოთა—პარტიული სკოლის კურსანტებს და სხვ. მათთვის მიუწვდომელ ხილად რჩება სხვა კაპიტალური შრომები ამ დარგში. ვინც რუსული ენა არ იცის, ის ვერასოდეს ვერ მოახერხებს წაიკითხოს მარქსის „კაპიტალი“, ენგელსის „ანტიდიურინგი“, ბუხარინის „გარდამავალ ხანის ეკონომიკა“ და სხვადასხვა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჩვენ ჯერაც ვერ შეგვიმუშავებია სწორი სამეცნიერო-ეკონომიური ტერმინოლოგია. ამიტომ ერთი და იგივე ტერმინები სხვადასხვანაირათ ესმით სხვადასხვა მომუშავეთ პოლიტიკური ეკონომიის დარგში.

ჩვენი ლიტერატურა არ არის მდიდარი არც სხვა დარგებში. ისტორიული მატერიალიზმის შესახებ არსებულ ლიტერატურას ქართველი მკითხველები მხოლოდ ციტატებით და ამონაწერებით იცნობენ. ამ ახლო ხანში გამოიცემა მხოლოდ ბუხარინის „თეორია ისტორიულ მატერიალიზმისა“. სხვა სერიოზული და კაპიტალური ნაშრომები გადმოთარგმნილი არ არის. ამავე დროს რუსეთში და სხვა ქვეყნებში ისტორიული მატერიალიზმის პრობლემათა დამუშავება თანდათან წინ მიდის.

ავიღოთ მესამე დარგი. ვთქვათ, ქართველ მუშას ან გლეხს უნდა წაიკითხოს რამე ბიოლოგიიდან, გაეცნოს დარვინის ევოლიუციონურ და სელექციონურ თეორიებს. ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მეტადრე დღეს, როდესაც რელიგიის წინააღმდეგ დიდ შეტევას ვაწარმოებთ. დადებითი მუშაობა ამ დარგში, რელიგიურ ცრუმორწმუნეობათა გაფანტვის დარგში, შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც მშრომელთ მივსცემთ ახალ ჯავაბას ქვეყნის და ადამიანის წარმოშობისას, ვინემ ამას აძლევენ მათ სოფლის და ქალაქის მღვდლები და ბერები. არ კმარა იმის მტკიცებაც, რომ რელიგია ოპიუმია ხალხისათვის. ეს მართალი არის, მაგრამ რევოლიუციონური ეპოქის მიერ გამოღვიძებულ კრიტიკულ აზრს დღეს ეს აღარ აკმაყოფილებს, მით უმეტეს, რომ ქართველი ხალხი უწინაც არ იყო დიდათ მორწმუნე. მას ესაჭიროება მეცნიერული ცოდნა, მეცნიერული დასაბუთება ევოლიუციონური და რევოლიუციონური პრინციპებისა. ეს რომ შევძლოთ, ამისათვის გვესაჭიროება იგივე ადვილი გასაგები წიგნები ბიოლოგიიდან, ასტრონომიიდან და სხვ. ქართულ ენაზე კი ასეთ წიგნებს ძლიერ იშვიათად შეხვდებით. მოიპოვება მთელი რიგი პოპულიარული წიგნებისა ამ დარგებიდან რუსულ ენაზე, რომელთაც ქართული გადმოთარგმნა და გამოცემა ესაჭიროება. რუსულათ კი მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს საშვალება გაიგოს. ერთის სიტყვით, გამომცემლობის დარგში ჩვენ ძლიერ შორს არ წავსულვართ. ამავე დროს მე-12-ტე ყრილობა ჩვენი პარტიისა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაციონალურ ენებზე მარქსისტული და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას. მაშ რაშია საქმე, რა არის მიზეზი, რომ ჯერ-ჯერობით წარმატებით ვერ მიდის გამომცემლობის საქმე? ჩვენ ყველას შეგნებული გვაქვს მნიშვნელობა სამეცნიერო და მარქსისტული გამომცემლობისა, მაგრამ ეს როდი კმარა. **უსისტემობა, გეგმის უქონლობა** ახასიათებდა ამდენხანს ჩვენს გამომცემლობას. **აი ეს უსისტემობა უნდა მოვსპოთ, აი ამ უგეგმობას უნდა მოვუღოთ ჩვენ ბოლო.**

გაკვრით ვიტყვი კვლავ რუსეთზე. მოსკოვში და პეტროგრადში სახელმწიფო გამომცემლობა სცემს აუარებელ წიგნებს. ამავე დროს დიდ აქტივობას იჩენს ამ დარგში კოოპერატიულ წიგნის გამომცემლობა: „მოსკოვის მუშა“, რომელიც თავის წევრებს შეღავათიან ფასებში აწვდის წიგნებს. როგორ არის განაწილებული საგამომცემლო ფუნქციები ამ დაწესებულებათა შორის? თუ სახელმწიფო გამომცემლობა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს სკოლებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემას, მწერალ-კლასიკების და სხვ. გამოცემას, „მოსკოვის მუშა“ უფრო სცემს მარქსისტულ-სამეცნიერო ლიტერატურას, რევოლიუციონურ ბელეტრისტიკას და სხვ. ერთის სიტყვით, უდიდეს დახმარებას უწევს პარტიას, უზრუნველ-ჰყოფს რა მას საბჭოთა-პარტიულ სკოლებისათვის, მარქსისტული წრეებისა და თვითგანვითარებისთვის აუცილებელ გამოცემებით. ყველა დამკვრელ ამოცანებს პარტიისათვის „მოსკოვის მუშა“ ასრულებს. მან გამოსცა აუარებელი, ფრიად სასარგებლო წიგნები და მოიპოვა დიდი პოპულიარობა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებში. მაგრამ ის კონკურენციას როდი უწევს სახელმწიფო გამომცემლობას. არა, ისინი მუშაობენ სრული კონტაქტით, განაწილებული აქვთ რა უმთავრესი ფუნქციები. ასეთი შრომის განაწილება არის აქ საჭირო. სახელმწიფო გამომცემლობამ **უმთავრესათ** ყურადღება უნდა მიაქციოს შრომის სკოლების უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებით, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას. „წითელმა წიგნმა“, ან თუ ეს იქნება სხვა რომელიმე კოოპერატიული წიგნის გამომცემლობა, მიზნათ უნდა დაისახოს „მოსკოვის მუშის“ ფუნქციის შესრულება ქართველი მუშისა და გლეხისათვის. მაგრამ ფუნქციათა ასეთი განაწილება როდი კმარა. საჭიროა გამომუშავება საწარმოვო პროგრამისა მთელი 1923-24 წლისათვის. ყოველ სამეცნიერო დარგში უნდა გვქონდეს **მინიმალური** ბიბლიოთეკა მაინც, ასე მაგალ. ბიბლიოთეკა ანტირელიგიური პროპაგანდისა, ბიბლიოთეკა პოლიტ. ეკონომიისა, ისტორიული მატერიალიზმისა და სხვ. ამაზე საჭიროა სერიოზული მოფიქრება და გეგმის ისე შემუშავება, რომ ელემენტარული, პოპულიარული წიგნაკები მაინც გვქონდეს ქართულ ენაზე სხვადასხვა დარგიდან. ამისათვის საჭიროა შედგენილ იქნას სია გამოსაცემ, აუცილებელ წიგნებისა საბჭოთა პარტიული სკოლებისათვის, თვითგანვითარებისათვის და სხვ. **უსისტემობას** გამომცემლობაში ბოლო უნდა მოვუღოთ და ქართველ მკითხველ მუშას და გლეხს უნდა მივაწოდოთ მისთვის აუცილებელი ლიტერატურა. **გეგმით მუშაობა, აი რა უნდა იქნას ჩვენი ლოზუნგი ქართული გამომცემლობის დარგში.**

ქ. ორაგველიძე.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

იტალია ომისთვის ემზადება.

რომი. 1 სექტემბერი. იტალიის ულტიმატუმის უარყოფა საბერძნეთის მთავრობის მიერ მოულოდნელი არ იყო იტალიის მთავრობის წრეებისათვის; ფაშიზმის მოწინააღმდეგე წრეებიც კი მხარს უჭერენ მთავრობას. **იტალიის ფლოტი მზათ არის ომისათვის; ქვეითა ჯარები ემზადებიან ალბანეთში გამგზავრებისათვის. მთავრობის განკარგულებით, შეწყდა გემთა მიმოსვლა საბერძნეთსა და იტალიას შორის.**

ბურჟუაზიული პრესა აცხადებს, რომ იტალია მზათ უნდა იყოს ყველაფრისათვის. ფაშისტური პრესა სასტიკ კამპანიას ეწევა საბერძნეთის წინააღმდეგ და ემუქრება მას ისეთი ზომების მიღებით, რომელთა შედეგების გათვალისწინება ძნელია; პრესა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **მუსოლინი უარს არ იტყვის არც ერთ მუხლზე და არავითარ დათმობაზე არ წავა.**

პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ იტალიის პირველი რეპრესიული ზომა იქნება საბერძნეთის ზოგიერთ კუნძულების ოკუპაცია, და მათ შორის კუნძულ კორფუსი. იტალიის კაბინეტის სხდომაზე მთავრობის ყველა წევრებმა მოიწონეს მუსოლინის პოზიცია და საბერძნეთის წინააღმდეგ მიღებული ზომები.

გადამწყვეტ მოქმედებების დაწყება.

რომი. 1 სექტემბერი. **იტალიის სამხედრო გემის „პრემუდა“-ს საკომანდო შემადგენლობამ კუნძულ კორფუს სამხედრო ხელისუფლებას მოსთხოვა კუნძულის საჩქარო ჩაბარება.**

კუნძულ კორფუს დაკავება.

ვენა. 2 სექტემბერი. იტალიის მთავრობამ არ მიიღო საბერძნეთის შემარიგებელი ნოტა და ნახევარი საათის სროლის შემდეგ დაიჭირა **კუნძული კორფუ ყუმბარების დაშენის დროს მოკლულია 15 კაცი. საბერძნეთის გემებს ბრძანება მიეცა დასტოვონ კუნძული კორფუ. იტალიის ჯარებმა დაიჭირეს აგრეთვე კუნძული პაქსოსი.**

კორფუს დაკავება ამტკიცებს იტალიის მისწრაფებას ჰეგემონია ჩაიგდოს ხელში ადრიატიკის ზღვაზე და არღვევს დიდ სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილ 1863 წლის ლონდონის ხელშეკრულებას, რომელიც აწესებდა კუნძულ კორფუს გადაცემას ინგლისისა და საბერძნეთისათვის.

ინგლისის პრესა კონფლიქტის შესახებ.

ლონდონი. 1 აგვისტო. პრესა შეწუხებულია იტალია-საბერძნეთის კონფლიქტით, ადარებს მას სარაევოს მკვლელობას და მოითხოვს ერთა ლიგის ჩარევას. „მორნინგ პოსტი“ სიმპატიებს გამოსთქვამს იტალიის მიმართ. სხვა გაზეთები მწუხარებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ იტალიის მთავრობა მეტისმეტათ აჩქარდა.

იტალიის მეორე ულტიმატუმი.

ვენა. 1 სექტ. **საფრანგეთის პრესის ცნობებით, კუნძულ კორფუს დაჭერის შემდეგ, იტალიის ელჩმა ათინაში საბერძნეთის მთავრობას გადასცა მეორე ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვს იტალიის ყველა მოთხოვნილებების შესრულებას ხუთი საათის განმავლობაში.**

იტალია ანგარიშს არ უწევს ერთა ლიგას.

რომი. 3 სექტემბერი. იტალიის მთავრობა უარზე სდგას და არ არის თანახმა იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი ერთა ლიგას გადასცეს. **უარს იმით ასაბუთებს, რომ ლიგაში შესული ყველა დანარჩენი სახელმწიფოები უარს აცხადებენ სხვადასხვა საკითხების გადაცემაზე ერთა ლიგისათვის. ამას გარდა,** იტალიისათვის მიყენებული შეურაცხყოფა იმგვარია, რომ ერთა ლიგის არბიტრაჟი ყოვლად მიუღებელია.

კუნძულების ოკუპაცია.

რომი. 3 აგვისტო **გუშინ დილით იტალიის რამდენიმე გამანადგურებელმა დაიჭირა კუნძულები: პაქსოსი და ანტიპაქსოსი, რომლების კორფუს კუნძულის მეზობლად მდებარეობენ.**

მიზანი და მნიშვნელობა კორფუს დაჭერისა.

რომი. 3 სექტემბერი. რომის გაზეთები აღნიშნავენ, რომ იტალიის ჯარების მიერ კორფუს კუნძულის დაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამის მეოხებით ალბანეთისა და იტალიის შორის მდებარე საზღვაო გზა იტალიის სრული მეთვალყურეობის ქვეშაა მოქცეული. კორფუს კუნძული ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია ამ გზაზე. ამ კუნძულების დაჭერა იტალიას პირველად ეძლევა შემთხვევა სრული კონტროლი გაუწიოს მთელს ადრიატიკას. **იტალიის მოქმედებას ყველგან ისე უცქერიან, როგორც პირველ ნაბიჯს უფრო რთულ პოლიტიკურ გეგმისას, რომლის წყალობითაც იტალია გააფართოვებს თავის გავლენას ბალკანეთის სახელმწიფოებზე და ხმელთა შუა ზღვაში.**

იტალიის ჰაეროპლანები საბერძნეთის სანაპიროებზე.

რომი 3 სექტ. **იტალიის ჰაეროპლანები განუწყვეტლივ დაფრინავენ საბერძნეთის სანაპიროებს.**

მუსოლინის მუქარა.

რომი 3 სექტ. **რომის გაზეთების სიტყვით, იტალიის მთავრობა არ მოითმენს სოციალისტების არავითარ გამოსვლას, რომელიც კი შეაფერხებდა მთავრობის მოქმედებას იტალია — საბერძნეთის კონფლიქტში.**

„გამოცოცხლება“ იტალიის მთავრობის წრეებში.

რომი 3 ოქტომბერი. უკანასკნელი ამბების გამო, მუსსოლინი მთელი ღამის განმავლობაში თავის კაბინეტში იმყოფებოდა. მასთან იყო აგრეთვე საზღვაო და სამხედრო მინისტრები კონტაქტისა და შეთანხმებული განკარგულებების გასაცემად. იტალიის მეფე რომში გამოემართა.

სამხედრო წესები.

რომი. 3 სექტემბერი. „დეილი მეილი“-ის კორესპოდენტის ცნობით, რომიდან ტარტოს ნავთსადგურში (იტალია) საომარი მზადება სწარმოებს. **ჯარის ნაწილი უკვე გემებზე მოათავსეს, მეორე ნაწილი—სრულ საომარ წესზეა გამზადებული.** ტორენტის ნავთსადგურში იტალიის ფლოტს მოელიან სიცილიიდან.

ბერლინი. 3 სექტემბერი **მილანიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთის წყლებისაკენ გავიდა იტალიის კიდევ ერთი ესკადრა.**

დაწვრილებითი ცნობები კორფუს დაკავების შესახებ.

ლონდონი. 3 სექტემბერი. იტალიაში კორფუსათვის ყუმბარების დაშენას ხსნიან იმით, რომ საბერძნეთის ფლოტის უფროსმა უარი სთქვა ნავთსადგურის საღამოს 5 საათამდე ჩაბარებაზე, რის შესახებაც მას მიეცა წინადადება. კერძო ცნობების მიხედვით, კორფუსათვის ყუმბარების დაშენა დაიწყო ვადის გასვლამდე--3 საათზე დ გაგრძელდა 50 წუთს. ლონდონში მიღებული ოფიციალური ცნობით, კორფუს ყუმბარები დაუშინეს იტალიელებმა, რომელთაც მიზნად ჰქონდათ იტალიის საოკუპაციო ჯარებისათვის კუნძულზე გადასვლისათვის ხელის შეწყობა.

ბერლინი. 3 სექტემბერი. ათინიდან მიღებული ცნობით, კუნძულ კორფუსათვის ყუმბარების დაშენის დროს, ქალაქ კორფუზე დაფრინავდენ იტალიის ჰაეროპლანები, რომლებიც ჰყრიდენ ყუმბარებს.

ოკუპაციის მსხვერპლი.

ლონდონი. 3 სექტემბერი. **იტალიელების მიერ კორფუსათვის ყუმბარების დაშენის დროს დაზიანებულია ორი ნავთსადგური და დანგრეული სკოლა. ყველაზე უფრო დაზარალდენ სომეხი ლტოლვილები და ობლები, რომლებიც ბინადრობდენ მთავარი ნავთსადგურის რაიონში. მოკლულია 15 ლტოლვილი.**

პარიზი. 3 სექტემბერი. თანახმად მუსსოლინის მოხსენებისა იტალიის კაბინეტისადმი, იტალიელებმა კორფუს დაკავების დროს დააპატიმრეს 80 კაცი.

გუბერნატორის დანიშვნა კორფუზე

პარიზი. 3 სექტემბერი. იტალიის კაბინეტმა ადმირალი სამონტტი დანიშნა კუნძულ კორფუს გუბერნატორად.

კუნძული კორფუ.

ლონდონი. 3 სექტემბერი. კუნძული კორფუ, იონიის სხვა კუნძულებთან ერთად, 1815 წელს გადავიდა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ. 1864 წელს, 1863 წლის ლონდონის ხელშეკრულების თანახმად, კორფუ, სხვა კუნძულებთან ერთად, გადაეცა საბერძნეთს და ამავე დროს, აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლის ძალით, ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა, ავსტრიის და პრუსიის თანხმობით, იკისრეს კორფუს ნეიტრალიტეტის დაცვა.

ბერლინი. 3 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის განცხადებით, კუნძულ კორფუს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს როგორც ხმელეთით, ისე ზღვით, თვითეულ დიდ სახელმწიფოსთვის, კერძოთ კი ინგლისის საზღვაო ძლიერებისათვის და საბერძნეთის, ალბანეთის და სერბიის მშვიდობიანობისათვის.

რა სურს იტალიას.

ბერლინი. 3 სექტემბერი, „ვესტმინსტერ გაზეტ“-ი აღნიშნავს, რომ იტალიელების მიერ კორფუს დაკავება აიხსნება მით რომ იტალიას სურს სრული თავისი ბატონობის განმტკიცება ხმელთაშუა ზღვაზე.

ინგლისს არ შეუძლია განზე დადგეს.

ბერლინი. 3 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის აზრით, კუნძულ კორფუს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო და კერძოთ ინგლისის საზღვაო ბატონობისათვის მისი მნიშვნელობის მიზეზით, ინგლისს არ შეუძლია შორიდან უყუროს იტალია-საბერძნეთის კონფლიქტს. ამრიგად, ეს კონფლიქტი მიიღებს საერთაშორისო ხასიათს.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

შელახულია საბერძნეთის პრესტიჟი.

ვენა. 1 სექტემბერი. საბერძნეთის პრემიერმა განაცხადა, რომ საბერძნეთის მთავრობა მზადაა დააკმაყოფილოს იტალიის მთავრობის ყველა მისაღები მოთხოვნილებანი,—მოიხადოს ბოდიში და გადაიხადოს ანაზღაურება, მაგრამ არ შეუძლია დაეთანხმოს იტალიის მოთხოვნილებას, რომელიც ლახავს საბერძნეთის პრესტიჟს.

ერთა ლიგა—არის შუამავალი საბერძნეთსა და იტალიას შორის.

ვენა. 1 სექტემბერი. ათინის პრესის ცნობით, საბერძნეთის მთავრობას განზრახული აქვს მიმართოს ერთა ლიგას თხოვნით, რათა უკანასკნელმა თავს იდვას შუამავლობა საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტში; ერთა ლიგის წესდების თანახმად, უკანასკნელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ლიგის წევრთა შორის დაწყებულ კონფლიქტის სასურველად დამთავრებას.

საბერძნეთის საპასუხო ნოტა.

ვენა. 1 სექტემბერი. **ათინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, საბერძნეთის მთავრობამ გადასცა იტალიის ელჩს ათინაში საპასუხო ნოტა** იტალიის მთავრობის ულტიმატუმზე. საბერძნეთის ნოტა უარყოფს მტკიცებას, რომ თითქოს იტალიის ოფიცრების მოკვლა მომხდარიყოს საბერძნეთის ხელისუფლების თვალ წინ. რომელ ეროვნებას ეკუთვნიან მკვლელები ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული და არ არის აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ მკვლელობა ჩადენილია ბერძნების მიერ. საბერძნეთის მთავრობას არ შეუძლია განსაზღვროს სასჯელის ზომა, ვინაიდან მხოლოდ სასამართლოს შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა. დასკვნაში საბერძნეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს იმ ბრალდების წინააღმდეგ, თითქოს საბერძნეთმა შეურაცხყოფა მიაყენა იტალიას.

ვენა. 1 სექტ. **იტალიის ულტიმატუმის საპასუხოთ, საბერძნეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ იტალიის მოთხოვნილება სასამართლოს კვლევა ძიებაში იტალიის სამხედრო ატაშეს მონაწილეობის და აგრეთვე 5 დღის განმავლობაში 50 მილ. ოქროს ლირის გადახდის შესახებ ლახავს საბერძნეთის სუვერენიტეტს.**

დანარჩენ მოთხოვნილებებს საბერძნეთი მისაღებად სთვლის და მზად არის შეასრულოს ის.

კონფლიქტის მთავარი მიზეზები.

ვენა. 1 სექტ. იტალიის სამხედრო მისიის წევრთა მოკვლა საბერძნეთის ტერიტორიაზე აიხსნება შემდეგი მიზეზებით: იტალიის მთავრობა ყოველნაირივ ხელს უწყობდა ალბანეთის მთავრობას, რათა გამოეყენებია ალბანეთის ნაციონალისტური მოძრაობა საბერძნეთის და სამხრეთ სლავიის წინააღმდეგ. სცდილობდა რა ადრიატიკის ზღვაზე ჰეგემონიის მოპოვებას, იტალიის მთავრობა მსოფლიო ომის შემდეგ აწარმოებდა დიპლომატიურ ბრძოლას ფიუმეს საკითხში სამხრეთ სლავიასთან და დოდეკანეზის კუნძულების საკითხში საბერძნეთთან.

ალბანეთის ნაციონალისტებისათვის დახმარებამ იტალიის მიერ მხარის დაჭერამ ალბანეთის მოთხოვნილებისათვის საბერძნეთ-ალბანეთის საზღვრების დაწესების შესახებ—გამოიწვია მტრული განწყობილება საბერძნეთის ნაციონალურ ჯგუფებში იტალიისადმი.

მუსოლინის მთავრობამ, რომელიც ემზადება ძალა-უფლების ხელში ჩაგდების წლის თავის დღესასწაულისათვის, გაართულა მდგომარეობა საბერძნეთთან, რათა მცხოვრებლების ყურადღება მოაშოროს ქვეყნის შინაური გართულებულ მდგომარეობას საგარეო კონფლიქტებით. ამ მიზნით იტალიამ ულტიმატიურ ფორმაში მოითხოვა სამხრეთ სლავიისაგან ფიუმეს საკითხის გადაჭრა და ამავე დროს გადასხა დესანტი ტანჟერში. მისიის წევრების მოკვლამ მისცა მუსოლინის საბაბი თავის პრესტიჟის განსამტკიცებლად ქვეყნის შიგნივ, საბერძნეთთან მდგომარეობის გართულების საშუალებით.

ბალკანეთის ახალი ომის შესაძლებლობა.

ვენა, 1 სექტემბერი. მიუხედავათ იტალიის რწმუნებისა, რომ მას არ აქვს დაპყრობითი მიზნები, ყოველ ეჭვს გარეშეა, **რომ მუსოლინი შეეცდება შეინარჩუნოს კორფუ, რომელიც არის გასაღები ადრიატიკის ზღვაზე. უკანასკნელი გარემოება იწვევს სამხრეთ-სლავიის პრესის გალაშქრებას იტალიის წინააღმდეგ. ბალკანეთის ომის შესაძლებლობა აიძულებს სამხრეთ-სლავიას მხარი დაუჭიროს საბერძნეთს „ბალკანეთის ხალხის მშვიდობიანობის“ ლოზუნგის ქვეშ.**

ძველი ისტორია.

ვენა. 2 სექტემბერი. ალბანეთ-საბერძნეთის საზღვრების საკითხი, რომელმაც გამოიწვია იტალიის სამხედრო მისიის მკვლელობა, დასმულ იქნა 1912 წელს, როდესაც ლონდონის კონფერენციაზე გამორკვეული იქნა ალბანეთის საზღვრები, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა იტალიამ იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბერძნეთისათვის ალბანეთის სანაპიროების იმ ნაწილის გადაცემას, რომელიც მდებარეობს კორფუს პირდაპირ.

მუსსოლინი ფრაზებით კმაყოფილდება.

რომი. 2 სექტემბერი. კორფუს დაკავების შემდეგ, მუსსოლინიმა აცნობა სახელმწიფოების მთავრობებს, რომ ოკუპაცია არის დროებითი ზომა, რადგან იტალიას სრულიადაც არა სურს ომის დაწყება, არამედ იგი იცავს თავის ღირსებას.

იტალიის სამხედრო მოქმედება დაუსაბუთებელია.

ლონდონი. 2 სექტ. გაზ. „მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს, რომ კორფუს დაკავება იტალიელების მიერ არის აშკარა სამხედრო მოქმედება და ამასთანავე დაუსაბუთებელი. „ვესტმინსტერ გაზეტი“ არა სთვლის დამტკიცებულად იტალიის განცხადებას, რომ საბერძნეთის მთავრობა პასუხისმგებელია იტალიის დელეგატების მოკვლისათვის. მხოლოდ რეაქციონური გაზ. „მორნინგ პოსტი“ მოითხოვს ინგლის-იტალიის მეგობრულ ურთიერთობის დაცვას. პრესა მოელის ელჩთა კონფერენციის ჩარევას.

საფრანგეთი-იტალიის მოქმედების შესახებ.

პარიზი. 2 სექტემბერი. მემარჯვენე ელემენტები თავდაჭერილათ იწონებენ იტალიის მოქმედებას. რადიკალები და დემოკრატები სასტიკად ჰკიცხავენ იტალიის ნოტას, ეშინიათ რა მდგომარეობის გართულებისა აღმოსავლეთში. მემარცხენე პრესის ნაწილი ფიქრობს, რომ მუსსოლინი სცდილობს საგარეო კონფლიქტების დახმარებით სხვა მხრივ მიმართოს მცხოვრებთა ყურადღება შინაურ მდგომარეობის გართულების გამო.

ელჩთა კონფერენციის პროტესტი.

ვენა. 2 სექტემბერი. ელჩთა კონფერენციამ მიმართა საბერძნეთს პროტესტით იტალიის მისიის წევრების მოკვლის გამო და წინადადება მისცა საბერძნეთის მთავრობას მოახდინოს კვლევა-ძიება და მოკავშირეებს დაუტოვოს სანქციების ხმარების უფლება. კონფერენციის ნოტის ზომიერი ტონი აიხსნება ინგლისის წარმომადგენელის ყოფა-ქცევით, რომელმაც გაილაშქრა მუსოლინის სეპარატიულად მოქმედების წინააღმდეგ.

ინგლისი უკმაყოფილოა იტალიის თვითნებობით.

ჰანოვერი. 2 სექტემბერი. გერმანიის პრესის რადიო იუწყება, თითქოს ინგლისის მთავრობას განზრახული ჰქონდეს კორფუში ესკადრის გაგზავნა, რათა აღმოსავლეთის ზღვებზე დაიცვას მშვიდობიანობა და წესიერება იმ შემთხვევაში, თუ მუსსოლინი არ დაემორჩილება ერთა ლიგის ავტორიტეტს. „ტაიმს“-ი იტალიას საერთაშორისო ეკონომიურ ბოიკოტით ემუქრება. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, რომ ინგლისის მთავრობა ოფიციალურ პროტესტით გამოვა კორფუს დაკავების წინააღმდეგ. „ფოსსიშე ცეიტუნგ“-ის კორესპონდენტის აზრით, ის სასტიკი პოზიცია, რომელიც ინგლისს აქვს განზრახული, აიხსნება არა მარტო ხმელთაშუა ზღვაზე ინგლისის ინტერესების დაცვის სურვილით, არამედ აგრეთვე ინგლისის მისწრაფებით წაართვას დამოუკიდებელ გამოსვლების საშუალება მცირე ანტანტას და ოსმალეთს.

ერთა ლიგის საგანგებო სხდომა.

ჰანოვერი. 2 სექტემ. ერთა ლიგის სხდომაზე წაკითხულია საბერძნეთის მთავრობის ნოტა, რომელიც პროტესტს აცხადებს იტალიის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. საბერძნეთ იტალიის კონფლიქტის გასარჩევად დანიშნულია საგანგებო სხდომა.

იტალია არ ხუმრობს.

ჰანოვერი. 2 სექ. მილანიდან მოსულ ცნობით, **იტალიამ მეორე ესკადრა გაგზავნა საბერძნეთის წყლებში.** „დეილი მეილი“ იუწყება ორ სათადარიგო ჰასაკის გაწვევისა და იტალიის პრესისათვის ცენზურის შემოღების შესახებ. რომიდან მიღებულ ცნობით, იტალიის ნავთსადგურებში მდგომი საბერძნეთის გემები დაკავებულია იტალიის მთავრობის მიერ.

საბერძნეთში გამოცხადებულია საალყო წესები.

ჰანოვერი. 2 სექ. **„პტი პარიზიენი“-ს ოფიციალურ კორესპონდენტის ცნობით, საბერძნეთში გამოცხადებულია საალყო წესები.** იტალიის

პრესა იუწყება ალბანიის ჯარის საბერძნეთის საზღვარზე დაგროვების შესახებ.

საერთაშორისო ინტერესები და კონფლიქტი.

ვენა. 2 სექ. კორფუს დაკავებით გამოწვეული სერიოზული საერთაშორისო გართულება განსაკუთრებით საზიანოა სამხრეთ-სლავიის ინტერესებისათვის, რომელიც დახმარებას მოელოდა მცირე ანტანტისაგან და დიდ სახელმწიფოებისაგან, განსაკუთრებით ინგლისის მხრით, რომელიც აგრეთვე დაინტერესებულია ხმელთაშუა ზღვის საკითხში.

იტალიის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კორფუ ინგლისის ინტერესების სფეროში შედის.

ათინის პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ მიუხედავათ კორფუს დაკავებისადმი ინგლისის უარყოფითი დამოკიდებულებისა, ინგლისის ესკადრის გაგზავნა კორფუსაკენ საეჭვოა, ვინაიდან ინგლისს აქამდი არ უცვნია საბერძნეთის მთავრობა.

შესაძლებელია, რომ საფრანგეთი იტალიის მხარეზე დადგეს იმ იმედით, რომ იტალია სამაგიეროთ მხარს დაუჭერს მას სარეპარაციო პოლიტიკაში.

რუმინიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

ვენა. 2 სექ. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ რუმინია არ ჩაერევა კონფლიქტში საბერძნეთის სასარგებლოთ, ვინაიდან რუმინელ ნაციონალისტების სიმპატია იტალიის მხარეზეა. რუმინიის მთავრობამ ოფიციალურათ განაცხადა თავის ნეიტრალიტეტის შესახებ.

უარყოფა.

პარიზი. 1 სექტემბერი. იტალიის პრესა უარყოფს ხმებს იტალიელების მიერ საბერძნეთის კუნძულების—სამოსის და კრიტის დაკავების შესახებ.

იტალიის წარმომადგენლის მოთხოვნილებით.

პარიზი. 1 სექტემბერი. ათინაში იტალიის წარმომადგენლის მოთხოვნილებით შეწყდა ერთი დღით გაზ. „ელეფტეროს ტიპოს“-ის გამოცემა ისეთი წერილის მოთავსების გამო, რომელიც, იტალიის წარმომადგენლის აზრით, შეურაცხმყოფელია იტალიისათვის. ცენზურის უფროსი, რომელმაც გაუშვა წერილი, გადააყენეს თანამდებობიდან.

ერთმანეთს არ ჩამორჩებიან.

რომი. 1 სექტემბერი. უცხოეთის პრესის მიერ იტალიის მოქმედების გაკრიტიკების გამო, იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს სხვა სახელმწიფოების ისეთსავე ზომების სიას, რომელიც მიღებულია მათ მიერ იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის ანალოგიურ შემთხვევებში.

ეს სია, თუმცა სრული არ არის, მაგრამ შეიცავს შემდეგ გვარებს:

1) ამერიკის მიერ ქალაქ ვერაკრუცის (მექსიკა) დაკავება 1919 წ. 2) ინგლისის რეპრესიები წყნარ ოკეანეზე 1847 წელს, 3) ინგლისის მოქმედება ბრაზილიის წინააღმდეგ 1862 წელს, 4) საფრანგეთის ფლოტის მიერ ფუ-შინეს (ჩინეთი) არსენალისათვის ყუმბარების დაშენა 18845 წ. 5) ინგლისის მიერ ნავთსადგურის ნიკარაგუას (ჩრ. ამერიკა) ოკუპაცია 1896 წ. 6) ფრანგების მიერ კუნძულ მიტილენას დაკავება 1901 წ. 7) საფრანგეთის მიერ პირეისათვის (საბერძნეთი) ყუმბარების დაშენა 1916 წ.

იტალიის პრესა, ეკამათება რა უცხოეთის პრესას, აყენებს კითხვას: „როგორ მოიქცეოდა ინგლისი, თუ ბრიტანეთის ქვეშევრდომი 5 ოფიცერი მოკლულ იქნებოდენ ისეთსავე გარემოებებში, როგორც იტალიის სამხედრო დელეგაციის წევრები“. „ინგლისის მოქმედება ასეთს შემთხვევებში, ამბობს იტალიის პრესა, იქნებოდა სასტიკზე უსასტიკესი“.

მთავარი რაც იყო—გაკეთდა.

რომი. 1 სექ. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობით, იტალიის მთავრობას არ აქვს განზრახული განაგრძოს საბერძნეთის ტერიტორიის დაკავება.

ინგლისის ფლოტი შევიდა კორფუში.

ბერლინი. 1 სექტემბერი. გაზეთ „ფოსიშე ცაიტუნგი“-ის ლონდონის კორესპონდენტის ცნობით, 31 აგვისტოს ღამით ინგლისის ფლოტი შევიდა კორფუში. ამის გამო ინგლისის კომპეტენტურ წრეებში აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, **თუ მუსოლინი დაუყონებლივ არ დაემორჩილება ერთა ლიგის ავტორიტეტს, მაშინ ინგლისი ყველა მის განკარგულებაში მყოფ საშუალებებით აიძულებს იტალიის მთავრობას დაიცვას წესრიგი და მშვიდობიანობა ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.**

იტალია მოქმედობს წინასწარ შემუშავებულ გეგმით.

ლონდონი. 3 სექტემბერი. ცნობის მიღების შემდეგ, იტალიის სამხედრო მისიის წევრების მოკვლის შესახებ, სამშაბათს, ღამის 11 საათზე, ტარანტოში მიღებული იქნა საიდუმლო დეპეშა ფლოტის მობილიზაციის შესახებ. 12 საათზე **ფლოტის მობილიზაცია უკვე დამთავრებული იყო, გემები სავსებით მზათ იყვნენ ბრძოლისათვის, ჯარები, ამუნიცია და სურსათი უკვე დატვირთული იყო გემებზე. დილა ადრიანათ პირველი საზღვაო რაზმი, რომელიც შესდგებოდა გემებიდან „რიბოტი“, „პრემუდლო“ და „ანდრეად“-დან, გავიდა ხმელთა შუა ზღვაში.** ოთხშაბათს დილის 12 საათზე ზღვაში გავიდა 8 ტრანსპორტი, რომლებზედაც მოთავსებული იყვნენ 47 და 48 ქვეითა პოლკები, არტილერია და კარაბინერთა და სანიტართა რაზმები. ნასადილევს გაფრინდა ჰაეროპლანების ესკადრილია, რომელიც სრულიად მომზადებულია იმისათვის, რომ ყუმბარები დაუშინოს საბერძნეთის კუნძულებს.

იტალიის დამატებითი მოთხოვნილებანი.

რომი. 1 სექტემბერი. საბერძნეთისადმი წარდგენილ მოთხოვნილებების გარდა, იტალიის მთავრობას განზრახვა აქვს მოსთხოვოს კიდევ საბერძნეთის ოკუპაციისათვის გაწეულ ყველა ხარჯების გადახდა და აგრეთვე იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც გაწეული იყო საზღვაო და სამხედრო ოპერაციებისათვის, რომელთა მიღებაც მოუხდა იტალიის მთავრობას იმის გამო, რომ საბერძნეთმა უარი განაცხადა იტალიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. იმის იმედით, რომ საბერძნეთი აანაზღაურებს ხარჯებს, იტალიის მთავრობამ კუნძულ კორფუზე მოახდინა მთელი რიგი სავაჭრო ოპერაციებისა.

დიპლომატიური ურთიერთობა ჯერ კიდევ გრძელდება.

რომი. 1 სექტ. დიპლომატიური ურთიერთობა იტალიასა და საბერძნეთს შორის ჯერ კიდევ გრძელდება. იტალიის ელჩი ათინიში ჯერ კიდევ არ არის გამოწვეული.

კონფლიქტის გამო.

ლონდონი. 1 სექტემბერი. იტალია საბერძნეთის კონფლიქტის გამო, ლორდ კერზონმა გადასდო ნორმანდიაში განზრახული გამგზავრება და დაბრუნდა ლონდონში.

კონფლიქტის განხილვა ერთა ლიგის მიერ.

ლონდონი. 1 სექტემბერი. სამშაბათს ერთა ლიგა განიხილავს იტალია საბერძნეთის კონფლიქტს.

დროებითი ბიუჯეტის წინაალმდეგ ხმა მისცა ეროვნებათა უმცირესობამ.

გერმანელების წარმომადგენელმა კრონიმ განაცხადა, რომ პოლონეთის ბიუჯეტი დატვირთულია ზედმეტი ხარჯებით, მაგალითად არმიის ხარჯები მთელი ბიუჯეტის 20 პროცენტს შეადგენს და პოლონეთის უნტეროფიცერი გაცილებით მეტს ჯამაგირს ღებულობს, ვიდრე მასწავლებელი. უკრაინის წარმომადგენელმა ამხილა სარწმუნოებათა მინისტრი გლობინსკი, რომ იგი სისტემატიურად ებრძვის უკრაინელ მოსახლეობას. ბელორუსიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თანამედროვე რეჟიმი უმძიმესი რეჟიმია მთელი ბელორუსიისათვის: ასეთივე განცხადება გააკეთა ებრაელთა დელეგატმაც.

ინგლისი.

უმუშევრობა აფიქრებთ.

ლონდონი. 2 სექტემბერი. „დეილი მეილის ქრონიკლ“-ი იუწყება, რომ თემთა პალატის მრეწველთა ჯგუფის წევრებმა ბალდვინს წერილით მიმართეს, რომელშიაც მის ყურადღებას აქცევენ უმუშევრობით გამოწვეულ სერიოზულ მდგომარეობაზე, რომელიც თანდათან გაიზრდება და მდგომარეობას უფრო გააუარესებს. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ რურის ოკუპაციის პირველ ხანებში ინგლისის მრეწველობის მდგომარეობა თითქოს გაუმჯობესდა, მაგრამ მერე კი დადგა რეაქცია, რომელმაც მრეწველობის ყოველი დარგი დასცა.

სტინესი ლონდონში მიდის.

ნიუ-იორკი. 2 სექტ. ამერიკული სააგენტო „რადიო პრეს“-ი იუწყება რომ ამ ცოტა ხანში ლონდონში მოელიან სტინესს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ინგლისი.

მუშების ხსნა—გაერთიანებაშია.

ლონდონი. 1 სექტემბერი. ტრედ-უნიონების კონგრესის დელეგატები მანიფესტში მოითხოვენ უმუშევართა ორგანიზაციულ გაერთიანებას ტრედ-უნიონთან, რადგან გაფიცვებისა და ლოკაუტების დროს უმუშევრები საშიში იარაღი ხდებიან მწარმოებლების ხელში; ასეთი მდგომარეობა კი თავიდან აშორებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ უმუშევართა მოძრაობა გაერთიანებული იქნება საერთო პროფესიონალურ მოძრაობის ქვეშ.

ფინეთი.

მუშები იცავენ თავის უფლებებს.

ჰელსინგფორსი. 1 აგვისტო. ჰამმერფორის პროფორგანიზაციებმა პროტესტი გაუგზავნეს შინაგან საქმეთა მინისტრ ადგილობრივ ხელისუფლების თვითნებურ მოქმედებების წინააღმდეგ, რომელმაც აკრძალა მუშათა დღესასწაულების მოწყობა; ადგილობრივ ხელისუფლების აზრით, მუშათა დღესასწაულები არღვევენ კანონს კრებების მოწყობის უფლების შესახებ.

დახმარება დატუსაღებულ კომუნისტებს.

ჰელსინგფორსი. 1 სექტემბერი. პროფკავშირების ცენტრალური გამგეობა მოუწოდებს მუშებს შემოწირულება შეაგროვონ დატუსაღებულ კომუნისტებისათვის იურიდიულ დახმარების გაწევის მიზნით. სოციალ-დემოკრატიული პრესა სცდილობს დაარწმუნოს მუშები, რომ ასეთი შემოწირულების შეგროვების გატარება ეწინააღმდეგება პროფორგანიზაციების ამოცანებს.

იტალია.

ლოკაუტები ვერ გასტეხენ მუშების სიმტკიცეს.

რომი. 1 სექტემბერი. მექვაბეებს, მათი მოთხოვნილების საპასუხოთ ზედმეტ მუშაობის გაუქმების შესახებ, გამოეცხადათ ლოკაუტი. მანქანების ამშენებელ ტრედუნიონების ფედერაციამ, რომელმაც გამორიცხა მექვაბეები იმისათვის, რომ მათ ხელი არ მოაწერეს საერთო შეთანხმებას, რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიაც კიცხავს მათ მოქმედებას.

ამერიკა

მუშების გამარჯვება.

ნიუ-იორკი. 30 აგვისტო. კენსილვანიის გუბერნატორმა წინადადება მისცა მაღაროების მეპატრონეთ შეუთანხმდენ მუშებს იმ პირობით, რომ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს გადიდებულ იქნეს შრომის ხელფასი 10 პროცენტით, დაწესებულ იქნეს 8 საათის სამუშაო დღე და აგრეთვე ცნობილი იქნენ ტრედუნიონები.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

„მორნინგ პოსტი“ პროვოკაციას განაგრძობს.

ლონდონი. 1 სექტემბერი. „მორნინგ პოსტს“ უკვირს ინგლისის მიერ რაკოვსკის კანდიდატურის მიღება დ გაზეთი იმეორებს მის წინააღმდეგ წინანდელ ბრალდებას. გაზეთის აზრით, რაკოვსკის დანიშვნის დადასტურება ჩადენილია „მხოლოდ აღმოსავლეთში რუსეთის პროპაგანდის სასარგებლოთ.“

ლიბერალური პრესსა მიესალმა ინგლისის მთავრობის მიერ რაკოვსკის, როგორც ს. ს. რ. კ.-ის წარმომადგენლის, მიღებას.

რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკება.

ტირასპოლი. 1 სექტ. რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მოწონებულია რუსეთის დელეგაციის პროექტი ადგილობრივ ორივე ქვეყნის წარმომადგენლებთან შემდგარ საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ. კომისიის დანიშნულება იქნება სასაზღვრო კონფლიქტების მოგვარება. გარდა ადგილობრივ კომისიებისა, დაარსებული იქნება საერთო ცენტრალური პარიტეტული კომისია, რომლის შემადგენლობა განსაზღვრული იქნება ორივე ქვეყნის მთავრობების მიერ. 3 სექტემბერს შესდგება კონფერენციის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც ხელმოწერილი იქნება ხელშეკრულება.

სანიტარული კონვენცია ფინეთსა და ს. ს. რ. კ.-ის შორის.

სტოკჰოლმი. 1 სექტემბერი. ფინეთის დიპლომატიურმა მისიამ აცნობა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს, რომ ფინეთის მთავრობა თანახმაა შეამსუბუქოს სანიტარულ საექიმო სინჯვის სისტემა ფინეთში მომავალ ს. ს. რ. კ.-ის მოქალაქე-მგზავრთა მიმართ. ამიერიდან მათ მიმართ წარმოებული იქნება მხოლოთ ფორმალური საექიმო დაკითხვა. პარალელურათ ფინეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა სანიტარულ კონვენციის დადებისათვის მოლაპარაკების დაწყებაზე.

გერმანიის ამბები

მთავრობა უძლურია.

ბერლინი. 2 სექტემბერი. მარკის კურსის კატასტროფიული დაცემა გრძელდება. დოლარი უკვე 12 მილ. მარკა ღირს. პრესა აღნიშნავს მთავრობის უძლურებას—აიძულოს კაპიტალისტები გაანაღდონ კაპიტალების ნაწილი ხარჯების გადასახდელათ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთავრობამ არ მიიღო ზომები კონტროლის დასაწესებლათ ღირებულებათა შესყიდვაზე იმ დროს, როდესაც ოკუპაციაქნილ ოლქებში კაპიტალისტები ყიდულობენ მთელ ვალიუტას, რისთვისაც ისინი სარგებლობენ სესხით რეიხსბანკიდან, რაც სცემს მარკის კურსს. ფინანსისტების ორგანო „ბერლინერ კურიერი“ აღნიშნავს ხელმძღვანელ წრეების უძლურებას შექმნილ მდგომარეობიდან გამოსვლის საქმეში.

სრული სასოწარკვეთილების აქტი.

ბერლინი. 2 სექტემბერი. ბერლინის პოლიციამ **ბრძანება გასცა კომუნისტურ პარტიის საოლქო კომიტეტის ყველა წევრების დატუსაღების შესახებ, გარდა რეიხსტაგის დეპუტატებისა. „როტე ფანე“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეთაურების დატუსაღება ერთი წუთითაც ვერ შეაფერხებს იმ ორგანიზაციების მუშაობას, რომელთაც 40.000 წევრი ჰყავთ. მემარჯვენე პრესაც კი მთავრობის გამოსვლას კომუნისტების წინააღმდეგ სთვლის დამარცხებულ სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების დემოკრატიის სასოწარკვეთილების აქტათ.** შესდგა **8 მასიური კრება კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.**

მზადება კაპიტულიაციისათვის.

ბერლინი. 2 სექტემბერი. გერმანიის მთავრობის უკანასკნელ საფინანსო ზომებს ხსნიან, როგორც საფრანგეთის წინაშე კაპიტულიაციის სამზადისს, რადგან ფინანსების მოწესრიგება რურის ბრძოლის შეუწყვეტლათ შეუძლებლათ არის ცნობილი. ცდილობს რა გამოვიდეს მოჯადოვებულ წრიდან, მთავრობა ადიდებს გადასახადებს, ავიწროებს მუშებს, ცდილობს ხელი შეუწყოს საქონლის გატანას და შეამციროს შემოტანა. მაგრამ საეჭვოა,—შესძლებს თუ არა შტრეზემანის მთავრობა ბოლომდე მიიყვანოს თავისი გეგმა, [illegible] დაბრკოლება შინ და საზღვარ-გარეთ.

კომუნისტების დევნა.

ბერლინი. 1 სექტემბერი. ბრემენში დაპატიმრებულია კომპარტიის მდივანი კენიგი. მანჰეიმში და კარლსრუეში გაჩხრეკილი იყო პარტიულ ბიუროს შენობა.

ნაციონალისტების პრეტენზიები.

ბერლინი. 2 სექტ. გერმანიის ნაციონალისტურ პარტიის საოლქო ორგანიზაციების თავმჯდომარეთა კონფერენცია მის მიერ გამომუშავებულ პარტიულ პოლიტიკის პროგრამაში აცხადებს შტრეზემანის კაბინეტში ადგილის დაკავების განზრახვას და მოითხოვს მოკავშირეთა კომისიის ბელგიელ და ფრანგ წევრთა გადასახლებას რეპრესიულ ზომებს საოკუპაციო ჯარების ძალმომრეობის წინააღმდეგ, ნატურალურ ბეგარის შეტანის შეწყვეტას და საყოველთაო სამხედრო ბეგარის გამოცხადებას. შინაგან პოლიტიკის კითხვებში ნაციონალისტები თვითდაცვის ორგანიზაციის და დიქტატურის გამოცხადებას მოითხოვენ. მოითხოვენ რა დაჟინებით რესპუბლიკის დაცვის კანონის გაუქმებას, კომუნისტურ გადატრიალების შესაძლებლობის გამო, ისინი უარყოფენ ჰილფერდინგის საფინანსო ღონისძიებებს.

ტევტონურ პარტიის ორგანო „დეიჩე ცეიტუნგი“ აცხადებს, რომ ეს პროგრამა მისაღებია ტევტონურ პარტიისათვის. ამ ორ პარტიას ემჩნევა დაახლოვებისაკენ ლტოლვა სამხედრო დიქტატურის ლოზუნგის ქვეშ.

ჰავენშტეინის გადადგომა.

ბერლინი. 3 სექტემბერი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ცნობით, ჰავენშტეინმა დიდი ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტა გადადგომა. ხმებია, რომ რეიხსბანკის ვიცე პრეზიდენტი გლაზენაპიც გადადგომას აპირებს.

მღელვარება უმუშევართა შორის

ბერლინი. 2 სექტემბერი. **პლაუენში უმუშევართა შორის არეულობა მოხდა, რამაც პოლიციასთან შეტაკება გამოიწვია. წესრიგი აღდგენილია პროლეტარულ რაზმების დახმარებით.**

ბრძოლა ნაციონალისტებსა და სახალხო პარტიას შორის.

ბერლინი. 2 სექტემბერი. სახალხო თავისუფლების ტევტონურ პარტიის ორგანო „დეიჩე ცეიტუნგი“ პროტესტს აცხადებს შტრეზემანის მთავრობის განზრახვის წინააღმდეგ, რომელიც მდგომარეობს რეინის ოლქის რკინის გზის მოკავშირეებისათვის გადაცემაში. სახალხო პარტიის მარჯვენა ფრთის ორგანო „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“ მწუხარებას გამოსთქვამს გერმანიის ნაციონალისტებსა და სახალხო პარტიის შორის დაწყებულ ბრძოლის გამო ორივე პარტიას ერთიანობისაკენ მოუწოდებს.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი.

ბრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ.

სტამბოლი. 2 სექტ. სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭოს ეკონომიური კომისია სასწრაფოდ იხილავს კანონპროექტს სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სტამბოლის ევაკუაცია.

ბერლინი. 2 სექტემბერი. სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჯარის ევაკუაცია სრაფი ნაბიჯით სწარმოებს. უპირველეს ყოვლისა დასცალეს მოკავშირეთა საჭიროებისათვის დაკავებული კერძო სახლები. მოკავშირეთა მილიციის ერთი ნაწილი უკვე გავიდა სტამბოლიდან.

სხვადასხვა

ბულგარეთი.

ბულგარეთის კომპარტიის მოწოდება.

ვენა. 1 სექტემბერი. **მოწოდებაში, რომელიც მიმართულია მაკედონიის მუშებისა და გლეხებისადმი, ბულგარეთის კომპარტია იტყობინება, რომ თეთრ ტერორს შედეგათ მოჰყვა კომუნისტურ პრესის ჩაღრჩობა. „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ“-ს ათჯერ უკვე კონფისკაცია. ბურჟუაზია აწყობს საიდუმლო მებრძოლ ორგანიზაციებს ვრანგელის მომხრეების აქტიურ დახმარებით.**

მოწოდება მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს მჭიდროთ გაერთიანდენ კომპარტიასთან, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია მოუპოვოს მაკედონიას ავტონომია.

დასკალოვის მოკვლა წინასწარ იყო მომზადებული.

დანია.

დევნა ვერ შეაშინებს კომუნისტს.

კოპენჰაგენი. 1 სექტემბერი. საბანკო კომისიის საიდუმლო ანგარიშის გამოქვეყნების გამო საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო ინტრიგების შესახებ,—შესდგა კომუნისტების დევნის წინააღმდეგ საპროტესტო კომმუნისტური მიტინგი: კომმუნისტურ ლიდერს ტაგერსონს 200 კრონის ჯარიმა მიუსაჯეს. „არბაიტერ ბლადეტ“-ის საგანგებო ნომერის გამოსაშვებათ სხვისი სტამბით სარგებლობისათვის. პროვინციაში კომუნისტები ავრცელებენ ფურცლებს ბლიუმის, სკავენიუსისა და სხვათა მოღვაწეობის გამომჟღავნებით.

რუმინეთი.

კვლავ ხეტიალი.

ვენა. 1 სექტემბერი. ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორმა პოპოვიჩმა გამოსცა ბრძანება ბესარაბიიდან ყველა რუს ლტოლვილების გადასახლების შესახებ.

ვენა. 1 სექტემბერი. სამხრეთ-სლავის პრესის ცნობით, დასკალოვის მოკვლა მოწყობილი იყო მაკედონელების ორგანიზაციის მიერ სოფიაში, საიდანაც მკვლელმა მიიღო პასპორტი და ფულები.

ირლანდია.

არჩევნების შედეგები.

ლონდონი 1 სექტემ. ჯერ-ჯერობით არჩევნებმა ირლანდიაში მისცა მთავრობას 41 ადგილი, რესპუბლიკანელებს—28, დამოუკიდებლებს—14 და მუშათა პარტიას—9. არჩეული არიან ყველა მინისტრები და მუშათა პარტიის ლიდერი ჯონსონი. საჭიროა კიდევ 53 დეპუტატის არჩევა.

რესპუბლიკანელების გამარჯვება.

ლონდონი. 1 სექტემბ. არჩევნების გამო ირლანდიაში „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს რესპუბლიკანელების რიცხვის ზრდას. ირლანდიის მუშათა პარტიის გაუმარჯვებლობას პარტიის ბელადები ხსნიან ბურჟუაზიული პარტიების ორგანიზაციული ძლიერებით.

ამერიკა.

მექსიკის მთავრობის ცნობა.

ნიუ იორკი. 1 აგვ. გამოქვეყნებულია შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური განცხადება მექსიკის მთავრობის ცნობის და ორთავე სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესახებ.

იაპონია.

იაპონიის ახალი კაბინეტი.

ტოკიო. 1 აგვისტო. ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა ადმირალ იამანოტოს, რომელიც არის უკიდურესი მილიტარისტი. იამანოტოს პრემიერად არჩევა ნიშნავს საზღვაო შეიარაღების მომხრეთა გამარჯვების ხმელეთის შეიარაღების მომხრეებზე, რომლებიც ცდილობდენ გამაგრებას ჩინეთში, რაც ჩაიშალა ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილების და იამოგატო-ოკუმის გარდაცვალების გამო.

პოლონეთი.

საფრანგეთის ხარჯზე.

ვარშავა. 1 სექტემბერი. გაზეთი „გოლოს ოპოზიციი“ აცხადებს, რომ ოფიციოზი „გაზეტა ვარშავსკა“ ღებულობს საფრანგეთის მთავრობისაგან ყოველთვიურად სუბსიდიას 15,000 ფრანკის რაოდენობით. „გოლოს“-ი აღნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა გარეშე საქმეთა მინისტრის სეიდის წყალობით, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის პოლიციის აგენტს.

პოლონეთის ფინანსები.

ბერლინი. 2 სექტემბერი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი აღნიშნავს, რომ პოლონეთის ფინანსები ნამდვილ ქაოსს წარმოადგენს. სეიმის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე, ფინანსთა მინისტრი ამტკიცებდა, თუ რა დიდმნიშვნელოვანია დაუყოვნებელი შემოღება გადასახადისა ქონებაზე, რომელიც ერთ მილიარდ ფრანკს (ოქროთი) მისცემს ხაზინას. მინისტრმა განაცხადა: „პოლონეთის ფინანსები მუდმივ ზეგავლენას განიცდიან დასავლეთში წარმოებულ ბრძოლისას და ჩვენი სავალიუტო გაჭირვების უდიდესი ნაწილიც გერმანიის მარკის დაცემას უნდა მიეწეროს“.

საბჭოთა კავშირში

ესტონეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი. 1 სექტ. მოსკოვში ჩამოსულმა ესტონეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა პიკმა დღეს ინახულა ამხ. ჩიჩერინი.

რუსეთი.

ფასების ზრდა.

მოსკოვი. 1 სექტ. აგვისტოს მეორე მესამედში ფასების ზრდა მთელ რუსეთის ტერიტორიაზე გამოიხატა 15 პროც.-ში. ფასების ზრდა ცალ-ცალკე ჯგუფის საქონლებზე თანაბრათ მიმდინარეობდა.

სავაჭრო ფლოტის აღდგენა.

მოსკოვი. 1 სექტ. საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ გამოიმუშავა სავაჭრო ფლოტის აღდგენის გეგმა 10 წლის განმავლობაში. განზრახულია 195 გემის აშენება და ყიდვა 55 მილ. ფუთის ტვირთმზიდველობით. პროგრამის განხორციელება დაიწყება 1925 წლიდან.

ნოვოროსიისკი სრულებით მზად არის ექსპორტისათვის.

დონის როსტოვი. 1 სექტემბერი. ნოვოროსიისკის ნავთსადგურის პაკჰაუზები და ელევატორები მოყვანილია წესრიგში. ნავთსადგურში ერთ და იმავე დროს შეიძლება 12 ოკეანეს გემების დატვირთვა. გარდა აუცილებელი მოძრავ შემადგენლობისა, მარქაფში არის 200 ორთქლმავალი და 3.000 ვაგონი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

დახმარების ცენტრალური კომიტეტი.

მოსკოვი. 1 სექ. საკავშირო-სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დაარსდა დახმარების ცენტრალური კომიტეტი, რომლის ამოცანას შეადგენს გამოფენის გამოყენება ქალაქსა და სოფელს, მეცნიერებასა და შრომას და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხალხთა შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, ურთიერთშორის მიწადმოქმედების გამოცდილების გაზიარების ნიადაგზე. გამოფენა უნდა იქნას გამოყენებული, როგორც მასიური აგრონომიული სკოლა, მან ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო წყობილების გარევოლიუციონერებას და შთაუნერგოს გლეხთა ექსკურსანტებს ელემენტარული აგრონომიული ცოდნა აღნიშნულ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად, არჩეული იქნა აღმასრულებელი სამეული ამხ. სვიდერსკის, ანცელოვიჩის და შეფლერის შემადგენლობით.

პრემიების დარიგება.

დღეს გამოფენაზე ზეიმით გაატარეს პრემიებით დასაჩუქრებული პირუტყვები. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. მესიაცევმა აღნიშნა, რომ მიუხედავათ სამოქალაქო ომისაგან სახალხო მეურნეობის განადგურებისა, რესპუბლიკების კავშირმა შეინარჩუნა პირუტყვების საუკეთესო ჯიში, რომელიც დაცულია არა მარტო სახელმწიფოებრივ ცხენების მოშენების ქარხნებში, არამედ გლეხების ცალკე მეურნეობაში. პირუტყვების გატარებამ სავსებით დაადასტურა ამხ. მესიაცევის სიტყვები. ექსკურსანტი—გლეხები და მუშები დიდის ინტერესით ათვალიერებდენ პირუტყვებს, რომელთა დიდი ნაწილი გლეხებს ეკუთვნისთ. ცხენების საუკეთესო ნიმუშები გლეხების საკუთრება აღმოჩნდენ. რქიან საქონლის ჯგუფში წარმოდგენილია რუსეთის მეწველ საქონლის თითქმის ყველა ჯიშები დაწყებული კალმიკების პატარა ტანის ძროხებიდან და გათავებული უკრაინის უზარმაზარი რქიანი საქონლით, პრემიებით დაჯილდოებულ რქიან საქონლის შორის ყურადღებას იპყრობს ერთი ხარი—ვორონეჟის ჯიშიან საქონლის მომშენებელი მოზვერი,— რომელიც იწონის 62 ფუთს.

ჩეხო-სლოვაკია გამოფენაზე.

ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა იან ვიბირალმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა: „ჩეხო-სლოვაკია“ დიდი ხანია ილტვის საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისაკენ. გამოფენაზე წარმოდგენილ ფირმებიდან, ზოგიერთები 1920 წლიდან იმყოფებიან სავაჭრო ურთიერთობაში რუსეთთან. ჩეხო-სლოვაკიის მრეწველობა აღფრთოვანებულია საუკეთესო ზრახვებით და გულწრფელად სურს რუსეთთან მუშაობა.

სანიმუშო სათემო აღმასკომი.

გუშინ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაიხსნა სანიმუშო სათემო აღმასკომი, რომელიც მდგომარეობს სოფლის განყოფილების პავილიონების ჯგუფში.

პავილიონში წარმოდგენილია სათემო აღმასკომის ყველა განყოფილებანი: მიწის, სამხედრო, საგადასახადო და სხვ. თვითეულ განყოფილებაში გლეხ—ექსკურსანტებს აძლევენ ცნობებს და განმარტებებს სოფლად საბჭოთა აღმშენებლობის ყველა საკითხებში.

ტრაქტორი.

გამოფენის უცხოეთის განყოფილებაში დიდ ინტერესს იწვევს ექსკურსანტ—გლეხებში გერმანიის ფირმის განზა ლოიდის ტრაქტორი 25 ცხენის ძალის, რომელიც გამოდგება ყოველგვარ ნიადაგის, ქაობიან, ქვიან და სხვ. დასამუშავებლად. ტრაქტორი ხნავს საათში დაახლოვებით 2 დესეტინა მიწას (გლეხის ცხენი კი სამუშაო დღის განმავლობაში არა უმეტეს 1 დესეტინისა).

ავიაციის დღე.

8 სექტემბერს გამოფენაზე ეწყობა ავიაციის დღე გაიყიდება. ჟეტონები თვითმფრინავ „ილიჩის“ ასაშენებლად, გამოფენაზე შესასვლელი ბილეთები და მთელი გამოფენილი საქონელი დაიბეგრება ამ დღეს განსაკუთრებული გადასახადით თვითმფრინავ „ილიჩის“ სასარგებლოთ.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორა

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპექტი № 26, ტელ. № [illegible]—45.

ცენტრალური კანტორა ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ 1 სექტემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ში განცხადებები მიიღება შემდეგი ფასით:

ნონპარელის სტრიქონი პირველ გვერდზე	30 კ.	ჩერვონცებით.
„ „ მეოთხე გვერდზე	15 კ.	„
თეატრალური განცხადება არა უმეტეს 60 სტ.	30 პროც.	დაკლებით.
სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრ.	4 მანეთი.	
საქმიო განცხადება თვეში	4 მანეთი.	

ყველა განცხადებები არა ნაკლებ 10-ჯერ დაბეჭდილი—10 პროც. დაკლებით.

იქვე მიიღება განცხადებები იმავე წესით თვიურ ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ში, „კომუნიზმის დროშა“-ში და ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ში. (6—3)

კომუნისტური ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ტფილისში

ამ დღის მოლოდინში კომახალგაზრდობა მომზადებული ღირსეულად. დილის 10 საათიდანვე ქუჩაში დადიან ახალგაზრდები ავტომობილებით და მფრინავ აფიშებით აცნობენ ხალხს ამ დღის მნიშვნელობას და ლოზუნგებს. ავტომობილები დაფარულია დროშებით და საერთო სიხარულის ამოძახილით „ურა, ვაშა“. კომახალგაზრდობა ჯერ ისევ თავის რაიონებშია, იქ მიდის მოხსენებები ამ დღის შესახებ, კომ. ახალგაზრდობის როლზე საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში და სხვა. შუადღის ხანს წითელ არმიელთა რუსული ლაშქარი გამოდის რუსთაველის პროსპექტზე და ჩერდება პარტკომის პირდაპირ, სამხედრო მუსიკა მარშით იღებს ჯარების სხვა ნაწილებს. მოდის ქართული ლაშქარი თავისი სამხედრო ორკესტრით, ქუჩები ივსება ხალხით. ყველას სახეზე ღიმია. გამოჩნდებიან კომახალგაზრდათა რიგები, შუაში მოათამაშებენ „ძველი ქვეყნის ტიპებს“ ლენირლებს—მამლის ბოლოსავით ჯინჯილებით, ღვდელს მუცელზე ჯვრით და ცხენიან თავადს. „გოროდოვოები“ უწყრებიან ხალხს და მადლიან, როგორც ეს სჩვეოდათ, ზოგიერთა იკვნეტს ულვაშებს, წინ უძღვით დროშა წარწერით: „კომუნისტური ახალგაზრდობა დაასრულებს პროლეტარულ რევოლიუციას—ძირს ფაშიზმი“. საზოგადოთ შეიძლება ითქვას ახალგაზრდა კომკავშირის დღე იყო დღე ფაშიზმის პროტესტის. ყოველი დროშა, თვითეული სიტყვა მხოლოდ ფაშიზმის და ძველი ქვეყნის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. არ ჰქონდა საზღვარი სიხარულებას, შემდეგ ჯარის ნაწილები მოიხსნენ და გაემართენ თავისუფლების მოედნისაკენ. გზაზე—ყოფილი სამხედრო სობოროს გალავანი მორთული დახვდათ სურათებით. ამ სურათებში იყო კომუნისტურ ახალგაზრდობის ყველა იდეები, კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის, ბავშვების მომავალი და ფაშიზმის შერცხვენა. თვით ეზოში იყო ერთი საერთო საფლავი, სადაც ეყარა ყოველგვარი ნივთები ძველი ქვეყნის დამახასიათებელი. ჯარებს უკან გაყვა კომ. ახალგაზრდათა კავშირი მიტინგის მოსასმენათ. ეს იყო პირდაპირ სიხარულის მსვლელობა ქუჩებში.

მიტინგი კომკავშირის სახლის ეზოში.

2 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე ყოფილ სამხედრო ტაძრის ეზოში ტფილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ლომიძემ გახსნა მიტინგი. ამხანაგი ლომიძე მოხდენილი სიტყვით შეეხო 2 სექტემბრის მნიშვნელობას, ფართოდ გააშუქა ის მთავარი დებულება, რომ კომკავშირის დღე არის დიადი დღე მთელი მუშათა კლასისათვის, რომ კომუნისტურ ახალგაზრდობას ისტორიამ არგუნა სოციალური რევოლიუციის ლოგიურ ბოლომდე მიყვანა. ის შეეხო კომ. ახალგაზრდათა მოძრაობას 1914 წლიდან და აღნიშნა, რომ ახალგაზრდათა კომუნისტური იდეოლოგია ყოველთვის მტერი იყო ფაშიზმის და ეხლაც ებრძვის მას, როგორც მუშათა კლასის თანასწორი გაერთიანებულ ფრონტზე. შემდეგ ილაპარაკა გერმანეთიდან ჩამოსულმა გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის წევრმა ამხ. ჰოპპემ.

გერმანიის ახალ. კომ. კავ. ცეკას წევრ ჰოპპეს სიტყვა.

ამხ. ჰოპპე თავის აღფრთოვანებით წარმოთქმულ სიტყვაში შეეხო ევროპის დღევანდელ ვითარებას, ვრცლად დაახასიათა ფაშიზმი მთელ ევროპის მასშტაბით და კერძოთ ფაშისტური მოძრაობა გერმანიაში, სადაც უფროს ამხანაგებთან ერთად ფაშიზმის მიერ ნიშანშია ამოღებული გერმანიის კომუნისტური ახალგაზრდობაც. შემდეგ ორატორი შეეხო საფრანგეთის იერიშებს გერმანიის მიმართ, რურის ოკუპაციით გამოწვეულ საშინელებას, რომელიც იქამდე მივიდა, რომ თვით ფრანგულ საოკუპაციო ჯარებშიც კი შექმნა ანტიმილიტარისტული სულიერი განწყობილება. საფრანგეთი დღეს უკვე აღარ ენდობა ფრანგულ შემადგენლობის ჯარებს და რურში მათ სანაცვლოდ მოჰყავთ ფერად—კანიანები. ეს სიპტომებია კომუნისტური რევოლიუციის მოახლოვების და ამ დღისთვის ემზადება რუსეთის კომ. ახალგაზრდობასთან ერთად გერმანიის ახალგაზრდობაც, რომელსაც დღეს ფაშისტურ ბრჭყალებში სული ეხუთება.

გაუმარჯოს კომ. ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირს! დაასრულა თავისი მშვენიერი სიტყვა ამხ. ჰოპპემ ამხ. ჰოპპეს სიტყვის შემდეგ გაიმართა წარმოდგენები.

კომ. ახალგაზრდობის სახლის გახსნა.

წარმოდგენების შემდეგ თბილისის კომიტეტის მდივანმა გამოაცხადა გახსნილად კომ. ახალგაზრდობის სახლი. გახსნას თან მოჰყვა სიხარული და ტაშის ცემა. ისროდენ შუშხუნებს ჰაერში სახლის ირგვლივ. 9 საათზე დაახლოებით კრება დაიშალა.

2 სექტემბერს შესანიშნავად იყო მოწყობილი სპარტაკის ორგანიზაცია დილის 10 ს. შეიკრიბა მთელი სპარტაკი სპარტაკის ეზოში, სადაც გაიმართა პარადი, ქალაქის საბჭოს სახელით მესალმა ამხ. ალ. მდივანი. გააცნო მათ ამ დღის მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის შემდეგ გამართულ იქნა სხვადასხვა შეჯიბრებები და გასართობები. 1-ლ საათზე მთელი სპარტაკი რაიონის საბჭოს ხელმძღვანელობით გაემართა რუსთაველის პროსპექტზე და შეუერთდა ახალგაზრდა კომკავშირის მსვლელობას.

ზეიმი თბილისში.

(შთაბეჭდილებანი).

2 სექტემბერს თბილისს რაღაც ნერვიულ გუნებაზე გამოეღვიძა.. ქალაქი დილიდანვე ჩუმ ღელვის რკალებში ჩოქვა და ამ ერთგვარ კონცერტს ამკობდა გირლანდებით და ამაყად მოფრიალე დროშები.. უჩვეულო იყო კომკავშირის ზეიმი, რაც ყოველი ახალგაზრდა მშრომელის გრძნობით იყო გამთბარი.. საქართველოს ახალგაზრდობას არ ახსოვს ახალგაზრდობის ასეთი ენერგიის ნაკადი, ასეთი მჭიდრო დემონსტრაცია, ასეთი წმინდა სულიერი ამხანაგური გაქანება. დილიდანვე საზეიმოდ იყო განწყობილი ჭაღარა ტფილისი... დილიდანვე აქ-იქ მყუდროებას არღვევდა სხვადასხვა რევოლიუციონური მოძახილები, რაც სამზადისს არაჩვეულებრივად აშკარავებდა, პროლეტარულ ელემენტებში ენტუზიასტურ განწყობილებას აძლიერებდა. ამავე დღეს პროლეტარულმა ახალგაზრდობამ გახსნა. პროლეტარულმა ახალგაზრდობამ კომუნისტური აღზრდის ცენტრალური სახლი.

კომკავშირელები, თავიანთი ბრინჯაოს ფიგურებით და მასხარე გამომეტყველებით ნელ-ნელა და სულიერი აღმაფრენით, გროვდებოდენ რაიონულ კომიტეტებში, ჩატარდა მიტინგები საიდანაც გამოემართენ პ. ა. კ. ა. ტ. კ-შიდ. 8 საათისათვის მთელი რაიონების კორტეჟი გამოემართა რუსთაველის პროსპექტით... კარგი სანახავი იყო პროცესია თავის ყოველმხრივი მრავალფეროვნებით ფიგურებით დასაღუპავად განწირულ ტიპებისა: ბურჟუა კაპიტალისტი, მღვდელი და სხვადასხვა ფორმის დაქირავებული ლაქიები, რაც იწვევდა ზიზღს შეკრებილ საზოგადოებაში.. ისმოდა სამართლიანი შენიშვნები: ეხლა „მივხვდით, რომ კომკავშირები ერთად ერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლიან მთელი ახალგაზრდობას უხელმძღვანელოს.

კორტეჟი გაჭიმული იყო პროლეტარული ენერგიით და სჩანდა მასში ის დაგროვილი სულიერი თუ ნივთიერი ენერგია, რომელიც უნდა მიტანილ იქნას უმაღლეს სოციალურ ფორმის სამსხვერპლოზე“ საღამოს სახლის ტფილ. კომ. ამხ. ლომიძის გახსნილ იქნება მრავალრიცხოვანი მიტინგი, სადაც ბელადები კომ. ახალგაზრდობისა ცეცხლს აფრქვევდენ ბურჟუაზიულ დასავლეთის მისამართით... მით უფრო გერმანელი ამხანაგი ..

კარგი სანახავი იყო ცენტრალური კლუბი... მოქცეული ელექტრონის რკალში მგრძნობიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა და ძალაუნებურად უდიდეს იმედს იძლეოდა ახალგაზრდობის ყოვლის შემძლეობაში... რაკეტები და ბოლოს ძლიერი შუშხუნები.

დანთებულ იქნა დიდი ცეცხლი, რაც მოასწავებდა ულოღიკო აზროვნების ცეცხლში ჩაფერფვლას.

აღსანიშნავია, რომ ჯარიც გამოვიდა დემონსტრაციაზე და სოლიდარობის მომენტი უფრო იქნა გაცხოველებული. ბოლოს კომკავშირელები და უპარტიო მშრომელი ახალგაზრდობა დიდად ნასიამოვნები დაიშალა და გასწიეს შინისკენ უდიდესი და მძლავრი იდეოლოგიური შთაბეჭდილების ტვირთით.

ჭაღარა თბილისს თავის პოლიტუსეზე არ ახსოვს ასეთი გაქანება კომუნისტურ ახალგაზრდული ენერგიისა.

ვ. ლუარსამიძე.

1921 წელს მოწვეული იქნა ვაშინგტონის კონფერენცია. ნამდვილი მიზეზი ამ კონფერენციის მოწვევის იყო ასეთი: მსოფლიო ომამდი ინგლისი ყველაზე უძლიერესი სახელმწიფო იყო მსოფლიოში. ომამდი ინგლისს ჰქონდა წესი, რომელსაც ის მტკიცედ იცავდა: ჩვენი ფლოტი თავისი სიძლიერით უნდა უდრიდეს ორი დიდი სახელმწიფოს შეერთებულ ფლოტს. ასე იყო ომამდი. როცა ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1916 წელს დაიწყო თავისი საზღვაო პროგრამის განხორციელება, მოკლე ხანში იმდენი სამხედრო გემები ააგო და ისეთი სამხედრო ფლოტი შექმნა, რომ ის სიძლიერით უდრიდა ინგლისის ფლოტს, ისე რომ ამერიკელებისათვის რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ძლიერ ადვილი იყო ინგლისის ფლოტის უკან დატოვება, რადგან ინგლისი ეკონომიურათ ძალზე სუსტია ამერიკასთან შედარებით და ვერ შესძლებს მასთან ქიშპობას. გაუწიეს რა ანგარიში ამ თავის ძლიერებას, ამერიკელებმა განუცხადეს ინგლისელებს: „თქვენ გსურთ, რომ ჩვენ არ გავაორკეცოთ ჩვენი სამხედრო გემების რაოდენობა? თქვენ გსურთ, რომ საზღვაო შეიარაღების საქმეში ჩვენ ფეხიფეხ ვიაროთ? მაშ, კეთილ ინებეთ და გასწყვიტეთ კავშირი იაპონიასთან.“ ამ საკითხის გადასაწყვეტათ იყო მოწვეული ვაშინგტონის კონფერენცია და ამ კონფერენციაზე ამერიკამ განახორციელა თავისი მიზანი: მან უარი სთქვა საზღვაო ფლოტის შემდეგ გაძლიერებაზე და სამაგიეროთ მიაღწია ინგლის-იაპონიის შეთანხმების გაუქმებას. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, თუ რა იმალებოდა ვაშინგტონის კონფერენციაზე მაღალ ფრაზების ქვეშ საყოველთაო განიარაღების შესახებ, ჰუმანიურ სიტყვების ქვეშ: „ჩვენ ომის, ძმათა შორის სისხლის ღვრის წინააღმდეგი ვართო“. ამერიკის „დემოკრატიის“, სახარებისა და ქრისტიანული მორალის ამ უდიდესი პატივისმცემელის ჰუმანიური და კაცთმოყვარე სიტყვების ქვეშ იმალებოდა სურვილი იაპონიის სრული იზოლიაციისათვის პირობების შექმნის, ისეთი პირობების შექმნის, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი ყოფილიყო იარაღის საშვალებით იაპონიის წელში გატეხა და კბილებიდან გემრიელი ლუკმის ჩინეთის გამოგლეჯა, ინგლისელებმა, როგორც მე ვთქვი, ვაშინგტონის კონფერენციაზე დაუთმეს ამერიკას, მაგრამ არა ბოლომდის; ისინი შუა გზაზე შეჩერდენ. მათ იაპონიასთან ხელშეკრულება გააუქმეს, მაგრამ პირობა ამერიკასთან ერთად მომავალში იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ არ მიეციათ. ამიტომ, ამერიკელებმაც თავის მხრივ საზღვაო შეიარაღების შემცირების პრინციპში ერთი პატარა შესწორება შეიტანეს: ახალი დრედნოუტების აშენება არ შეიძლება, მაგრამ წყალქვეშა ნავების აშენება კი—რამდენიც გსურთ. ამ შესწორების აზრი ასეთი იყო: ჩვენ, საშვალებას ვაძლევთ საფრანგეთს ააგოს წყალქვეშა ნავები, რომ თუ საჭირო დარჩეს ცეცხლის რკალით შემოერტყას მას და მოსწყვიტოს ის სურსათის წყაროებს. წყალქვეშა ნავები ანგარიშში არ არის მისაღები, რადგან მათ აშენებენ ინგლისის წინააღმდეგ. ამრიგათ აღმოჩნდა, რომ როგორც ინგლისელები, ისე ამერიკელები, უთანხმდებოდენ რა ერთმანეთს, ქვას მალავდენ იღლიას ქვეშ. ინგლისელები ამბობდენ: თუ თქვენ ომს გამოუცხადებთ იაპონიას, ჩვენ შეიძლება ნეიტრალიტეტი დავიცვათ, შესაძლოა იაპონიას დაუჭიროთ მხარი. ამერიკელები ამბობდენ: თუ თქვენ საფრანგეთს ომს გამოუცხადებთ, ჩვენ ნეიტრალიტეტს დავიცავთ, მაგრამ საშუალებას მივცემთ საფრანგეთს თავისი წყალქვეშა ნავებით დაღუპოს თქვენი ფლოტი.

ამ ერთი მეორის მოტყუებას და ერთმანეთის მოღალატეობას შედეგათ ის მოყვა, რომ კაპიტალისტური მსოფლიო ისევე ენერგიულად ემზადება ახალი სისხლის ღვრისათვის, როგორც 1914 წლის დამდეგს. მართალია, დრედნოუტებს ახლა არ აშენებენ მაგრამ სამაგიეროთ იაპონია სწრაფად აშენებს მსუბუქ კრეისერებს საფრანგეთი—აუარებელ წყალქვეშა ნავებს, ინგლისი კი — საჰაერო ფლოტს.

ამხანაგებო! მე თქვენ გიამბეთ, თუ როგორ ყიდიან ერთი მეორეს გამარჯვებული მოკავშირეები. აი, ახლა მე თქვენ გიჩვენებთ სურათს თუ როგორ ყიდის თავის სამშობლოს გერმანიის დამარცხებული ბურჟუაზია. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რათ არის ახლა გერმანია იძულებული წავიდეს დათმობაზე საფრანგეთისადმი რურის ოლქში?

გერმანიის ბურჟუაზიის გამყიდველობა

როდესაც გერმანიამ დაიწყო პასიური წინააღმდეგობის გაწევა, ოკუპანტებისათვის ნათელი გახდა, რომ ეს წინააღმდეგობა ხანგრძლივი და ნამდვილი წინააღმდეგობა იქნება იმ შემთხვევაში, თუ რურის მუშები ცოტაოდნად მაინც იქნებიან უზრუნველყოფილი სურსათით, თუ ოკუპანტები მოახერხებენ სიძვირის ზრდის და მარკის კურსის დაცემის შეჩერებას. მთავრობამ ამიტომ გადასწყვიტა შინაური სესხის გამოშვება, რათა ხელი შეუწყოს მარკის სტაბილიზაციას; ამ სესხის შედეგებზე დამოკიდებული იყო ოკუპანტების ნაციონალური წინააღმდეგობის ბედი. რა მოხდა? მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის ბურჟუაზიას ჰქონდა 1—3 მი-

ჩაშალა შინაური 200 მილ. მარკის სესხი. კიდევ მეტი, ყველა ის დიდი თანხები, რომელიც გერმანიის მთავრობამ გადასდო რურის დასახმარებლად, ჩაიჯიბა გერმანიის ბურჟუაზიამ. საიმპერიო ბანკმა დიდი კრედიტები გაუხსნა გერმანიის მსხვილ მრეწველებს. მან დაუხურდავა მათ სავაჭრო თამასუქები ორი ათასი მილიარდი ქაღალდის მარკის რაოდენობით, რაც იმ დროს უდრიდა 100 მილიონ დოლარს. იმის გამო, რომ ბურჟუაზიამ ჩაშალა შინაური სესხი, გერმანიის მარკამ ძალიან ჩქარა დაჰკარგა ფასი. და აი ამ ღირებულება დაკარგული მარკით მრეწველებმა გადაუხადეს მთავრობას თავისი ვალი 2 ათასი მილიარდი მარკა, როდესაც მისი ღირებულება იყო არა 100 მილიონი დოლარი, არამედ მხოლოდ 15 მილიონი. ამგვარად გერმანიის ბურჟუაზიამ ჩაიჯიბა სახელმწიფოს თანხებიდან 85 მილიონი დოლარი, რომელიც უნდა მოხმარებოდა საფრანგეთის ოკუპანტებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. მაგრამ შინაური სესხის ჩაშლით გერმანიის ბურჟუაზიამ ხელი შეუწყო მარკის კურსის კატასტროფიულ დაცემას და სხვა საშუალებით გაისქელა ჯიბეები გერმანიის უბედურების ხარჯზე: როდესაც მარკის კურსი ეცემოდა გერმანიიდან გასატან საქონლის ფასები უფრო მაღლა იწევდა, ვიდრე უცხოეთის ვალიუტის ფასი. ამიტომ კაპიტალისტებმა ჩაშალეს რა შინაური სესხი და ამით მოღალატური მახვილი ჩასცეს რა თავის სამშობლოს, საექსპორტო პრემიაც მიიღეს. ყველა ამ სამგმირო საქმეების შემდეგ გერმანიის ბურჟუაზიამ მძიმე ინდუსტრიის მეფის სტინესის მეთაურობით წარუდგინა საფრანგეთის კაპიტულიაციის თავისი პირობები: „ჩვენ მზად ვართ ყოველწლიურად გადაგიხადოთ თქვენ 500 მილიონი ოქროს მარკა, მაგრამ იმ პირობით, თუ თქვენ გააუქმებთ 8 საათის სამუშაო დღეს, მოსპობთ სატარიფო შეთანხმებას, თავისუფალ დაქირავებას და მუშებთან ანგარიშების გასწორებას და კერძო პირებისათვის სახელმწიფოებრივ რკინისგზების გადაცემასო.“ ეს ნიშნავდა ამას: „ჩვენ გავყიდეთ ჩვენი სამშობლო და მოვამზადეთ მისი კაპიტულიაცია, ხოლო ამისათვის პასუხი უნდა აგონ მუშებმაო“. მაგრამ საფრანგეთი არ დაკმაყოფილდა სტინესის პირობებით. ამან გამოიწვია კუნოს სამინისტროს დაცემა და შტრეზემანის კოალიციონურ კაბინეტის შედგენა სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით, რომელნიც სიამოვნებით დასთანხმდენ ბურჟუაზიის მიერ შექმნილ წუმპეში ბანაობაზე. ახალი მთავრობა მზადაა კიდევ უფრო მეტ დათმობაზე წავიდეს საფრანგეთისადმი, ვიდრე ძველი მთავრობა, ხოლო იმისათვის, რათა სრულიად გადაიხადოს ვალები საფრანგეთის მევახშეებს, იგი მხადაა ბურჟუაზიასაც მიაღებინოს მონაწილეობა ამ გადასახადებში. მაგრამ ჯერ-ჯერობით არა სჩანს, რომ შტრეზემანი ფიქრობდეს გადასახადების სიმძიმის ერთი ნაწილის ბურჟუაზიაზე გადატანას; ჯერ-ჯერობით სჩანს ის მხოლოდ, რომ ახალი მთავრობა კრძალავს სასოფლო-სამეურნეო გაფიცვების გამოცხადებას, სდევნის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, ემუქრება მუშებს. არ არის გასაკვირველი, რომ ფრანკფურტის სოც.-დემ. გაზეთი მწუხარებით აღნიშნავს; „ახალი მთავრობა, რომელშიაც სოც.-დემოკრატები შედიან განაგრძობს ძველი მთავრობის პოლიტიკას და ჩვენ პარტიას საბოლოოდ გაუტყდება სახელიო“.

აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: კაპიტალისტური ევროპა იშლება; ევროპის კაპიტალისტურ მეურნეობას არ შესწევს ძალა დასძლიოს კრიზისი, რომელიც ომმა წარმოშვა და მისი მდგომარეობა, რაც დრო გადის უფრო და უფრო უარესდება. ამ ეკონომიური დაცემის ფონზე ვითარდება პოლიტიკური გახრწნილება. გუშინდელი მოკავშირეები, რომელთაც მსოფლიო ომში ჩაითრიეს ხალხები და აღუთქვეს მათ, რომ ეს იქნება უკანასკნელი ომი, რომ გერმანიის კაპიტალიზმის განადგურების შემდეგ დამყარდება მუდმივი მშვიდობიანობა, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს თავისი მსხვერპლის გაწიწკნა, უკვე ამზადებენ ომს ერთმანეთის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ გერმანია სულს ღაფავს მოკავშირეების კლანჭებში და უკვე ინგლისი ემზადება საომრად საფრანგეთთან, ხოლო ამერიკა-იაპონიასთან. და იმ დროს, როდესაც მოკავშირეები ღალატობენ ერთმანეთს, გერმანიის ბირჟუაზია თავის საკუთარ სამშობლოს ღალატობს, როდესაც გერმანია ძლიერი იყო, როცა მისი შეიარაღებული ძალა ემუქრებოდა მთელ მსოფლიოს, გერმანიის მსხვილი ბურჟუაზია ძალიან პატრიოტულად იყო განწყობილი, ხოლო დღეს, როცა მის სამშობლოს უბედურება დაატყდა თავზე იგი დაუფიქრებლად ღალატობს მას, იცის რა, რომ კაპიტალი ყველგან იპოვის შემოსავალს.

2-ე ინტერნაციონალის პოზიცია.

ამხ., როგორ იქცევა 2-ე ინტერნაციონალი ასეთ პირობებში? იგი ყოველ საშუალებას ხმარობს, გამოაცოცხლოს, იხსნას და აღადგინოს დაღუპვის პირას მიმდგარი ევროპის კაპიტალიზმი და დახმარებას უწევს ბურჟუაზიას მუშათა მასების მოტყუებაში. მეორე ინტერნაციონალმა უკვე მოახდინა ერთი კარგი ცდა მსოფლიო ომის დროს. მან იცის, როგორ ლამაზ სიტყვებს ლაპარაკობდენ ამ ომის წინ და როგორ სამარცხვინოთ გამოაცხადა 2-ე ინტერ-ინტერნაციონალმა თავისი კაპიტუ-

ბის საფრთხის წინ, დღეს თუ არა ხვალ, სულ ახლო მომავალში, დაიწყება საფრანგეთ-ინგლისის და ამერიკა-იაპონიის ომი. ფრანგების რურში შესვლის წინ იყო მომენტი, როდესაც ფიქრობდენ, აი ეს არის იფეთქებს ომიო. რას აკეთებდენ სოციალ-დემოკრატები ასეთ პირობებში? ეხლა მათთვის გაცილებით უფრო ადვილია ომის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობის დაწყება, ვიდრე 1914 წელს, იმიტომ რომ დღეს ბურჟუაზიის ძალები ყველგან დასუსტებულია, იმიტომ რომ ხალხები დაიქანცენ ომისაგან და გულის ფანცქალით მოელიან მშვიდობიანობას. განა გამოიყენეს სოციალ-დემოკრატებმა ეს სასურველი პირობები იმისათვის, რათა თავს დაეხსნან დამნაშავე ბურჟუაზიას? სრულიადაც არა! ფრანგების რურში შემოსევამდე სოც.-დემოკრატები შეიკრიბენ ჰააგაში კონფერენციაზე ბურჟუაზიასთან და პაციფისტებთან ერთად, ამ კონფერენციაზე წარმოთქმულ იქნა მგრძნობიარე სიტყვები; კონფერენციაზე იმუქრებოდენ, რომ ომის დაწყების შემდეგ გამოცხადებული იქნება საყოველთაო გაფიცვაო. კომუნისტები უპასუხებდენ მათ: „რატომ ხვალინდელ დღეზე გველაპარაკებით? რას მოიტანს ხვალინდელი დღე ამას ჩვენ დავინახავთ. კეთილ ინებეთ და ეხლავე დაიწყეთ ბრძოლა ომის წინააღმდეგ. თქვენ ხომ ძალიან კარგად იცით, რომ უფრო ადვილია ომის წინასწარ თავიდან აშორება, ვიდრე შეჩერება, როდესაც იგი უკვე დაიწყება. მოდით და ეხლავე მივიღოთ ზომები ომის წინააღმდეგ. ეხლავე გამოაცხადეთ ერთი დღის საპროტესტო საყოველთაო გაფიცვა. მოაწყვეთ არალეგალური კომიტეტები ჯარებში პროპაგანდის საწარმოებლადაო“. უხმად ჩაიარა კომუნისტების მეცადინეობამ. 2 ინტერნაციონალის პარტიები ყველა მათ სამართლიან წინადადებებს უარყოფდენ და კმაყოფილდებოდენ ქაღალდზე დაწერილი რეზოლიუციების მიღებით. ასე იყო ჰააგაში. იგივე სურათი, კიდევ უფრო უარესი სახით განმეორდა ჰამბურგის ყრილობაზე. აქაც იმათ მიიღეს ქაღალდზე დაწერილი რეზოლიუცია ომის წინააღმდეგ. მაგრამ რა გააკეთეს მათ პრაქტიკულად ამ მიმართულებით? ისინი გამოვიდენ ერთიანი ფრონტით რევოლიუციონურ პროლეტარიატის, 3 ინტერნაციონალის წინააღმდეგ! ამხ. რადეკმა სისწორით განმარტა, თუ რატომ ვენის 2 ნახ. ინტერნაციონალმა,—რომელიც ოდესღაც ამბობდა—„ჩვენ გვინდა გავაერთიანოთ 2 და 3 ინტერნაციონალიო,—ჰამბურგში შესცვალა თავისი პოლიტიკა და განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია ვიაროთ კომუნისტებთან ერთად; ჩვენ მხოლოდ 2 ინტერნაციონალთან გვაქვს საერთო გზაო“.—მისი პოლიტიკის შეცვლის მიზეზი ნათელიაო—ამბობდა რადეკი. 2 ნახ. ინტერნაციონალი მსჯელობდა და მოქმედებდა ინგლისის ბურჟუაზიის დაგვარად. როდესაც ლოიდ-ჯორჯი აპირებდა შეთანხმებას საბჭოთა ხელისუფლებასთან იმ იმედით, რომ იგი გამოსწორდება და დაუბრუნდება კაპიტალიზმს, მაშინ 2 ნახ. ინტერნაციონალის წინამძღოლი ფრიდრიხ ადლერი მზად იყო კომუნისტებთან შესათანხმებლად იმ იმედით, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, ისინი გადასდგამენ მეორე ნაბიჯს და უარს იტყვიან პროლეტარიატის დიქტატურაზე. ასე მიდიოდა საქმე გენუას კონფერენციამდე. როდესაც ინგლისის ბურჟუაზიას გაუცრუვდა იმედი საბჭოთა რუსეთზე, როდესაც იგი დარწმუნდა, რომ კომუნისტები გამოუსწორებელი ხალხია, 2 ნახ. ინტერნაციონალმაც კერზონის შემდეგ დაჰკარგა იმედი, გადასწყვიტა, რომ ისინი გამოუსწორებელი არიან და ხელი გაუწოდეს შეიდემანელებს.

2 ინტერნაციონალის პარტიებმა ჰააგასა და ჰამბურგში მიიღეს რეზოლიუცია, რომ თუ ომი დაიწყო, ისინი გამოაცხადებენ საყოველთაო გაფიცვას. რა ფასიც ჰქონდა ქაღალდზე დაწერილ რეზოლიუციებს, ეს პრაქტიკაში დაამტკიცეს ინგლისის მუშათა პარტიამაც და გერმანიის სოციალ-დემოკრატიამაც. როდესაც დაიბადა ინგლის-საფრანგეთის ომის საფრთხე, ინგლისის მუშათა პარტიის ბელადმა, ჰენდერსონმა განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია უარი უთხრათ მთავრობას სამხედრო კრედიტზე; ჩვენც ხომ ოდესმე ვიქნებით მთავრობაში. რა უნდა ვქნათ, თუ უარს გვეტყვიან კრედიტებზეო? ამას ჩვენ ვერ ჩავიდენთო.“ ჰენდერსონი, ალბათ ვერ ხედავს პრინციპიალურ განსხვავებას ბურჟუაზიულ და მუშათა მთავრობის შორის, იმიტომ მოითხოვს, რომ პარტიამ მისცეს ხმა კრედიტებს საჰაერო ფლოტისათვის, რომელიც ყუმბარებს გადაყრის პარიზში. ეს კიდევ არაფერი; ინგლისის მუშათა პარტიის წინამძღოლები ამბობენ: „ჩვენ მხარს ვუჭერთ საბჭოთა რუსეთის ცნობას. მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ ბოლშევიკები რევოლიუციონურ აგიტაციას აწარმოებენ ჩვენს კოლონიაში, ჩვენც მომხრე ვიქნებით მასთან კავშირის გაწყვეტისა.“

ისინი, როგორც ხედავთ, ამხანაგებო, იცავენ ინგლისის უფლებას მონობაში იყოლიოს კოლონიები და ამას სჩადიან იმიტომ, რომ, მათი აზრით, სულ ერთია ვის უღლის ქვეშაც არ იქნება ინდოეთი; მაშ ისევ ინგლისის საკუთრებას შეადგენდეს იგი. ამასთან ერთად ისინი, თავგამოდებით ესარჩლებიან საწყალ საქართველოს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დაიპყროო“. მიზეზი მათი სიმპატიებისა „დამოუკიდებელ“ საქართველო-

დღეს, როგორც კი წითელი არმია დასტოვებს საქართველოს ეს „დამოუკიდებელი“ საქართველო ინგლისის კოლონიად გადაიქცევა!

აი როგორ იქცევიან 2 ინტერნაციონალის ბელადები ინგლისში.

გაცილებით უფრო ცუდათ ისინი იქცევიან გერმანიაში. იმ დროს, როდესაც გერმანია იმყოფება პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე, გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ვერაფერი ვერ მოიგონა იმაზე უკეთესი, ვიდრე კოალიცია ბურჟუაზიასთან!

რაზეა დამყარებული 2-ე ინტერნაციონალის თეორია? იგი დამყარებულია იმაზე, რომ გზა სოციალიზმისაკენ, დემოკრატიაზე მდებარეობს. დემოკრატია უსათუოდ არის ერთი აუცილებელი ეტაპთაგანი სოციალიზმისაკენ, ან როგორც ლენინმა სთქვა, ერთ-ერთი „მიდგომა“ მასთან. ამას ვერც ერთი მარქსისტი ვერ უარყოფს. მაგრამ რევოლიუციონური მარქსისტების თვალსაზრისით: დემოკრატიული რესპუბლიკა არის ერთი ნაბიჯი წინ ფეოდალურ მონარქიასთან შედარებით, არა იმიტომ, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიძლებოდა სოციალიზმის განხორციელება, სრულიადაც არა! იგი მხოლოდ არის ერთი ნაბიჯი წინ ფეოდალურ მონარქიასთან შედარებით, იმიტომ რომ დემოკრატიული რესპუბლიკა, მარქსის სიტყვით, არის წმინდა და აშკარა ფორმა ბურჟუაზიის ბატონობისა, რომლის დროსაც პროლეტარიატი უპირდაპირდება თავის კლასიურ მოწინააღმდეგეს, რომლის დროსაც უფრო თავისუფლად განვითარდება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. როდესაც კაპიტალიზმი ეცემა, როდესაც მოიწიფდა პირობები სოციალურ რევოლიუციისათვის, დემოკრატიას აღარ აქვს ადგილი, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ პირობებში თვით ბურჟუაზია აუქმებს მას, ასეთ პირობებში დემოკრატია არის მხოლოდ ცარიელი სიტყვები, რომლითაც მუშათა მასებს ატყუებენ. ეს დღევანდელ პირობებში მშვენივრად დაამტკიცა იტალიელ ამხანაგმა ჯულიო აკვილამ თავის ეხლახან გამოშვებულ წიგნში „ფაშიზმის“ სათაურით. რატომ წარმოიშვა ეხლა ფაშიზმიო? ჰკითხულობს ის. აი რატომ,—კაპიტალისტური მეურნეობა ყველგან ეცემა ძველი საშუალებით ამ მეურნეობის აღდგენა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ერთად ერთი, რაზედაც ბურჟუაზია დიდ იმედებს ამყარებს—არის ის, რომ ის მოახერხებს მდგომარეობის გამოსწორებას მუშათა კლასის სასტიკ და არაჩვეულებრივ ექსპლოატაციის საშუალებით. უნდა გამოსწოვენ მუშათა კლასს მთელი წვენი, რათა თანამედროვე პირობებში აღადგინონ კაპიტალისტური მეურნეობა, მაგრამ საუბედუროთ მუშათა კლასი გათამამდა; მას არ უნდა რომ იგი ძველებურად ყვლიფონ. როგორ უნდა მოიქცნენ? რჩება ერთად ერთი საშუალება. უნდა სთქვან უარი ხალხის მართვა-გამგეობის ძველ დემოკრატიულ მეთოდებზე. მუშები ძალით უნდა ამუშაონ, ისინი უნდა გაჰკლიტონ, მათ სისხლი უნდა გამოაცალონ; მაშინ შესაძლებელი იქნება მისი უღელში შებმა. ასეთია დღეს შეხედულება გაბატონებულ ბურჟუაზიისა. აქედან თქვენ ხედავთ ამხანაგებო, რამდენად ბრმები არიან სოციალ დემოკრატები, რომელთაც იმედი აქვთ ბურჟუაზიასთან კოალიციით-განახორციელონ რაღაც დემოკრატიული რეფორმები. ბურჟუაზიას ესაჭიროება დღეს არა დემოკრატიული რეფორმები, არამედ ფაშიზმი!

ფაშიზმი.

რა არის ეს ფაშიზმი? ეს არ არის, ამხანაგებო, ტერორი, რომელსაც კაპიტალისტური ბურჟუაზია **თავისი ხელებით** ახორციელებს. იგი დღეს ძალიან სუსტია, რომ **საკუთარი ხელებით** დაახრჩოს მუშები. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი მიმართავს თვალთმაქცურ და ომის დროს ნაცად საშუალებას ხალხის მოტყუილებას. იგი აღვივებს ნაციონალურ შუღლს წვრილ-ბურჟუაზიის და მუშათა გალატაკებულ ფენებს შორის, სარგებლობს რა იმით, რომ 2-ე ინტერნაციონალის პარტიებმა სახელი გაუტეხეს სოციალიზმს და ყოველ დღე ისინი ჰკარგავენ გავლენას ხალხთა მასებში. ფაშისტები ელაპარაკებიან ამ მასებს: „თქვენ თუ გინდათ მდგომარეობის გაუმჯობესება, შესწყვიტეთ კლასთა ბრძოლა, გაერთიანდით მებრძოლ პატრიოტულ კავშირებში თქვენი სამშობლოს გადასარჩენად, ძირს სოციალიზმი, გაუმარჯოს მებრძოლ ნაციონალიზმს და პატრიოტიზმს!“

ამ ლოზუნგის ქვეშ წარმოიშვა ფაშიზმი იტალიაში. ამ დროშის ქვეშ დაარსდა ფაშიზმი გერმანიაში. მუსოლინი იყო სოციალიზმის რენეგატი. მან, ყოფილმა სოციალისტმა, აღმართა ფაშისტური დროშა მსოფლიო ომის დაწყების დღიდან.

ის ამბობდა: „მე რევოლიუციონერი ვიყავი და ვრჩები რევოლიუციონერადვე მაგრამ მე პირველ ყოვლისა ვარ საკუთარ სამშობლოს პატრიოტი. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რათა გავაუმჯობესოთ ყველა იტალიელების, იტალიის ყველა კლასების, ბურჟუაზიის, პროლეტარიატის და გლეხობის მდგომარეობა. ჩვენ წინააღმდეგი ვართ აზნაურობის, ძველი პრივილეგიების, ძველი იტალიის. ჩვენ ვიცავთ ახალ, ძლევამოსილ, დამოუკიდებელ იტალიას, სადაც ბურჟუაზია, პროლეტარიატი და გლეხობა გაერთიანდებიან ერთ კავშირში.“ ამ საფუძველზე მუსოლინმა შექმნა თავისი ფაშისტური პარტია. ყველაფერი ეს დასაწყისში იყო მხოლოდ ჩვეულებრივი ნაციონალისტური

ტრიოტულ ფრაზებში, გამოირკვა შემდეგ, როდესაც აჯანყებულმა იტალიელმა მუშებმა, რომელთაც ხელში ჩაიგდეს ფაბრიკები, თავიანთ პოლიტიკურ წინამძღოლების ღალატის გამო, თავისი ნებით ჩააბარეს იარაღი. როგორც კი ეს მოხდა, ფაშისტებმა მოიხსნეს თავისი ნიღაბი და დაიწყეს მუშების განადგურება. აქ გამოცემულმა მუსოლინმა ერთბაშად დაიწყო თავისი ძველი გამოსვლები აზნაურობის და მანარქიის წინააღმდეგ. მან ჩაითრია თავის ბანდებში უმუშევარ აზნაურ-ოფიცრების, აზნაურ-ბანდიტების მებრძოლი რაზმები და მათთან ერთად დაიწყო ნადირობა რევოლიუციონურ მუშებზე. როდესაც ის, მოტყუებულ წვრილ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ მასების დახმარებით სათავეში მოექცა პროლეტარულ მასებს და როდესაც ამ მასებმა მოითხოვეს თამასუქების განაღდება, ყოველგვარ სოციალურ რეფორმების განხორციელება, მან გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც კაპიტალის წმინდა წყლის აგენტმა და სამი თითის კომბინაცია უჩვენა მასებს. ამ მომენტიდან დაიწყო იტალიის ფაშიზმის დაშლა...

ასევე ვითარდებოდა ფაშიზმი გერმანიაში. აქაც ფაშისტურ ორგანიზაციებში შედიან გალატაკებული მეშჩანობა, ინტელიგენცია, რომელთა წრეში ღვივდება ნაციონალური შუღლი საფრანგეთის ხალხის წინააღმდეგ და რომელნიც თავისდაუნებურად მოქმედებენ გერმანიის კაპიტალიზმის ვეშაპების, ბატონ სტინესების სასარგებლოთ. ბატონი სტინესები, რომელნიც კულისებში ურიგდებიან საფრანგეთის კაპიტალისტებს, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან ხელსაყრელ ფასებში გაჰყიდონ თავისი სამშობლო, ამავე დროს ხელს უწყობენ ეროვნულ შუღლს, შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: „ძირს ფრანგები, გამოდით მათ წინააღმდეგ ერთიანი ეროვნული ფრონტით!“ და ყველაფერი ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რათა მოატყუონ გლეხობა, მუშები, წვრილი ბურჟუაზია, რათა დაავიწყებიონ კლასთა ბრძოლა სამშობლოს მსხვილ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რათა მუშების კლასიური ორგანიზაციების დაშლით უფრო ადვილათ დააჯდნენ მათ კისერზე.

ასეთია მდგომარეობა ევროპაში, ამხანაგებო! და აი, დაფიქრდით მხოლოთ. ბურჟუაზიის ეკონომიური დაცემით საერთო პოლიტიკურ გახრწნილობის და ბურჟუაზიულ კლასების გამცემლობის პირობებში, ფაშისტების სისხლის მღვრელ ორგიების დროს, რომელთაც ბურჟუაზია ებღაუჭება, როგორც უკანასკნელ საშუალებას, 2-რე ინტერნაციონალის პარტიები გამოდიან ლამაზი სიტყვებით: „მოდით, დავამყაროთ დემოკრატია ევროპაში! მოდით შემოვიღოთ იქ კლასთა მშვიდობიანი თანამშრომლობა! მოდით, გავაერთიანოთ მგლები და ცხვრები დაღუპვის გზაზე დამდგარ თანამედროვე საზოგადოების გადასარჩენადო“.

ამხანაგებო! თუ ეს არ არის მუშათა კლასის შეგნებული ღალატი, ეს არის უდიდესი სისულელე, უდიდესი გონების სიჩლუნგე! როდესაც კაპიტალისტური მსოფლიო მომწიფდა დაღუპვისათვის, პროლეტარიატის ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ იგი გადაარჩინოს, არამედ იმაში, რომ იგი ჩაჰკლას და დაასამაროს.

მესამე ინტერნიციონალის ძალა-გავლენა და ტაქტიკა.

ეს ამოცანა დაისახა 3 ინტერნაციონალმა, რომელმაც სწორათ შეაფასა თანამედროვე ისტორიული მდგომარეობა. ამაშია მისი ძლიერება, და მისი ძლიერება იზრდება არა დღეობით, არამედ საათობით. რაზე ემყარება 3 ინტერნაციონალი დღევანდელ მომენტში? როგორია მისი არმიები და მისი რეზერვები? ამ კითხვაზე პასუხი გასცა კომპარტიის 12 ყრილობაზე ამხ. ბუხარინმა, რომელმაც თავის მოხსენებაში დაასურათა თანამედროვე მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარება. „ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკაო, ამბობდა ის, მოჰყავდა რა მას ლენინის სიტყვები, სდგას თითქოს უღელტეხილზე: ერთის მხრივ დასავლეთში —პროლეტარული მსოფლიო, რომელიც მოექცა სოციალურ რევოლიუციის ხანაში, მეორეს მხრივ—აღმოსავლეთი—გლეხთა მსოფლიო, კოლონიების და ნახევრად კოლონიების მსოფლიო, რომელთა შორის იზრდება რევოლიუციონური, ნაციონალური — განმანთავისუფლებელი მოძრაობა დიდი სახელმწიფოების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. და აი ჩვენი საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც დაამყ რა პროლეტარიატის და გლეხობის კავშირი, ერთ ხელს უწოდებს დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატს, ხოლო მეორეს აღმოსავლეთის მრავალ-მილიონიან გლეხობას. იქაც და აქაც ამ გაწვდილ ხელს მხურვალე სალამით ხვდებიან.

იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ, თუ როგორ გაფართოვდა აღმოსავლეთში რევოლიუციონური, ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და რამდენად დიდ ფენებს მოედვა იგი, ამხ. ბუხარინმა მოიყვანა ერთი მაგალითი: ჰოლანდიის ინდოეთის კუნძულებზე: ბორნეო, იავა, ცელებესზე და სხვ. არსებობს სახალხო რევოლიუციონური პარტია, რომელიც იბრძვის უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგ და რომელსაც ჰყავს 1 ნახ. მილიონი წევრი; მას გამოეყო კომუნისტური პარტია, რომელშიაც ამჟამად ითვლება 13 ათასი წევრი! ანალოგიურ მოვლენას ჩვენ ვაჩნევთ მთელ აღმოსავლეთში. ინდოეთში 1921 წელს იფეთქა მუსლიმან-გლეხების აჯანყებამ, რომელიც სისხლში ჩაახრჩო თავისუფლების მოყვარულმა ინგლისელებმა, რომელთაც დახოცეს და დახვრიტეს 2000 კაცი, დასჯრეს 1800 და დააპატიმრეს 6000 კაცი. რის შემდეგ 35000 დანებდა იარაღით ხელში. მაგრამ მოძრაობა არ შეწყვეტილა, ეხლა მან პენჯაბში იფეთქა. ცოტა სხვანაირად ვითარდება რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში. ჩინეთი არის იმპერიალისტურ სახელმწიფოების ნახევრად — კოლონია. ჩინეთი განიყოფება უცხოეთის კაპიტალის „გავლენის რამდენიმე სფეროთ“ ჩრდილოეთ-ჩინეთი არის იაპონიის გავლენის სფერო. სამხრეთ-ჩინეთში ფარულად ბატონობს ანტანტა. და აი, სამხრეთ ჩინეთში შეჩნეულია საკმაოთ ძლიერი წვრილ-ბურჟუაზიული მოძრაობა, რომელიც მიმართულია უმთავრესად ინგლისის კაპიტალის წინააღმდეგ და რომელსაც მეთაურობს სუნ-იატ-სენი. ამ მოძრაობას ბევრი საერთო აქვს ჩვენ ძველ ესერულ მოძრაობასთან; მაგრამ ჩამორჩენილ ჩინეთის პირობებში, ესერებს შეუძლიათ ითამაშონ ჯერ კიდევ დიდი რევოლიუციონური როლი, რამდენადაც მათი მოქმედება მიმართულია ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამასთან ერთად ჩინეთში სწარმოებს საკმაოთ ძლიერი პროლეტარული მოძრაობა: იქ არის ამჟამად 2 მილიონი სამრეწველო მუშა და 3 მილიონი შინამრეწველი; ყველა სამრეწველო მუშათა პროფკავშირები ამჟამად დაპყრობილი ჰყავთ კომუნისტებს.

აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ყველაზე უფრო რევოლიუციონურ სიტუაციაში იმყოფება ამჟამად იაპონია. იაპონია განიცდის ეხლა იმას, რასაც განიცდიდა რუსეთი 1905 წელს. იაპონია წარმოადგენს ამჟამად განუსაზღვრელ მონარქიას, რომლის მთავრობაც ემყარება ფეოდალურ პარტიას. ამ ფეოდალურ რეჟიმის წინააღმდეგ იწყება ლიბერალურ ბურჟუაზიის ოპოზიციონური მოძრაობა, რომელიც აყენებს საყოველთაო საარჩევნო უფლების დემოკრატიულ მოთხოვნილებას. ამასთან ერთად იაპონიაში სწარმოებს პროლეტარიატის რევოლიუციონური და გლეხთა აგრარული მოძრაობა; კომუნისტების ზეგავლენით მოიჯარადრე—გლეხთა სრულიად იაპონიის ყრილობამ დაადგინა ხელი-ხელ ჩაკიდებული იაროს მუშათა კლასთან. იაპონიის კომუნისტები, უყრიან რა საფუძველს პროლეტარიატის და გლეხობის კავშირს, ამავე დროს, განმანთავისუფლებელ მოძრაობის ამ თუ იმ სტადიაში მხარს უჭერენ ბურჟუაზიის ლიბერალურ-დემოკრატიულ მოთხოვნილებებს. ყველაფერ ამის შემდეგ, იაპონიაში ისეთი რევოლიუციონური სიტუაცია შეიქმნა, რომ მთავრობა იძულებული იყო თავისი ჯარები გაეყვანა ვლადივასტოკიდან, რათა არ გართულებულიყო მდგომარეობა საბჭოთა რუსეთთან.

თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალს მხარს უჭერენ დღეს აღმოსავლეთში აქტიური ძალები, და დიდი რევოლიუციონური რეზერვები. დასავლეთშიაც ის ართმევს ახალ-ახალ პოზიციებს 2—ე ინტერნაციონალს. საფრანგეთში კომუნისტური პარტია ამჟამად უფრო ძლიერია ოპორტიუნისტულზე. იქ კომუნისტურ პარტიას ჰყავს 70 ათასი წევრი, ოპორტიუნისტულს კი 40-ათ.-ზე ნაკლები. გერმანიაში ჯერ კიდევ ივნისში გერმანიის სოც.-დემოკრატიას ჰყავდა 1 მილიონი წევრი, ახალგაზრდა კომუნისტურ პარტიას კი 215 ათასი, მაგრამ თქვენ იცით, რომ ეს რიცხვი მოძრაობის მთავარ ცენტრებში გაორკეცდა. ამას დღეს თქვენ წაიკითხავდით დეპეშებში. მე შემიძლია დაუმატო, რომ კომუნისტური გაზეთის „როტე ფანეს“ ხელისმომწერთა რიცხვი ერთ კვირაში ორჯერ მეტი გახდა. მსოფლიოში ოდესღაც ყველაზე ძლიერ სოც.-დემ. პარტიის დაშლა ხდება ამჟამად გაცილებით უფრო ჩქარის ტემპით, ვიდრე 2 ინტერნაციონალის დაშლა სადაც არ უნდა იყოს ეს. მხოლოდ ინგლისში ოპორტიუნისტული მუშათა პარტია არ განიცდის დაშლას და ამას წინად ბრწყინვალედ გაიმარჯვა არჩევნებში. მაგრამ ინგლისში მუშათა მოძრაობის პირობები ყოველთვის თავისებური იყო. იქ ურთიერთობა მუშათა პარტიისა და და მუშათა მასებს შორის არ არის ისეთი, როგორც ევროპის კონტინენტზე. იქ რევოლიუციონურ მოძრაობის მომენტებში, მასები კი არ მიჰყვებიან წინამძღოლებს, არამედ წინამძღოლები მისდევენ კუდში მასებს. იქ მუშათა კლასი მიდის წინ ფრთხილად და ერეკება წინ თავის წინამძღოლებს, როგორათაც უკანასკნელები არ იჩენდნენ ჯიუტობას.

[illegible]
მოძრაობის ტალღები. იწყება აჯ
ყება ევროპის იმპერიალიზმის
ნააღმდეგ. დასავლეთში იწყება პრ
ლეტარიატის უშუალო ბრძოლა
ლაუფლებისათვის. ცენტრში, საბჭ
თა რესპუბლიკაში მდებარეო
მსოფლიო რევოლიუციის მთავა
შტაბი—კომინტერნი, რომელნიც
ლმძღვანელობს მთელ ამ მსოფლ
მოძრაობას. ამ კომინტერნს ახას
თებს ორი თვისება: „იგი ერთ
მხრივ, მედგრად, მიდის თავის მ
ნისაკენ—პროლეტარიატის დიქტ
ტურისაკენ; მეორეს მხრივ ამ მიზ
მისაღწევად იგი მიმართავს
ლიან მოქნილ ტაქტიკას. ჩამო
ჩენილ აღმოსავლეთში ის ხელ
უწყობს დემოკრატიულ ეროვნუ
განმანთავისუფლებელ მოძრაობ
ეყრდნობა რა უმთავრესად გლე
მასებზე. უწევს რა დახმარებას ა
მოსავლეთის კოლონიების და ნახ
რად კოლონიების ამ განმანთავისუ
ლებელ მოძრაობას, იგი ამით ძი
უთხრის ევროპის კაპიტალიზმს.
სავლეთში ის ხელმძღვანელობ
უწევს პროლეტარულ მასებს, რომე
ნიც იბრძვიან ძალა-უფლებისათვ
პროლეტარული რევოლიუციის
მარჯვებისათვის დასავლეთში ის აყ
ნებს ერთიანი ფრონტის ლოზუნ
რამდენადაც მუშათა მასების დ
დი ნაწილი ჯერ კიდევ გან
ცდის მე-2-ე ინტერნაციონალის პა
ტიების ზეგავლენას და ერთია
ფრონტის ეს ლოზუნგი ყველაზე უ
თესად შლის ამ პარტიებს, ვინაიდ
მათ სრულიად არ შესწევთ ბრძოლ
უნარი. ამავე დროს კომინტერ
აყენებს იქ მოთხოვნილებას პირვე
რიგში მოეწყოს იქ მუშათა და გლე
თა მთავრობა, არა წმინდა კომუნი
ტური, არამედ უბრალო მუშურ-გლ
ხური, საბჭოთა მთავრობა, როგორ
ამას სჩადიოდენ ბოლშევიკები ო
ტომბრის გადატრიალების წინ. კიდ
მეტი, ფაშიზმის წინააღმდეგ წარმ
ტებით საბრძოლველად დასავლეთ
ის სცდილობს აწარმოოს პროპაგა
და გალატაკებულ წვრილ-ბურჟუ
ზიულ ინტელიგენციის შორის, რ
მელიც მოწამლულია ნაციონალიზმი
და შოვინიზმით და მისი მეცადინე
ბა ამ მიმართულებით გამარჯვებ
გვირგვინდება.

როდესაც წვრილ-ბურჟუაზიულ
ინტელიგენციის მტრები რწმუნდებია
რომ მათი ბრძოლით სარგებლობ
მხოლოდ კაპიტალიზმის ვეშაპებ
ისინი ერთბაშათ იცვლიან ფრონტ
და მზად არიან მიემხრონ კომუნი
ტებს.

ამხანაგებო, მე-3-ე კომინტერნ
თავის ტაქტიკაში ანგარიშს უწე
არა მარტო რუსეთის კომუნისტებ
მიერ მიღწეულ გამარჯვებას, არამე
მხედველობაში იღებს იმ შეცდომებ
რომელსაც ბოლშევიკები უშვებდ
სოციალურ რევოლიუციის პირვე
ხანებში. მე-3-ე კომინტერნი სცდ
ლობს არ განიმეოროს ეს შეცდომებ
ის მაგალითად, სხვანაირად უდგებ
ინტელიგენციას, და სცდილობს ახა
ლი ეკონომიური პოლიტიკის გაკვე
თილები გამოიყენოს პროლეტარულ
რევოლიუციის პირველ სტადიაში
ამიტომ, ამხანაგებო, ჩვენ შეგვიძლი
დარწმუნებული ვიყოთ, რომ რამდე
ნადაც ძნელი არ უნდა იყოს კომუ
ნისტების მომავალი ბრძოლა დასავ
ლეთში, ისინი მაინც სულ ახლო მო
მავალში საბოლოოდ გაიმარჯვებენ
კაპიტალიზმზე.

მოქ. ი. ი. ივანოვის საქმე

ღია წერილი მოქ. ილია ივანოვს

„პასუხი“-ს საპასუხოდ *)

რადგან თქვენი აზრით, ილია ივანესძევ, საზიზღარი ცილისწამება ყოფილა ჩემ მიერ წამოყენებული ბრალდებანი, რომელთა სიყალბის დასამტკიცებლათ თხოულობთ საქმის გამომძიებელ კომისიას და რომ ამ გამოძიების შინაარსი არ დარჩეს მიფუჩეჩებული, მე შეუდგები ჩემ მიერ გაზეთ „კომუნისტ“-ის 173 ნომერში წამოყენებულ ბრალდებათა დოკუმენტალურათ დამტკიცებას. დეე ფართო მკითხველმა საზოგადოებამ დასდოს ამას თავისი მიუდგომელი მსჯავრი და არა მარტო ვიწრო შემადგენლობის კომისიამ.

მაშ დავიწყოთ:

გაზ. “კომუნისტ“-ის წ. წ. 17 ნოემბ. № 260-ში წამოყენებულ ბრალდებათა შესახებ თქვენ საჯაროთ არ გითქვამთ რა, ხოლო თქვენ „შინაურობაში“ „ფურჩული“ არავისთვის არ წარმოადგენს ღირებულებას და სავალდებულო არაა. კვამლი უცეცხლოდ არ გამოჩნდება. რომ რაღაც იყო, ამას თქვენც ადასტურებთ, როდესაც ამბობთ, რომ ამ ბრალდებათა გასაბათილებლად მე კომისიას წარუდგინე ყველაფერიო. ის არა სჯობდა, ბ. ილია, თუ რამ გქონდათ თავის გასამართლებელი, იმ გაზეთში გამოგექვეყნებიათ, სადაც დაიბეჭდა აღნიშნული წერილები?

აქ საინტერესოა კიდევ შემდეგი: თქვენ ხსენებული წერილებით ბრალი გედებოდათ, რომ აახრეთ ხარის თვალის ტყეები, რაჭის და მთელი რესპუბლიკის ეს დაუფასებელი სიმდიდრე და საკვირველია, დღემდის არც ადგილობრივმა რაჭის განსაკუთრებულმა სატყეო კოლეგიამ და არც მიწათ-მოქმედების კომისარიატმა არაფერი გვამცნო ამის შესახებ. რატომ სდუმხართ? ან დაადასტურეთ —თუ ეს მართალია, ან უარყავით დ. გ—ს წერილებში მოხსენებული ივანოვის მიერ ტყის და მუშა ძალის უმგვანო ექსპლოატაცია.

თუ ცილისწამებაა და ისიც საზიზღარი, ჩემ მიერ მეორე მუხლში წამოყენებული შეკითხვა—წაიკითხავდით, ბ. ილია, გაზეთ „კომუნისტის“ 193 ნომერში მოთავსებულ წერილებს ამხანაგ ჭოგნარელ და საზანოელ გლეხებისას და თუ წაიკითხეთ, კიდევ დაიწყებთ მტკიცებას, რომ ეს ტყუილი და სიყალბეაო? იროდი კეზევაძე—ეს შეუდარებელი და ერთგული თავის მოვალეობის ტყის მცველი, რომ უმიზეზოთ დაითხოვეთ, ხოლო შემდეგ ურემზე გაცივდა და მოკვდა—რატომ არ აძლევთ თავის ხვედრ, მისი ოფლით მოპოვებულ ნამუშევარს მის უდროოდ დაობლებულ მუხუც დედას? ხომ ყელში გაგეხირებათ მისი ნაოფლარი?

თქვენი ძლევა-მოსილების ქადაგებით თქვენი ხელქვეითების მიერ ჯერ კიდევ შეშინებულია ყველა, თორემ რამდენი ამისთანა კეზევაძეები წამოყოფენ თავს, როცა დარწმუნდებიან, რომ თქვენ არც ისე მოსარიდებელი ყოფილხართ, როგორც მათ უხსნიდენ.

დასავლეთ საქართველოში თქვენ ბ. ილია, „საქართველოს სმოლსკის“ გეძახიან და თითქოს ეს მართლდება კიდეც. თქვენ ჯერ 1916 წელში მიგცეს პასუხ ს გებაში და გამოიძვრინეთ თავი—ე. ი. სადღაც მიიმალეთ რევოლიუციის პირველ წელს. შემდეგ 1918 წელში ისევ გამოჩნდით ახალ მთვარესავით და იჯარით აიღეთ აჯამეთის ტყეების ექსპლოატაცია — თქვენი მეუღლის ნათესავის, ნახუცარა ხახიშვილის სახელზე და როცა აახრეთ აჯამეთის ტყეები, ეს ფას დაუდებელი, ულეველი განძი და ასტყდა კვლევა-ძიება თქვენ ბოროტებათა გამგე ტყის მცველ რასტოვცევს, მის მაშინდელი, ხოლო ეხლა თქვენ თანაშემწეს და მოადგილეს, მალიჩკინს და აჯამეთის მაშინდელ ტყის მცველს, ხოლო ეხლა ქუთაისის ტყის კომიტეტს თავმჯდომარე ლომინაძეს—ცხრა თვე გაატკეცეს ციხეში. რომელი ერთი დაგისახელოთ. ბევრი საჩივრები იყო თქვენს შესახებ, მაგრამ თქვენ, ბ. ილია, ყველა ამას თავს აღწევდით და ამიტომ სდუმს ჯერ ყველა. იმერეთს რომ თავი დავანებოთ, ქართლი და კახეთის გლეხობა გეყოფათ.

მე ვიცი თქვენი ყაიდა, ბ. ილია, ამაზე თქვენ ასეთნაირად იმართლებთ თავს, რომ ფული მე ჩემს კონტრაგენტებს გავატანე დასარიგებლადო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ როცა ეს გლეხობა თქვენთან მოდიოდა კანტორაში და გთხოვდათ ხვედრ ნამუშევარს, თუ მართლა გაატანეთ ვისმეს მათი ხვედრი—რატომ ერეკებოდით კანტორიდან, რატომ არ მოუსმინეთ და არ გამოიძიეთ თქვენი გატანებული (დასარიგებლად) ფული ვის მისცეს მათ; მაგრამ როგორ შეგეძლოთ ასე მოქცეულიყავით, როდესაც თქვენ და თქვენი „ძმა ბიჭები“, ბ. ილია, სწორეთ ასე ისქელებთ ჯიბეს და ქეიფობთ. არ ქეიფობთ? დავეკითხოთ ვისაც გსურთ და მაშინ ნახავთ. აქ მე, ბ. ილია, უნდა შევეხო იმ ერთს მარტო, რომელიც თქვენ გაამართეთ გასულ წელში სოფ. ჭოგნარში ლადიკო ლანჩავას—(მგონი სექტემბრის შუა რიცხვი იყო) სადაც წაიყვანეთ მთელი კანტორა, გინდოდათ რა ქეიფის არევ-დარევის დროს დაგეზრევინებიათ რამოდენიმე თქვენი და თქვენი დამქაშებისათვის არა სასურველი მოსამსახურენი — და ასეც მოიქეცით. ასტეხეთ მთვრალებმა უკანასკნელის ეზოში კინკლაჩხუნკალი, რომელიც გადავიდა ხელპინძლის ქალების წივილ-კივილი და არ იცის კაცმა თქვენი ხელქვეითი, კანტორის მოხილე, დობრასოტსკის მიბეგვა რით გათავდებოდა, რომ ამ აურზაურზე იქვე მახლობელ ტყეში მყოფნი მონადირენი არ მოგეშველებოდათ და არ დაეზავებიეთ.

თქვენ და თქვენ ხელქვეით მოხელეთ თუ არ გაუციათ როდინაულის ტყეში 4 ნახ. არშინიანი რკინისგზის კუთვნილი მეხის მორები საყავრეთ, დავეკითხოთ ჩემს ამ საგანზე დასავლეთის რევტრიბუნალში შეტანილ საჩივარში დასახელებულ მოწმეთ და მაშინ დარწმუნდით. ხოლო მანამდის კი გაცნობებთ, რომ თქვენთან ამ საგანზე კონსტანტინე ხიხიბაძემ შემოიტანა 5 მარტს 1922 წ. თხოვნა რომელშიაც სწერია: В декабре месяце, по соглашенію Вашего агента Гугунава, я заготовил из бракованних бревень 4 шт. дран; по билету № 193 12 янв. сего 1922 года мною куплено в участке Родинаули два дерева бубовых (ცოტა ქვევით в замен принять 4 бревна из моих деревь— და სხვ. და აი, ეს თხოვნა აღნუსხულია თქვენ საშემოსავლო წიგნში 8 მარტის—№ 1300 და აქვს რეზოლიუცია: Химшиеву. „Сделать обмен по количеству“ და შემდეგ გადაგზავნილია უკანასკნელთან 15 მარ. № 811. ამტკიცებს თუ არა, ბ. ილია, ეს საბუთი, რომლის დედანი მე მაქვს, ხოლო რედაქციას უდევს ასლს, რომ 1921 წლის დეკემბერში თქვენ გააჩუქეთ სახაზინო ქონება? ვინ მოგცათ ამის უფლება? და თუ ამხ. ხიხიბაძის მეტს არ გაუხდია იქ მაშინ ყავარი—დავეკითხოთ მოწმეებს, რომელიც მე დასახელებული მყავს დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში თქვენ შესახებ შეტანილ საჩივარში და მაშინ ვნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია

მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა

კაპიტალისტური ევროპის დაშლა და კომუნისტური ინტერნაციონალი*)

(ამხ. მარტინოვის მოხსენება).

ამომავალი მზე სოციალიზმისა

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, თუ როგორ ეჭვს გამოსთქვამდენ იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკა შესძლებს ეკონომიური ნგრევის პროცესის დაძლევას. ვისაც კიდევ შერჩენია ასეთი ეჭვი, იმგზავროს მოსკოვში და ნახოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ერთი კვირით ადრე კავკასიაში გამგზავრებამდე, მე დავესწარი ამ გამოფენის გახსნას. მე ზერელეთ დავათვალიერე ორმოცი საათის განმავლობაში. ამხანაგებო! გამოფენამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. როცა ვათვალიერებდი ამ გამოფენას, ჩემს თვალწინ აიხადა ფარდა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის მომავალი კომუნისტური წყობილებისა. უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ მე ჩემს სიცოცხლეში ბევრჯერ მინახავს მსოფლიო და ნაციონალური გამოფენები, მაგალითად პარიზსა და ბერნში, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მოუხდენია ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება. გასაკვირველია, ჩვენ ღარიბი ვართ, ღატაკი ვართ და გამოფენას არ შეეძლო გამოეგონებია ის, რაც არ არის. არც დაუსახავს მიზნათ ჩვენი სი[illegible] დაფარვა, შელამაზება. პირიქით. მაგრამ ორმა რამ განმაცვიფრა მე გამოფენაზე. პირველ ყოვლისა, 6000 მუშის ძალღონით, ოთხი თვის განმავლობაში გაშენებულია მთელი პატარა ქალაქი 179 პავილიონით და შენობით, ბოსტნებით: ყვავილნარებით და ნახნავებით, მთელი პატარა ქალაქი, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა შეთანხმებული მუშაობის წყალობით ცოცხალ სურათს იძლევა იმისას, თუ როგორ ცხოვრობენ მრავალი მილიონი გლეხები ამ ვეებერთელა ქვეყანაში, რომელსაც მსოფლიოს მეექვსე ნაწილი უჭირავს, როგორ ცხოვრობდენ ისინი, როგორ უნდა იცხოვრონ და როგორ იცხოვრებენ ისინი მომავალში. ოთხი თვის განმავლობაში, თითქმის განუწყვეტელ წვიმებში, ჭაობიან ადგილზე, რომელიც უწინ სიბინძურის მოსაგროვებელი ადგილი იყო, აშენდა თვალწარმტაცი, სტილიანი, ფეერიული გამოფენა. მუშაობდენ ამერიკულად, მუშაობდენ საათობით. აძლევდენ რიგს, რომ ამ დღეს, ამ და ამ საათზე უნდა დამთავრდეს ესა და ეს სამუშაო, მუშაობა სრულდებოდა დანიშნულ დღეს და საათს. საჭირო იყო ბევრი „ობლომოვშჩინის" პირობებში, ჩვენს ქვეყანაში, რომელიც საუკუნოების განმავლობაში შეეჩვია მუშაობას ნელ-ნელა, არა გულმოდგინეთ, ზანტად, რევოლუციური ენერგიის გაღვიძება იმისათვის, რომ ასეთის სისწორით, ასე სწრაფად, ასეთი ჯადოსნური სისწრაფით აგებულიყო ეს გამოფენა. ამისათვის საჭირო იყო უდიდესი ნებისყოფა, უდიდესი გატაცება, რომელიც შეიძლება ქონდეს მხოლოდ რევოლუციონურ კლასს, კლასს რომელიც ძალაუფლებისათვის ემზადება. ეს, ამხანაგებო, საქმის ერთი მხარეა. მაგრამ არის მეორე მხარეც, რომელსაც თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში, მათ შორის კაპიტალისტურ ამერიკაშიაც. მეორე მხარეა გამოფენის იდეური ხასიათი, გამოფენის იდეის სიმბოლო არის ფარდული, რომლის ორივე მხარე დაფარულია მიწით და ყვავილებით არის მორგული, ერთ მხარეზე ცოცხალი ყვავილებით არის დაწერილი ლენინის სიტყვები გლეხობასა და მუშებს შორის კავშირის შესახებ. ფარდულის სახურავის მეორე მხარეზე, აგრეთვე ცოცხალი ყვავილებით დახატულია ლენინის სურათი. ეს ვეებერთელა, კვადრატული საჟენის სიდიდის სურათი, ცოცხალი ყვავილებიდან ნახატრული ტექნიკის სრულქმნაა, არაფრით არ განსხვავდება ნამდვილი საღებავებით დახატულ სურათისგან. შემდეგ თქვენ ხედავთ აგრეთვე საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკის რუქას, რომელიც დახატულია აგრეთვე ცოცხალი მცენარეებით, ქვებით და წყალით. თქვენ ხედავთ გამოფენის დასაწყისში მის ტვინს—დიდ პავილიონს სტატისტიკური დიაგრამებით, რომლებიც გვიჩვენებენ მთელი საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის მდგომარეობას, აქ არის სხვადასხვა მინერალების, ნიადაგის და მცენარეულობის ნიმუშები, აგრონომიული ლაბორატორიები. შემდეგ, თანდათანობით იშლება სურათი იმისა, თუ როგორ მუშაობს გლეხობა თითეულ გუბერნიაში, სად არის მტკივანი ადგილები მის მეურნეობაში და როგორ შეიძლება და უნდა გასწორდეს ის. თქვენს წინ იშლება სურათები მიწის მეურნეობისა, მესაქონლეობისა, მებაღეობისა, მებოსტნეობისა, შინამრეწველობისა, კოოპერაციისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ყველა დარგებისა—შაქრის, თამბაქოს, ჩაისა და სხვა. შემდეგ თქვენ ხედავთ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში მობინადრე ყველა ერების ყოფა-ცხოვრებას. ნამდვილი სახით არის გადმოტანილი აქ ყირგიზების კარვები—უღარიბესის, საშუალოსი და მდიდარის—მთელი თავისი მოწყობილობით და ცოცხალი კირგიზებით, შემდეგ ბურიატების და იაკუტების კარვები და სხვა. თქვენ აქ დაინახავთ ჩვენი განაპირა რაიონების — უკრაინის, ყირიმის, ყუბანის, აზერბაიჯანის, საქართველოს, აფხაზეთის, თურქესტანის, შორეული აღმოსავლეთის და სხვ. ყოფა ცხოვრებას. დაბოლოს თქვენ ხედავთ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიების ძველ და მომავალის ახალ სოფელს. თქვენ ხედავთ გლეხობის მეურნეობაში, ყოფა-ცხოვრებაში და სოციალურ ურთიერთობაში უკვე აღნიშნულ და დაწყებულ რევოლიუციას. თქვენ ხედავთ, თუ საით მიდის, სად უნდა მივიდეს და სად მივა ეს მრავალმილიონიანი გლეხობა სოციალისტურ პროლეტარიატთან კავშირით. აი რა მოგვცა ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებამ ოთხი თვის განმავლობაში. მე გეკითხებით თქვენ, ამხანაგებო: შესაძლებელი იყო თუ არა რაიმე ამის მსგავსი ძველ რუსეთში? გამოფენა იმის მაჩვენებელია, თუ როგორი შემოქმედებითი ენერგია, თუ როგორი უდიდესი ძალები გამოიჩინა ამ, ჯერ კიდევ ღატაკმა ქვეყანამ იმ მომენტიდან, როცა იქ განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება.

ამხანაგებო, ეს არის სოციალიზმის ამომავალი მზე ევროპის აღმოსავლეთში.

კაპიტალისტური მეურნეობის დაშლა ევროპაში

დასავლეთში კი, კაპიტალისტურ ევროპაში თქვენ ხედავთ ძველი კაპიტალისტური სამყაროს ნგრევას, დაშლას, ჩვენმა ამხანაგმა, პროფესორმა ვარგამ შეადგინა ანგარიში ევროპისა და ამერიკის მეურნეობის შესახებ 1923 წლის მეორე მეოთხედში, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, და დასკვნა, რომლამდისაც მივიდა ის, ასეთია: კაპიტალიზმი კვდება, ინგრევა ევროპაში, მისი სიმძიმის ცენტრი გადადის ამერიკაში. მხოლოდ იქ არის ჯერ კიდევ მაღალი სამრეწველო კონიუნქტურა. მხოლოდ ამერიკა განიცდის ჯერ კიდევ სამრეწველო აყვავებას. დასავლეთ-ევროპის კაპიტალიზმს კი უკვე არ ძალუძს ამოვიდეს ჭაობიდან, რომელშიც ის მოექცა მსოფლიო ომის დროს, ის უძლურია ამისათვის. მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა მოახდინა წარმოებაზე. ომის მიერ გამოწვეული განადგურების გარდა, იმის გამო, რომ კაპიტალისტური წრიდან გამოვიდა რუსეთი, იმის გამო, რომ ცენტრალური ევროპა დაქუცმაცდა, დანაწილდა, იმის გამო, რომ ევროპის ყველაზე ინდუსტრიალური ქვეყანა—გერმანია წელშია გატეხილი, იმის გამო, რომ დაირღვა წონასწორობა მსოფლიო მეურნეობაში, მსოფლიო კაპიტალისტური წარმოება საგრძნობათ შემცირდა.—1913 წლიდან 1919 წლამდი ჩუგუნის მსოფლიო დამუშავება 34,9 პროც.-ით შემცირდა. ბამბის—30,2 პროც.-ით, მარცვლეულის მოყვანა—30,5 პროც.-ით. ამის შემდეგ ევროპამ განიცადა კი 1920 უდიდესი ეკონომიური კრიზისი, შემდეგ ერთგვარი აყვავება. ახლა ის კვლავ მიექანება უკან. შრომის ნაყოფიერება ყველგან შემცირდა. ნედლი მასალა ოქროს ფულზე ერთნახევარჯერ მეტი ფასობს ვიდრე ომამდი. შემცირდა შრომის ნაყოფიერება ერთის გამონაკლისით: ყველა ქვეყნებში ფასები ნედლ მასალაზე (ოქროს ანგარიშით) შეადგენენ ომამდი არსებულ ფასების 150 პრო.-ს, გერმანიაში კი—90 პროც. და პოლონეთში ომამდი არსებულ ფასებს 100 პროც.-ს. მაგრამ ეს ფაქტი ლაპარაკობს არა გერმანიისა და პოლონეთის სასარგებლოთ. პირიქით, გაძვალტყავებული გერმანია და გაღატაკებული პოლონეთი იძულებული არის გაყიდონ თავისი საქონელი თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში. გერმანია იძულებულია თავისი ნედლი მასალა გაყიდოს ჩალის ფასად, რომ ჩარჩული პროცენტები აძლიოს გამარჯვებულებს. ევროპის მეურნეობის დაცემას მეორე მაჩვენებელია—უმუშევრობა. საერთოდ, საშუალოდ ევროპაში პროფესიულ ორგანიზაციებში შეკავშირებულ მუშების 11 პროც. უმუშევართა. თვით ინგლისში ტრედ-უნიონების წევრების 11 პროც. უმუშევრად სხედან. და ისევ, თითქოს ბედნიერ გამონაკლისს შეადგენს გერმანია, იქ ცოტა არის უმუშევარი, უმუშევართა რიცხვი მხოლოდ 6 პროც.-ს შეადგენს. რით აიხსნება ეს ფაქტი! იმით, რომ გერმანელმა მუშებმა, როგორც მონებმა განუწყვეტლივ უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ ანტანტის კაპიტალისტებს ვალები გადაუხადონ. იქ არა აქვთ დრო დასვენებისათვის. იქ მუშებს მცირეოდენ გროშებისათვის უხდებათ მთელი თავისი ძალების დაჭიმვა, რომ გადაუხადონ ვალები საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიას. მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის დაცემის მეორე მაჩვენებელია—საზღვაო მიმოსვლის მდგომარეობა. გემების პატრონები ჩივიან ყოველგან, რომ ტვირთი არ არის, რომ შეუძლებელი ხდება გემების რეისების ხარჯის დაფარვა. შემდეგ, მთელს ევროპაში ქაღალდის ფულების კურსი, თვით ინგლისში, ამერიკულ დოლლართან შედარებით ეცემა. თვით ინგლისში გირვანქა ღირს 4 დოლარი და 59 ცენტი. საფრანგეთში?—1914 წლიდან ფრანკის კურსი სამჯერ დაეცა ფასში და მისი დაცემის ტემპი თანდათანობით ვითარდება,—ეს ხდება გამარჯვებულ ქვეყანაში, რომელმაც აუარებელი ნადავლი შეაგროვა ომის დროს. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, იქ ქაღალდის ფულების კურსი, დოლართან შედარებით, კატასტროფიულად ეცემა. პოლონეთში 1923 წლის ზაფხულამდე მარკა დაეცა ფასში 38000 ჯერ, გერმანული მარკა კი—52000-ჯერ, ამის შემდეგ ის ყოველ დღე განაგრძობს სწრაფად დაცემას. ასეთია, ამხანაგებო, საერთოდ ფინანსებისა და მეურნეობის მდგომარეობა დასავლეთ ევროპაში!

მდგომარეობა საფრანგეთში.

ვნახოთ, თუ როგორია მდგომარეობა ცალკე ქვეყნებში, თუნდა გამარჯვებულ სახელმწიფოებში. ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდეგ საფრანგეთმა მოახერხა დანგრეულ ოლქების ოთხი მეხუთედის აღდგენა. მაგრამ რა დაუჯდა ეს მას! ეს აღდგენა საფრანგეთს დაუჯდა 130 მილიარდი ფრანკი, მხედველობაში უნდა მიიღოთ ისიც, რომ საფრანგეთს არავითარ შემსუბუქებას არ აძლევს გერმანიის მოღრჩობა. იმის შემდეგ, რაც საფრანგეთმა დაიპყრო რურის ოლქი და დაიკავა რურის მაღაროები, ის იღებს ნახშირს სამჯერ ნაკლებს რაოდენობით, ვიდრე რურის ოკუპაციამდი იღებდა. წინეთ საფრანგეთში მოქმედებდა 111 ღუმელი, რურის დაპყრობის შემდეგ კი მოქმედობს მხოლოდ 74. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დიდდება მომქმედ ღუმელების რაოდენობა. შემდეგ იმისათვის, რომ მუშტის ქვეშ იყოლიოს გერმანია, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ჰქონდეს შეიარაღებული მუშტი, რომ სუბსიდიები აძლიოს მცირე ანტანტას, პოლონეთს, რუმინეთს, ჰუნგრეთს,—საფრანგეთი იძულებულია ავალიჯოს საფრანგეთის გლეხებს დიდი თანხები. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ გადასახადები 1922 წელში საფრანგეთში უდრიდენ ცხრა ნახევარ მილიარდს საფრანგეთის ოქროს ფრანკებში? იცით, თქვენ, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთი 1922 წელში გლეხობას ართმევდა სამჯერ მეტს, ვიდრე გერმანია, და თუ ავიღებთ კომლობრივათ—საფრანგეთის გამარჯვებული გლეხი იძულებული იყო ხუთჯერ მეტი გადაეხადა ვიდრე გერმანელ გლეხს. ასეთია მდგომარეობა საფრანგეთში.

მდგომარეობა ინგლისში.

ახლა რა ხდება ინგლისში? ომის შემდეგ იყო მომენტი, როდესაც ღრმა ეკონომიურმა კრიზისმა შეარყია მთელი მსოფლიო მეურნეობა. ამის შემდეგ ანტანტის მეურნეობა. ამის შემდეგ ანტანტის მეურნეობამ დაიწყო შეგუება არსებულ მდგომარეობასთან. ინგლისმა მაგრათ ჩასჭიდა ხელი თავის ახალშენებს, საფრანგეთმა—თავის ვასსალებს—პოლონეთს, რუმინეთს, სამხრეთ-სლავიას და სხვა, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა—სამხრეთ-ამერიკას. ამრიგათ მათ მოახერხეს დროებით თავისი მრეწველობის აწევა, მაგრამ ცოტა ხნით. 1923 წელს სამრეწველო კონიუნქტურა ისევ უარესდება მთელს ევროპაში, კერძოთ კი ინგლისში. ინგლისში უმუშევრობის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე. რაც შეეხება მძიმე ინდუსტრიას, ამის შესახებ მეტად კომპეტენტური პიროვნება—„ვაჭრობაზე მზრუნველ საზოგადოებათა" თავმჯდომარე აცხადებს, რომ სულიერი განწყობილება ყველა მრეწველების პესიმისტურია. რკინისა და სპილენძის დამუშავებამ, რომელიც დროებით აწეული იქნა ომამდი არსებულ ნორმამდი, კვლავ დაიწყო დაცემა ივნისიდან. ნახშირის გატანა მაისში შემცირდა მარტში გატანილ რაოდენობასთან შედარებით. საფეიქრო მრეწველობაში, განუწყვეტლივ მდგომარეობა მეტად ცუდია. ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობის ამერიკულ სექციაში მარტიდან ქარხნები მუშაობენ მხოლოდ სამუშაო დღის ნახევარს. ომის დროს ინგლისი იძულებული გახდა გაძლიერებული ყურადღება მიექცია სოფლის მეურნეობისათვის. საჭირო გახდა უფრო მეტი მიწის მოხვნა მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად. ახლა სახნავ-სათესი მიწების სამი მეოთხედი კვლავ მიტოვებულია.

გერმანიაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. აქ კაპიტალიზმის მდგომარეობა კატასტროფიულია.

ამერიკაც კრიზისის წინაშე დგას

ასეთ მდგომარეობაშია დასავლეთ-ევროპის კაპიტალიზმი. მხოლოდ ამერიკაში, შეერთებულ შტატებში არის ჯერ-ჯერობით მრეწველობა უკეთეს მდგომარეობაში. შეუძლია თუ არა ამან გავლენა იქონიოს დასავლეთ-ევროპის მრეწველობაზე? არ შეუძლია, ამხანაგებო, რადგან ამერიკა ჩინური კედლით გაიმიჯნა ევროპისაგან. ამერიკამ შემოიღო არაჩვეულებრივათ დიდი ბაჟები ევროპის საქონელზე, რომ ამით წაართვას მას საშვალება შემოიტანოს თავისი ნაწარმოები ამერიკაში. თქვენ იცით რატომ სჩადის ამას ამერიკა? იმიტომ, რომ ამერიკელი მრეწველები ჩალის ფასად ყიდულობენ გაღატაკებულ გერმანიაში წარმოებებს და კონკურენციას უწევენ საკუთარ, ამერიკულ მრეწველობას. რომ დაიცვა თავი ამ კონკურენციისაგან, ამერიკის ბურჟუაზიამ აღმართა ეს ჩინური კედელი. უფრო მეტი, კანონმა რესპუბლიკის პრეზიდენტს მიანიჭა უფლება 50 პროცენტით გაადიდოს საბაჟო ტარიფი, თუ ამას ის საჭიროთ დაინახავს. მიუხედავათ ამ ხელოვნური ზღუდეებისა, ამერიკას პირველათ 30 წლის განმავლობაში 1923 წელს ჰქონდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი: მან შემოიტანა 118 მილიონი დოლარის უფრო მეტი საქონელი, ვიდრე გაიტანა. როგორ მოხდა ეს სასწაული და მოიგო თუ არა ამით რამე ევროპის კაპიტალიზმმა. სრულიადაც არა, ამხანაგებო. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამერიკაში შეაქვთ საქონელი თვით ამერიკელ კაპიტალისტებს, რომლებიც ჩალის ფასად იძენენ წარმოებებს გაღატაკებულ ევროპაში, ყვლეფენ იქ იაფ მუშა-ხელს და ამიტომ შეუძლიათ გადაიხადონ მაღალი ბაჟები, და, მეორეთ, იმიტომ, რომ საქონელი შეაქვთ ევროპიულ კაპიტალისტებს, რომლებიც თავის საქონელში ფულს არ იღებენ, რადგან საქონლით ისინი ვალს უხდიან ამერიკელ ჯიბა-სქელ ხალხს, რომელთა მოვალეა დღეს მთელი ევროპა. ასე ამრიგად საქონელი მიდის ამერიკაში, ევროპა კი ამ საქონელში ფულებს არ იღებს.

საერთოდ და მთლიანად თქვენ ხედავთ, რომ ევროპის კაპიტალიზმი იხრწნება, ამერიკის კაპიტალის საქმეები კი ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის, მაგრამ მტკიცეა კი ამერიკის კეთილდღეობა? უკანასკნელი ცნობებით, რომელიც მოყავს პროფესორ ვარგს, კონიუნქტურა ამერიკაში უარესდება, უკანასკნელი ცნობებით იქ უკვე გამოჩნდენ კრიზისის ნიშნები.

კაპიტალისტურ სახელმწიფოების ინტერესთა წინააღმდეგობა.

ჩვენ, მარქსისტები, დიდი ხანია ვლაპარაკობდით, რომ კაპიტალიზმი შევიდა თავის უკანასკნელ, მოხუცებულობის ფაზაში—იმპერიალიზმის ფაზაში, როცა მას აღარ შეუძლია უკვე ნორმალურათ განვითარება, როცა ის უკვე წარმოადგენს დაბრკოლებას საწარმოო ძალების განვითარებისათვის. მე არ გიკითხავთ თქვენ ლექციას პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, მე მხოლოდ მოგაგონებთ თქვენ, რომ მსოფლიო ომი, ყველა მართლმორწმუნე მარქსისტების თვალსაზრისით იყო შედეგი იმ ჩიხისა, რომელშიც შევიდა კაპიტალიზმი. რომ კაპიტალიზმი მოექცა ჩიხში, ამას ხედავდა თვით დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზია, მაგრამ ის ინუგეშებდა თავის და ატყუებდა თავის თავს და ხალხს. „არაფერია, არაფერია! აი, როცა ჩვენ წელში გავტეხავთ გერმანიის კაპიტალიზმს, რომელიც გერმანიის ხიშტებს ეყრდნობა, ჩვენ კვლავ თავისუფლათ ამოვისუნთქავთ, ჩვენში კვლავ აყვავდება მეურნეობა მოძმე ერებს შორის თავისუფალი კონკურენციის ნიადაგზე".—მაგრამ აი ბედნიერი ხანა დადგა: გერმანია წელშია გატეხილი. რამდენი წელი გავიდა და ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ აყვავებას. პირიქით, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მზადდება ნიადაგი ახალი ომებისათვის, ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის შემდეგ გახრწნას, დაშლას. ამ დამპალ ეკონომიურ ფუნდამენტზე, ამ დამპალ ნიადაგზე გახრწნილი საერთაშორისო პოლიტიკა. ამხანაგებო! რომ შეადაროთ ჩვენი ღატაკი რესპუბლიკა ევროპის ძლევა-მოსილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, თქვენ დაინახავთ მეტად საყურადღებო მოვლენას: საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა არის მტკიცე, შორს-მჭვრეტელი, ეს პოლიტიკა ითვალისწინებს მომავალს და ამიტომ ის ახერხებს დიპლომატიური გამარჯვებების ზედი-ზედ მოპოვებას... დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები კი აწარმოებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ახასიათებს დასაღუპად განწირულ კლასებს. ეს პოლიტიკა არის მერყევი, ცვალებადი, ის გამოხატავს მუდმივად მზად ყოფნას ურთიერთის და მოკავშირის და, თუ საჭირო დარჩა, საკუთარი სამშობლოს ღალატისათვის.

ამხანაგებო! არ არის არც ერთი საკითხი საერთაშორისო პოლიტიკაში, რომლის გარშემო ყოფილი მეგობრები—საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზია, არ ცდილობდენ ერთი მეორის ღალატს. მე გპატიჟობთ თქვენ, ამხანაგებო, ჩემთან ერთად გაისეირნოთ საერთაშორისო ბურჟუაზიული პოლიტიკის უდაბნოში. გზის მაჩვენებელი იქნება ამხ. რადეკის მოხსენებები კომინტერნის მეოთხე ყრილობაზე, კომინტერნის პლენუმზე, დაბოლოს კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე. ეს მოხსენებები ნაწილობრივ

რუსეთის საკითხი.

დავიწყოთ ჩვენი ექსკურსია რუსეთის საკითხიდან. პირველათ ამ საკითხში ყველა მოკავშირეებს შორის სრული ერთსულოვნება სუფევდა. როცა რუსეთში გაბატონებული იყო სამხედრო კომუნიზმი, ბურჟუაზიული საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმებულათ ერთ მიზანს ისახავდენ—იარაღით გაეტეხათ წელში საბჭოთა რუსეთი. პირველათ ისინი შეთანხმებულათ უჭერდენ მხარს დენიკინს, ეხმარებოდენ კოლჩაკს იმ იმედით, რომ შესაძლებელი იქნება მთლიანი და განუყოფელი მეფის რუსეთის აღდგენა, რომელიც შეიქნება ანტანტის მორჩილი ვასალი. ეს არ განხორციელდა. მაშინ ანტანტა ისევ ერთსულოვნად შეუდგა „დამოუკიდებელი" რესპუბლიკების—პეტლიურას რესპუბლიკის, ყაზახების რესპუბლიკების, სხვათა შორის საქართველოს, მენშევიკური რესპუბლიკის მხარის დაჭერას, გადააქცია ისინი თავის ლაქიებათ, მაგრამ საბოლოო ანგარიშით აქედანაც არაფერი გამოვიდა. ყველა განაპირა რესპუბლიკებში აღდგენილ იქნა, ან დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამავე დროს სამხედრო კომუნიზმმა ადგილი დაუთმო ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. როგორც კი ეს მოხდა, როგორც კი საბჭოთა რუსეთმა აიღო გზა ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ, მაშინათვე ინგლისისა და საფრანგეთის გზები დაშორდენ ერთი-მეორეს. საფრანგეთი განაგრძობდა სხვადასხვა ბანდების გზავნას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ხან რუმინეთის, ხან პოლონეთის ტერიტორიით, ინგლისი კი ლოიდ-ჯორჯის მეთაურობით წავიდა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების გზით. რათ წავიდა ის ამ შეთანხმებაზე? პირველ ყოვლისა იმისათვის, რომ ინგლისი გრძნობს სივიწროვეს, მას ესაჭიროება ბაზრები მას ესაჭიროება საშუალო და აღმოსავლეთ აზიის ბაზრის აღდგენა. მეორე, ლოიდ-ჯორჯი დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა რუსეთი, დაადგა რა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზას, ჩქარა წავიდოდა კაპიტულიაციაზე, უარს იტყოდა კომუნიზმზე, დადგებოდა კაპიტალისტურ რელსებზე და მაშინ ინგლისი, კრედიტების მიცემით გადააქცევდა მას ინგლისის კაპიტალისტურ ახალშენად. ეს ანგარიშები არ გამართლდა. გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე გამოირკვა, რომ საბჭოთა რუსეთს სრულიადაც არა აქვს განზრახვა უარი სთქვას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრებზე, ამან დაამარცხა ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკა. მაგრამ მან გამოიწვია არა მარტო ეს. შემდეგში გამოირკვა, რომ ლოიდ-ჯორჯი კონფერენციაზე უკვე მზად იყო უკან წაეღო თავისი მოთხოვნილება უცხოელ მესაკუთრეებისათვის ფაბრიკა-ქარხნების დაბრუნების შესახებ, რომ ის უკვე მზად იყო დაკმაყოფილებულიყო ერთგვარი კომპენსაციებით, რომ უეცრათ უკვე ნიადაგ მომზადებული შეთანხმება ჩაშალა ამერიკამ, უფრო სწორათ, რომ ვთქვათ ამერიკელმა ფირმამ—„სტანდარტ ოილ კომპანი", რომელმაც იფიქრა, რომ მისი მეტოქე ინგლისური ფირმა „როიალ დეჩ კომპანი" ცდილობს გამოიყენოს საბჭოთა რუსეთთან შეთანხმება ბაქოს ნავთის ხელში ჩასაგდებათ. ამ მოსაზრებით ამერიკამ მოსთხოვა ინგლისს, რომ ის გამოსულიყო მოკავშირეებთან ერთად ერთიანი ფრონტით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. სწორეთ ამან ჩაშალა შეთანხმება. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, თუ როგორ უჯაშუშებდენ ერთი მეორეს მეგობარი მოკავშირეები, თუ როგორი ეჭვი ეპარებოდათ ერთი მეორეში და თუ როგორ ლამობდენ ისინი ერთი მეორის წაქცევას. როცა რუსეთთან შეთანხმება ჩაიშალა და როცა ლოიდ-ჯორჯის კაბინეტი დაეცა, ინგლისმა და საფრანგეთმა როლები გამოიცვალეს, მაგრამ ერთი მეორეს წინააღმდეგ ინტრიგებს განაგრძობდენ. თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, თუ როგორ ცდილობდა ლოიდ-ჯორჯის მემკვიდრე—კერზონი რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების ჩაშლას, თითქოს, ერთის შეხედვით საფრანგეთი უნდა მისალმებოდა ამას და უნდა ეთქვა: „როგორც იქნა თქვენ, ძვირფასო მეგობარო, დადექით ჩვენს თვალსაზრისზე",—სრულიადაც არა! როგორც კი კერზონი გადავიდა შეტევაზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და დაიწყო იარაღის ჟღარუნი, საფრანგეთმა ჩასდო ხმალი ქარქაშში და დაუწყო არშიყობა საბჭოთა რუსეთს. ინგლის-რუსეთის კონფლიქტამდი რუსეთის წითელ ჯვარს არ აძლევდენ საფრანგეთში შესვლის ნებას, მაგრამ როგორც კი კერზონმა ულტიმატუმი გაუგზავნა რუსეთს, პუანკარემ კარები გაუღო რუსეთის წითელ ჯვარს. ინგლისის მეორე მეგობარმა და მოკავშირემაც, მუსოლინიმ, უღალატა თავის მოკავშირეს: როცა ინგლის-რუსეთის კონფლიქტმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, მან მოსკოვიდან გამოიწვია თავისი ელჩი იმის შემდეგ, რაც მან მონაწილეობა მიიღო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გა-

თი მეორეს მეგობარი მოკავშირეები თავისი შეურიგებელი მტერის—კომუნისტური ხელისუფლების წინაშე. როცა ინგლისი ლაპარაკობს: „ეს თეთრია",—საფრანგეთი ამბობს: „ეს შავია"—როცა ინგლისი ადასტურებს—„შავიაო", საფრანგეთი ამბობს: „არა თეთრი არისო". ასე ეჭირათ მათ თავი რუსეთის ფრონტზე, ასე უჭირავთ მათ თავი ყველა ფრონტებზე. ავიღოთ გერმანიის ფრონტი.

გერმანია და მოკავშირეები.

გერმანიის მიმართაც პირველ ხანებში მოკავშირეები მეტად ერთსულოვნად გამოდიოდენ: ვერსალში მათ გერმანიასთან დადევს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გერმანია მოვალეა გადაიხადოს ე. წ. რეპარაციები, ე. ი. მოვალეა აუნაზღაუროს მოკავშირეებს ომის დროს მიყენებული ზარალი. ვერსალში არ გამოარკვიეს თუ რამდენი უნდა გადაიხადოს გერმანიამ. და აი, 1920 წლის დამლევს საფრანგეთის ერთმა მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანიამ უნდა გადაუხადოს საფრანგეთს არც მეტი არც ნაკლები—218 მილიარდი ოქროს მარკა იმ დროს, როცა საფრანგეთის მთელი ქონების ღირებულება ომამდის არ აღემატებოდა 250 მილიარდ ოქროს მარკისა! როგორც ხედავთ, საფრანგეთის მევახშეებს სურდათ გაეორკეცებიათ თავის კაპიტალი დამარცხებული გერმანიის ხარჯზე, მაგრამ მათდა საუბედუროთ მათ მსხვერპლს არ შეეძლია ამდენის გადახდა, მაშინ ლონდონის კონფერენციაზე გადასწყვიტეს შემცირებებიათ მოთხოვნილებები 132 მილიარდ მარკამდი და გერმანიას წელიწადში უნდა გადაეხადა ერთიდან 6 მილიარდ მარკამდი. 1922 წელს იძულებული გახდენ ეს ციფრიც შეემცირებიათ. კანნში დაადგინეს, რომ გერმანიამ ყოველწლიურად უნდა იხადოს 720 მილიონი ოქროს მარკა და 1450 მილიონი მარკის საქონლით. მაგრამ ამის გადახდაც შეუძლებელი იყო გერმანიისათვის. მთელი ქვეყნის ბანკირების ყრილობამ, ამერიკული მილიარდერის მორგანის თავმჯდომარეობით განაცხადა: თუ თქვენ ასეთ დიდ თანხებს მოსთხოვთ გერმანიას, თქვენ ამ თანხებს ვერ მიიღებთ. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ გერმანია უცხოეთში აიღებს სესხს, თქვენ სცდებით, რადგან ჩვენ მას ფულებს ვერ მივცემთ, ვინაიდან ამ ფულებს ის ვერ დაგვიბრუნებს"-ო.

მსოფლიო ბირჟამ ამ დადგენილებამ გამოააშკარავა გერმანიის უმწეო მდგომარეობა და გამოიწვია გერმანიის მარკის შეუჩერებელი დაცემა. ამხანაგებო! იმის შემდეგ, რაც ეს გამოირკვა, თანხმობას ინგლისსა და საფრანგეთ შორის ბოლო მოეღო. წინეთ ისინი შეთანხმებულათ აღრჩობდენ გერმანიას, მაგრამ როგორც კი გამოირკვა, რომ უკანასკნელის მდგომარეობა უნუგეშოა, მოკავშირეები წვდენ ერთმანეთს თმაში. საფრანგეთის ბურჟუაზია ამბობდა: „გერმანია სულს ღაფავს, ამოძვრეს სული, მით უკეთესი, ჩვენ კი მუხრუჭს მოუჭერთ, ჩვენ არ გვინდა, რომ გერმანიამ აღადგინოს თავისი მეურნეობა. ჩვენ გვინდა მისი დაღუპვა, ამიტომ ჩვენ წაუყენებთ მას აშკარათ მიუღებელ მოთხოვნილებებს", ბურჟუაზიული ინგლისი კი აცხადებდა: „არა, უკაცრავათ ჩვენ ვერ დაუშვებთ, რომ საფრანგეთმა გადაყლაპოს გერმანია და გადაიქცეს ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთ. ჩვენ ვერ დაუშვებთ აგრეთვე გერმანიის მრეწველობის სრულ განადგურებას, რადგან ის ინგლისის საქონლის მსხვილი შემსყიდველია." ჯერ კიდევ ომამდი მარქსისტული ლიტერატურა აღნიშნავდა, რომ გაცვლა-გამოცვლა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ახალშენებს შორის. ომის დროს, 1919 წელში, ინგლისის მრეწველობის ყრილობაზე (მე წავიკითხე ამ ყრილობის ოქმები) განაცხადეს: „ჩვენ უნდა ვებრძოლოთ გერმანიას, მაგრამ ისე კი, რომ სრულიად არ გავანადგუროთ ის. თუ ის გავანადგურეთ, ჩვენც გავკოტრდებით." ასე წარმოიშვა დიდი უთანხმოება ინგლისსა და საფრანგეთს შორის გერმანიის საკითხში. ინგლისის მინისტრმა ბონარ-ლოუმ გამონახა გამოსავალი მდგომარეობიდან სხვის ხარჯზე: „ვაპატიოთ ერთმანეთს მოკავშირეებმა სამხედრო ვალები, თუ ჩვენ ამაში შევთანხმდით, ინგლისი არ მოსთხოვს საფრანგეთს ვალის გადახდას, ეს გააუმჯობესებს საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას და ის მაშინ დასთანხმდება სული მოათქმევინოს გერმანიას". არაფერი ბონარ-ლოუს ამ წინადადებიდან არ გამოვიდა: ამერიკელებმა პროტესტი განაცხადეს—„ინგლისისათვის სასარგებლოა ასეთი წინადადების მიღება, რადგან ის არაფერს ზარალობს ამით, რადგან საფრანგეთს და სხვა სახელმწიფოებს იმდენივე მართებს მისი, რამდენიც მას ჩვენი მართებს. ჩვენ კი არავისი არაფერი გვმართებს. ვინ დაფარავს ჩვენს ზარალს?" და საფრანგეთი, ჯერ-ჯერობით ნახევრად დაეთანხმა ბონარ-ლოუს: „ჩვენ თანახმა ვართ არ [illegible]

არაფერს არ დაუთმობთ!" ამრიგად ბონარ-ლოუს ასეთი მოხერხებული გეგმა ჩაიშალა. მდგომარეობა რჩებოდა გამოუვალი და მაშინ დაიწყო საფრანგეთის შეტევა რურზე.

საფრანგეთის ჯარებმა დაიკავა რური, დაიპყრო ის და აი, აქ იწყება ახალი ჭიდილი საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ამ მეგობარ-მოკავშირეებს შორის, რომლებიც მზად არიან ერთმანეთი დაახრჩონ. ინგლისმა აშკარათ განაცხადა: „ჩვენ ნეიტრალიტეტს ვიცავთ, ჩვენ გაგვყავს ჩვენი ჯარები, მოიქეცით როგორც გსურთ". ფარულათ, მალულათ კი აქეზებდა გერმანიას: „წინააღმდეგობა გაუწიეთ ფრანგებს, ჩვენ დაგეხმარებით". და გერმანიის ბურჟუაზია ინგლისის დახმარების იმედით აწარმოებდა პასიურ წინააღმდეგობას. ინგლისის ვერაგი ბურჟუაზიის ზრახვები აშკარა იყო. „დეე, უთავაზონ ერთი მეორეს მუჯლუგუნები, დეე შეტევაზე გადავიდეს საფრანგეთი, გერმანიამ კი წინააღმდეგობა გაუწიოს, როცა ორივე მხარე დაუძლურდება და გაძვალტყავდება ამ ხანგრძლივ ბრძოლაში, ჩვენ გამოვალთ შუამავალის როლში და შუამავლობისათვის მოვითხოვთ ლომის წილს რურის ნადავლის გაყოფის დროს. თქვენ, ხედავთ, ამხანაგებო, რომ ინგლისის გეგმა აშენებულია მოკავშირე—საფრანგეთის ღალატზე, მაგრამ ინგლისმა ვერ გაითვალისწინა, ის რომ გერმანიის ბურჟუაზიას შეუძლია უღალატოს საკუთარ სამშობლოს, ეს კი მოხდა სინამდვილეში. და გერმანიის ბურჟუაზიის ღალატის წყალობით გერმანიის პასიური წინააღმდეგობა რურის ოლქში ჩაიშალა. ამის გამო ახლა საფრანგეთს საშუალება მიეცა ინგლისის შუამავლობისათვის დაუცდელათ დაახრჩოს გერმანია. როცა ინგლისი დარწმუნდა ამაში, მან მოიხსნა ნეიტრალობის ნიღაბი და დაიწყო იარაღის ჟღარუნი საფრანგეთის წინააღმდეგ. მაგრამ სიტყვიდან საქმეზე გადასვლა და საფრანგეთთან ფორმალურათ კავშირის გაწყვეტა მას ახლა არ შეუძლია. რატომ? იმიტომ, რომ საფრანგეთის საჰაერო ფლოტი სამჯერ უძლიერესია ინგლისისაზე, იმიტომ, რომ ინგლისმა დაჰკარგა უპირატესობა, რომელსაც ანიჭებდა მას სახელმწიფო—კუნძულის მდგომარეობა, რადგან საფრანგეთს აეროპლანებიდან ბომბის გადმოყრით რამდენიმე დღეში შეუძლია დაანგრიოს ინგლისის სამრეწველო ცენტრები. ამიტომ ომი ორ მოკავშირე-მეგობარს შორის, რომლებიც ერთად აწარმოებდენ ეგრეთ წოდებულ „დიდ განმათავისუფლებელ ომს", „მუდმივი ზავისა და ერებს შორის ძმობის დასამყარებლათ" ჯერ-ჯერობით, დღეს, შეუძლებელია. მაგრამ ინგლისი გაფაციცებით ემზადება, გაფაციცებით აშენებს თავის საჰაერო ფლოტს და შეიძლება ველოდეთ, რომ ინგლისელები, რომლებიც ჯერ-ჯერობით აეროპლანებიდან ყრიან ბომბებს ინდოეთში და მესოპოტამიაში, თავისი ქვეშევრდომების წინააღმდეგ, ახლო ხანში გადმოყრიან ბომბებს პარიზსა და ლიონში თავისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ასე „სოლიდარულათ" მოქმედებდენ მოკავშირეები გერმანიის ფრონტზე.

ოსმალეთი და ანტანტა.

ასეთივე სურათს ვხედავთ ჩვენ ოსმალეთის ფრონტზეც. პირველათ მოკავშირეები შეთანხმებულად ცდილობდენ ოსმალეთის გადაყლაპვას. 1920 წელში სევრში დადებულ ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთი უნდა განდევნილიყო სტამბოლიდან, ევროპიდან. ამ ხელშეკრულების ძალით ოსმალეთს ართმევდენ სირიას, მესოპოტამიას, ეგვიპტეს, სომხეთს. სევრში მოკავშირეები მოქმედებდენ ერთსულოვნად, იმდენად ერთსულოვნად, რომ საფრანგეთი დასთანხმდა ინგლისისათვის მოსულის დათმობაზე მისი ნავთის მდიდარი წყაროებით იმ იმედით, რომ ინგლისი დაეხმარებოდა მას გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, როგორც ჩვენ დავინახეთ, ინგლისმა არ გაამართლა საფრანგეთის იმედები ამ საკითხში. და როგორც კი ეს გამოირკვა, ინგლის-საფრანგეთის სოლიდარულ, შეთანხმებულ გამოსვლას ახლო-აღმოსავლეთში, ოსმალეთის ფრონტზე, ბოლო მოეღო, მოკავშირეები პირველათ შეთანხმებულათ აღრჩობდენ ოსმალეთს, მაგრამ ოსმალებს არ სურდათ სიკვდილი. მათ არ მოაწერეს ხელი სევრის ხელშეკრულებას. ქემალფაშამ დაიწყო მზადება წინააღმდეგობისათვის. დაიწყო ჯარის შეგროვება და შეუთანხმდა საბჭოთა რუსეთს. როცა ოსმალეთი აუჯანყდა თავის მჩაგვრელებს, ინგლისმა მიმართა თავის ნაცად ხერხს—სხვისი ხელით თავისი საქმის გაკეთებას: მან ოსმალეთს საბერძნეთი წაუსია. საფრანგეთმა ამაზე იმით უპასუხა, რომ მხა-

მას იარაღი, სამხედრო მასალები და ამავე დროს ცდილობდა გამოეყვანა ოსმალეთი საბჭოთა რუსეთის გავლენიდან. შეიქმნა ასეთი გულის ამაჩუყებელი სურათი: „მეგობარი" სახელმწიფოები—ინგლისი და საფრანგეთი, თავისი შეურიგებელი მტერის—ოსმალეთის წინაშე ფეხს უდებენ ერთი მეორეს.

საფრანგეთი ფარულათ იარაღს აწვდიდა ოსმალეთს, ინგლისი კი—საბერძნეთს. ინგლისის იმედები, როგორც იცით, ჩაიფუშა: ოსმალეთმა დაამარცხა საბერძნეთი. ახლა სურათი ერთბაშათ შეიცვალა, როგორც კინემატოგრაფში—საფრანგეთი ოსმალეთის მეგობრიდან გადაიქცა მის მტრათ და გამარჯვებულ ვალების გადახდა მოსთხოვა. ინგლისი კი ოსმალეთის მტერიდან გადაიქცა მის ფარისეველ მეგობრათ, ცდილობდა მოესყიდა ის და ამავე დროს უთანხმოება ჩამოეგდო ოსმალეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის, როგორც ამას სჩადიოდა წინეთ საფრანგეთი. მოკავშირეების კომედია ოსმალეთის ფრონტზე სწარმოებდა პარალელურათ მათ კომედიასთან რუსეთის ფრონტზე და იმავე ნოტებით. აქ, როგორც იქ, ისინი ატყუებდენ, ფეხს უდებდენ ერთმანეთს, აქ, როგორც იქ, ისინი როლებს იცვლიდენ: როცა ლოიდ-ჯორჯი ეარშიყებოდა საბჭოთა რუსეთს და საბერძნეთს უსისინებდა ოსმალეთზე, პუანკარე იარაღს აჟღარუნებდა რუსეთის წინააღმდეგ და ფარულად ეხმარებოდა ოსმალეთს. როცა ოსმალეთმა დაამარცხა საბერძნეთი, კერზონი მუქარას უგზავნიდა რუსეთს, ოსმალეთს კი ეფერებოდა. წინააღმდეგ, პუანკარე ემუქრებოდა ოსმალეთს და ეფერებოდა რუსეთს. და ამ კომედიის უკანასკნელ აქტში ინგლისი უკვე მზად იყო თავის „მეგობრულ" მკლავებში მოეღრჩო ოსმალეთი, მაგრამ აქაც, ისე როგორც რუსეთის სცენაზე მოულოდნელათ გამოვიდა ამერიკელი ჯიბ-სქელა, რომელიც პრესის მაგიერ ნავთით იკვებება და შესძახა: „შეჩერდი ინგლისო! შენ გსურს მარტო გადასანსლო ოსმალეთის ნავთი მოსულში, ამას არ დაუშვებთ!" ამერიკელების ხელშია ახლა მსოფლიო ნავთის 75 პროც. ისინი ახლა გაბატონებული არია ნავთის ბაზარზე მთელ მსოფლიოში. ნავთი კი, ამხანაგებო, ახლა დიდი ფაქტორია. ნავთი არის—ავტომობილები, ნავთი არის—ჰაეროპლანები, ნავთი არის—გემები. ახლა ეს მძლავრი იარაღი ამერიკელების ხელშია. მაგრამ, სამწუხაროთ, ამბობენ, რომ ამ წლის შემდეგ ამოიწურება ამერიკის ნავთის მთელი მარაგი. ეს მომავალში ამერიკას გახდის დამოკიდებულათ ინგლისისაგან. და რომ ეს თავიდან აიცილოს, ამერიკაც იძულებულია ფხიზლად ადევნოს თვალი თავის მოკავშირეს, უჯაშუშოს, და როგორც კი ინგლისი ხელს გაუწვდის ნავთს, იქნება ეს ბაქოში თუ მოსულში, ამერიკა წაავლებს მას ხელს და ყვირის: „ქურდი დავიჭირე".

ასე იქვრება კონფლიქტების ახალი და ახალი კვანძები.

განიარაღების საკითხი ვაშინგტონის კონფერენციაზე.

ასეთივე ურთიერთისადმი უნდობლობას, ურთიერთისადმი მტრულ განწყობილებას, რომელსაც ჩვენ ვხედავდით ევროპის ყველა ფრონტებზე ვხედავთ ჩვენ აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიის ფრონტზე. დასაწყისში აქაც ერთსულოვნება და ერთობა სუფევდა მოკავშირეებს შორის საერთო მტრის—გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მოკავშირეებმა ნადავლის გაყოფის დროს იაპონიას გადუგდეს ძვალი: ინბეთ კიაოჩაოს და მანჯურიის მიღება, შეექცათ ჩინეთს როგორც ერთი, ისე მეორე გვერდიდან. მაგრამ მადა ჭამის დროს მოდის. იაპონელებმა გაიგეს გემო და 1916 წელს წარუდგინეს ჩინეთს 12 მოთხოვნილება—რომ ჩინეთმა დაუთმოს იაპონიას მთელი ნახშირი და რკინა მისი ცენტრალური რაიონებიდან და რკინისგზების ნაწილი, რომ იაპონიას მიეცეს ჩინეთის ფინანსების და შეიარაღებული ძალების კონტროლის უფლება, ერთი სიტყვით—რომ ჩინეთი თავისი 400 მილიონიანი მოსახლეობით გადაიქცეს იაპონიის ახალშენათ. ეს ძლიერ არ მოეწონა ამერიკას, არა იმიტომ, რომ ამერიკის ბურჟუაზია კაცთმოყვარეა, არამედ იმიტომ, რომ მას თვით აქვს განზრახვა, გადაყლაპოს ჩინეთი. და აი იაპონიის გაძლიერებული მადის შესაკვეცათ შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები გაფაციცებით აშენებენ თავის ფლოტს წყნარ ოკეანეში, მეორე მხრით შეერთებული შტატები, ომის დამთავრების შემდეგ ცდილობს გავლენა მოახდინოს ინგლისზე, რათა მან გასწყვიტოს კავშირი იაპონიასთან. ამ

---

*) ვთავსებთ ამხ. მარტინოვის მიერ 25

ბიულეტენი

დღეს, 4 სექტემბერს გამოვიდა მეათე და უკანასკნელი ნომერი სრულიად საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ყრილობის ბიულეტენისა შემდეგი შინაარსით: თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გაიმარჯვა—ა. ფარნიევი; პატარა ფელეტონი ელექტრონის ნაპერწკალის, პროლეტარული ნადიმი, ყრილობის ანგარიშები და სხვა.

სიყალბე თუ ჩემი ეს თქვენდამი ბრალდება? „ბრაკი“ ჯერ იქ არა ყოფილა რა და მასთან ყავარი, თუ საუკეთესო სწორი და სწორძაფიანი მორი არაა,—არ გაიგდება და ისიც მუხის. ეს ყველამ იცის, ბ. ილია, თქვენ და ზიბზიბაძის მეტმა და ამაში თქვენ სატყეო განყოფილების მეტს ვერავის დააჯერებთ.

გამიგონია ბრძნული ხალხური თქმულება, რომელიც თქვენმა საქციელმა მომაგონა, ბ. ილია, რომ „კაცს თუ იხტიბარი წაუხდა, მას აღარაფრის აღარ სცხვენიაო“. მართლა და თუ უტიფრობამ არა, რამ გაგაბედვიათ ბრეგაძის მოქმედებათა დასახელება, ცილისწამებად მონათვლა? მე კი არა, მისი ამბავი—მთელმა იმერეთმა იცის. თქვენ განა არ გქონდათ ამ საგანზე ბათომის ჩეკასთან მიწერ-მოწერა, რომელიც შემდეგ ადგილკომმა გადაუგზავნა რკინის გზელთა კავშირს, ხოლო ბრეგაძე კი თქვენ მაინც სამსახურში მიიღეთ? აი რა სწერია ამ საგანზე რკინისგზელთა კავშირის საკონფლიქტო ბიუროს დასკვნაში:—Н. 4 мая—1922 წ. № 2263—(რომ წერილი არ გამიჭიანურდეს მიჰყავს ზოგიერთი ადგილი) Представленный материал главным образом (если не исключительно) касается злоупотребления десятника Аджаметскаго района т. Брегадзе, который обвиняется: а) в саботаже, б) в злоупотреблениях по выдаче незаконных удостоверении на вывоз дров, в) в злоупотреблении при раздаче кукурузы рабочим и г) в злоупотреблениях при погрузке шпальных тюлек в Аджаметы. По этому т. Брегадзе должен быть предан суду и. д. შემდეგ ეს დასკვნა თქვენ გადმოგეცათ სატყეო დარგის მაშინდელი უფროსის მიერ,—და მასზე თქვენ, მგონი, პასუხიც არ გაგიციათ—და ყველა ამის შემდეგ რა უფლება გქონდათ სამსახურში მიგეღოთ ის? თქვენ ვერ იტყვით, რომ არა იცოდით რა ამის შესახებ. წინააღმდეგის დამამტკიცებელ საბუთს მე ვუდგენ რედაქციას.

ასეთივე შინაარსისა არის მეორე თქვენი ბრძანებაც № 450, რომლის დედანი მევე მაქვს.

აი, რასა სწერს თქვენი თანაშემწე მალიჩკინი—მუშაობათა გამგე ხიმშიაშვილს:—Брегадзе пусть руководит всеми работами по приемке совместно с Лазарем Киквидзе, а ведомости пусть подписывает один Лазарь. Сено вручите подрядчику Лутидзе и Гогберашвили на хранение, перевозка, за их счет, безплатно для нас—და ქვევით,—Праздники близко; индюки, вино, соль и сено ходовой (!) Товар приготовьте. რას ნიშნავს, ბ. ილია, ყველა ეს? თქვენთან შემოიტანეს საზანოვლებმა საჩივარი და თქვენც დანიშნეთ კომისია ბძანებით № 457. მოხდა გამოძიება, წარმოგიდგინათ ოქმი, რომლის ასლი ჩემთან არის. რა უყავით ეს ოქმი? რატომ არ დასაჯეთ ბრეგაძე? და ან რატომ უნდა მიეღო მასალა ბრეგაძეს, ხოლო მიღების ფურცლები კი დაედასტურებია კიკვიძეს? ალბათ მიტომ, რომ კიკვიძე თუ მახეში გაებმოდა, დაისჯებოდა—ეს თქვენთვის იმდენ დანაკლისს არ შეადგენდა, როგორც ბრეგაძე.

ბ. ილია—როგორ უნდა გავიგოთ ფრაზა „перевозка за их счет, безплатно для нас“—მათ უფასოთ გადააზიდვიოთ და ანგარიშები გადაზიდვის თქვენ ხომ არ გაგიტარებიათ? მაგრამ დავანებოთ ამას თავი—აქ საინტერესოა აღნიშნული წერილის ბოლო: „Праздники близко; индюки, вино соль, сено ходовой (!) товар приготовьте“. ეს ცოტა რაღაც გაუგებარია უჩვევი თვალისათვის, მაგრამ ეს მომასწავებელია იმის, რომ მარილი და თივა (სახაზინო) ცვალეთ ინდოურებ-ღვინოში და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს თქვენი სულის ჩამდგმელი გუგუნავას წერილი: 1) „ალექსანდრე (ეს როდინაულის ტყის მუშაობათა გამგე იყო კ. მ.) გამარჯობა, რას შობი სერგო. როგორ არის თქვენი საქმე. იმედი მაქვს,—არ შემარცხვენ. რას შვება სერგო. (ეს ბრეგაძეა. კ. მ.) როგორ მიდის მიღების საქმე (აქ ალბათ გუგუნავას წინდაწინ ეინტერესებოდა გაიგოს ბრეგაძემ ბევრი მოპარა მუშებს თუ არა. კ. მ.) აბა შენ იცი, ეხლა ნადიმში აწეული ხარ (ე. ი სამსახურში აღმატებული. კ. მ.) და ძღვენი გვინდა, რაც მოგწერეთ; თუ ყოველივე გააკეთე გამოგზავნე—დღეს ტფილისში მივდივარ. 2 იანვარი 1922 წ. შენი ი. გუგუნავა“—2) ალექსანდრე! სალამი. გიგზავნი ილიას ბოთლებს (ეს მგონი თქვენა ხართ ბ. ილია არა? კ. მ.)—და არაყით გაავსე. უთხარი ალისტორეს ან პავლეს (მათი საშუალებათ ატყუებთ, ბ. ილია, საწყალ გლეხობას არა? კ. მ.) კარგი არაყი იყოს და გამოგზავნე ოთხშაბათს უსათუოდ. სახლში უნდა გაგზავნოს... შემდეგ—ბოლოში—ასეა „აბა თხოვნა შეუსრულე ილიას. გამოგზავნე სერგოს ხელით ხუთშაბათიზა“—შენი ი. გუგუნავა.

დედანი ამ წერილებისა მე მაქვს, რედაქციას უდგენ ასლებს.

ბ. ილია ეხლა თქვენ ბძანეთ—ხსნიან თუ არა პირველ წერილს „ხოტკი ტაქარის“ შესახებ ფარდას ეს გუგუნავას განმარტებანი, მასთან გზავნიდით თუ არა ძღვენს თბილისში და ერთი დუჟინი ბოთლი არაყი და ისიც ქაჭის თუ განუწყვეტელი ქეიფობისთვის არა, რათ გინდოდათ? რაც შეეხება მაღებული მასალის მიღებას, ნიშნავს თავის წაჭრას—ხელ მეორედ სხვის სახელზე მიღებას—ამაზე საინტერესო თქვენივე მოლარეთა ოფიციალური მოხსენებანი, მაგრამ ამაზე შემდეგ*).

თქვენი კოწია მიქაშავიძე.

—

პასუხად.

გაზ. კომუნისტის რედაქციას

რკინის გზათა კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე ა. | წ. 3 სექტემბერი. დეპეშით № 421, გთხოვთ სასწრაფოდ წარგზავნოთ ტყიბულში (ტყიბულის ხე-ტყის მასალათა დამზადების 1 უბნის უფროსის) მოქ. ივანოვის საქმის შესახებ გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილების ავტორი—კოწია მიქაშავიძე ყველა მის განკარგულებაში მყოფ მასალებით. მიმართოს მოქ. ივანოვის საქმის გამომძიებელ კომისიაში ამხ. ანდრეევს.

აღნიშნულ პირის მივლინების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ.

გზათა სახ. კომისარიატის ამიერ-კავკ. რკ. გზათა რწმუნებულის მოადგილე. (ხელის მოწერა).

მდივანი. (ხელს აწერს).

რედაქციისაგან

ამხ. კ. მიქაშავიძეს. მიუხედავათ რედაქციისა და ამხ. პოჩდეევის შეთანხმებისა, რომ კომისიას ტფილისში გაეგრძელებია მუშაობა, გთხოვთ გაემგზავროთ ტყიბულში მთელი თქვენი მასალებით, ვინაიდან ეს საჭირო აღმოჩნდა.

---

*) ამიერიდან ჩვენ ვსწყვეტთ ამ მასალების გამოქვეყნებას, რადგან ავტორს საშვალება მიეცა მთელი თავისი მამხილებელი მასალით წარსდგეს საქმის გამომძიებ კომისიის წინაშე.

რედ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი. 2 სექტემბერი. მარსელიდან მოვიდა საფრანგეთის გემი „ლედი მე-2“, რომელმაც მოიტანა 308 ტონა სხვადასხვა ტვირთი. ოდესიდან მოვიდა გემი „ნოვოროსიისკ“-ი 7420 ფუთ. სხვადასხვა საქონლით. ქერჩიდან მოვიდა გემი „სვაბოდა“ 1,500 ფუთი ფქვილით. ფოთიდან გავიდა ამერიკული გემი „კლონტარფ“-ი და წაიღო 635 ტონა ძირტკბილა.

ამხ. ხინჩუკის ჩამოსვლა.

ბათომი. 3 სექტემბერი. ბათომში მოელიან ცენტროკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ლ. მ. ხინჩუკს.

თამბაქოს ქარხნების გაერთიანება.

ბათომი. 3 სექტემბერი. ბათომის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს დადგენილებით 1 და მე-2 თამბაქოს ქარხნები გაერთიანდა.

კურსები მილიციონერებისათვის.

ბათომი. 1 სექტემბერი. პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და მილიციის უფროსის თანხმობით, გაზრახული აქვს მუშათა ცენტრალურ კლუბთან გახსნას კურსები მილიციონერებისათვის, მათი კულტურული დონის ასაწევად. კურსების პროგრამაში შევა: შესწავლა საბჭოთა საქართველოს და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის კონსტიტუციის და აგრეთვე დროებითი ინსტრუქციების, დამუშავებული იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ აჭარის მილიციის თანამშრომელთათვის.

მიწათ-მოქმედების იარაღები.

ბათომი. 1 სექტემბერი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ცენტრიდან მიიღო მიწათ-მოქმედების იარაღები.

რუსეთის შაქარი.

ბათომი. 1 სექტემბერი. ერთიან მომხმარებელ საზოგადოებას ცენტრიდან მოუვიდა დიდი პარტია რუსეთის შაქრისა, რომელიც მოსახლეობაზე გაიყიდება 10 პროც. ნაკლებ, ბაზრის ფასებთან შედარებით.

სომხეთი.

ობლების რეგისტრაცია.

ერევანი. 2 სექტემბერი. აგვისტოს 31-ს დაიწყო რეგისტრაცია ერევანში მყოფ უპატრონო ბავშვებისა, რისთვისაც ქალაქი 18 უბნად დაიყო.

პარტიული ცხოვრება

ასურეთ-ალბულაღის რაიონი (ტფილისის მაზრა)

როდესაც ასურეთიდან გადადიხარ ალბულაღში, გაკვირვებას იწვევს რეჟიმების სხვადასხვაობა. ასურეთი გერმანელების სოფელია, კარჩაკეტილი ცხოვრების მთელი თვისებებით. საქართველოში ცხოვრების ასეულ წლების განმავლობაში კოლონისტებმა—შვაბებმა (სამხრეთ გერმანიიდან) მთლიანად შეინარჩუნეს საკუთარი კულტურა თავისი ღირსებით და ნაკლულევანებებით. კონსერვატიზმი ყოფა-ცხოვრებაში და ზნე ჩვეულებებში.

აღმასკომის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობის გარდა, ვერავითარ სხვა მუშაობაში ვერ ჩაითრევთ მათ, მიუხედავად დიდი კმაყოფილებისა საბჭოთა ხელისუფლებით, რომელმაც, მათი სიტყვით, გადასჭრა ნაციონალური საკითხი და შესძლო სასოფლო სკოლების საქმის მაღლა დაყენება. უკანასკნელის მხრივ დიდი უკმაყოფილებაა სამღვთო სჯულის გაუქმების გამო. ეკლესიას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ასურეთის კოლონისტების პსიქოლოგიასა და ყოფა-ცხოვრებაში. ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ნემეცთა სექციას დიდი მუშაობა მართებს ამ სფეროში, ხოლო ასურეთის აღმრიცხავმა ბიურომ უნდა შეარჩიოს ორგანიზაციული მომენტი ამ მუშაობაში. რაიონის ცენტრი არის ალბულაღში, სადაც მოთავსებულია მეორე სათემო აღმასკომი.

რაიკომმა, რომელიც აერთიანებს 10 უჯრედს 46 წევრით, რომელთაგან ექვსი უჯრედი 29 წევრით შედის ასურეთის აღმრიცხავ ბიუროში, ჯერ კიდევ ვერ შესძლო მთელი პერიფერიაზე თავისი მუშაობის გაფართოვება.

სამაგიეროდ ცენტრში საკვირველი შეკავშირება და კონტაქტია პარტიულ და საბჭოთა აპარატის მუშაობაში.

უჯრედებს გარდა არის კიდევ 10 პოლიტიკური წრე, რომლებშიაც ითვლებიან 100 ზე მეტი წევრი.

სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ქალაქის უჯრედებმა ვერ მოიცალეს მიეღოთ შეფობა სოფლებზე და თუ მიიღეს, როგორც მაგალითად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, დაკმაყოფილდენ დროშის და საჩუქრების გადაცემით და არ დაუმყარებიათ ნამდვილი მჭიდრო კავშირი.

სხვათა შორის, სოფელ დიდ-ანაგეთში, ასურეთის თემში დაიბადა არსენა ჯორჯიაშვილი და საჭიროა განვამტკიცოთ ადგილობრივ გლეხობის მეხსიერებაში ეს მომენტი კულტურულ პოლიტიკურის მხრივ.

მიუხედავად რაიონის ნაციონალური შემადგენლობის სხვადასხვაობისა (რუსები, ქართველები, სომხები, ბერძნები, ოსები და სხვ.—ცხრა ეროვნებამდე) განხეთქილებას არ აქვს ადგილი და განწყობილება მშვიდობიანი და კეთილ მეზობლურია.

რაიკომის მუშაობა.

ივლისის განმავლობაში გარჩეულია 100 საკითხი ყველა იაჩეიკების კრებებზე.

იაჩეიკების კრება—35, პოლიტიკური წრეები—35, სასოფლო—53 ქალთა—50 კამპანიები—2, საერთო-რაიონული კონფერენცია—2.

დასრულდა ქალთა კონფერენციის მოწვევის სამზადისი მუშაობა, არჩეულია 100 დელეგატი. გაიხსნა კლუბი „რევოლიუციის კერა“, მოწყობილია დრამატიული სტუდიები ნაციონალური სექციებით. სრული კავშირი სუფევს ახალგაზრდობის კომკავშირთან. უკანასკნელის ორგანიზაცია იზრდება (200-დე), მაგრამ ეჩნევა მომზადებულ მუშაკთა სიმცირე.

სამაზრო აღმასკომმა ძლიერ გააფართოვა სამეურნეო მუშაობა. მისი ინიციატივით შესდგა სასოფლო და საზოგადო არჩეულ კომისართა ყრილობა. განზრახულია ტელეფონის გაყვანა საზოგადოებათა შორის. სრულდება წყალსადენის გაყვანა ალბულაღში, მაგრამ მთავარ ამოცანას შეადგენს გზა ტფილისთან, საჭიროა სერიოზული ყურადღება ამ გზის შეკეთებისათვის, რასაც უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ გლეხობა მზათ არის ყოველივე დახმარება გაუწიოს ამ საქმეს და დარწმუნებულია, რომ რაიონის მდგომარეობის გაუმჯობესება პირველყოვლისა ამაზეა დამოკიდებული. სეტყვამ გაანადგურა ჯეჯილი და გაანიავა 2000 ღარიბი გლეხების ქონება, რისთვისაც საჭიროა სასოფლო სამეურნეო გადასახადის ნაწილის შემცირება.

ბანდიტიზმი აღმოფხვრილია. წარმატებით ჩატარდა „მენშევიკური“ კამპანია. სწარმოებს ანტი-სარწმუნოებრივი კამპანია. ცუდათ არის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის მდგომარეობა, თვით კომუნისტებს შორისაც 25 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. ამავე დროს გლეხობა მზათ არის თავისი ძალებით ააგოს სკოლები, თუ მათ მიეცემათ საშენი მასალები.

საერთოდ კი ტფილისიდან მოწყვეტილობის გამო რაიონი მივარდნილ კუთხეს წარმოადგენს და გზების შეკეთება გააუმჯობესებს რაიონის მდგომარეობას და დაუახლოვებს ტფილისს თვით კურორტების საქმეშიაც.

ვულფოვიჩი.

ეკონომიური ცხოვრება

კახელ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოებაში.

„კახეთი“-ს მორიგი წლიური ყრილობა

30 აგვისტოს წითელ-არმიელთა საზაფხულო კლუბში გაიხსნა კახელ მევენახეთა კოოპერატივის საზოგადო კრება. კრებას 300 მდე წევრი დაესწრო. კრების გახსნას დაესწრენ მთავრობისა და მრავალი დაწესებულებების წარმომადგენელნი.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ლადო დუმბაძე, მდივნად გომელაშვილი. საპატიო თავმჯდომარეთ ამხ. მიხა ცხაკაია ფ. მახარაძე. ვ. სტურუა. პირველი სიტყვა მიეცა ს. კ. პ ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. ფილიპე მახარაძეს. იგი ცენ. კომ. სახელით სალამს უძღვნის ყრილობას და შემდეგ აკეთებს ვრცელს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე. მოხსენების დასასრულ ამხ. ფილიპე შეეხო საზოგადოება „კახეთის“ დღევანდელ მდგომარეობას, აღნიშნა მის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილება და მიულოცა კოოპერატივს, რომ მას მრავლად შემოუკრებია თავის გარშემო მშრომელი გლეხობა.

მოხსენება წარმოთქმული იყო მდაბიო და გლეხებისათვის გასაგები ენით. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დელეგატებზე. ამხ. ფილიპეს მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ სიტყვას მიწადმოქმედების სახ. კომის. სახელით ამბობს მიწადმოქმ. სახ. კომ. ამხ. ვანო სტურუა, რომელმაც მოკლეთ დაასურათა მიწ. მოქმედ. სახ. კომ. მოქმედება—მოღვაწეობა საერთოდ და კერძოთ შეეხო კახეთის მევენახეობას. მან აღწერა კახეთის მევენახეობის დღევანდელი ვითარება, რა დღე ადგია მას ფილოქსერისაგან, რომლის საწინააღმდეგო ზომებზე მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა. სიტყვის დასასრულ ამხ. სტურუამ ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა უსურვა.

ყრილობას მიესალმენ შემდეგი საზოგადოების წარმომადგენელნი „წარმოკავშირის“, „წინანდალის“, „ცეკავშირის, გაზეთ—„მიწის მუშას“ და სხვა.

მილოცვების დამთავრების შემდეგ წაკითხულ იქნა დღის შემდეგი წესრიგი: 1) მოხსენება მიმდინარე საკითხზე, 2) მოხსენება საბჭოსი და სარევიზიო კომისიის. 3) განხილვა და დამტკიცება 1921—22 წლის საოპერ. ანგარიშებისა. 5) არჩევა გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის, 6) წევრთა სიის გადასინჯვა და ახალ წევრთა დამტკიცება, 7) წარმოკავშირის ყრილობაზე დელეგატების არჩევა, 8) მიმდინარე საკითხები. პირველ სხდომაზე წაკითხულ იქნა გამგეობის და საბჭოს ამგარიშები და შემდეგ მოხსენება სარევიზიო კომისიისა, რომელსაც წერილობითი მოხსენებით უპასუხა გამგეობამ. დასასრულ მოხსენებების შესახებ გაიმართა კამათი.

მეორე სხდომა.

გამგეობამ აღნიშნა კოოპერატივის მუშაობა, მოიხსენია, რომ ყოველივე ის, რაც განზრახული ჰქონდათ, ვერ შეასრულეს უსახსრობის გამო.

მაგრამ გამგეობამ მაინც მოახერხა ევროპიულად დაეყენებია რამდენიმე ათასი ვედრო ღვინო, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო ძვირათ გაიყიდა. გამგეობა ყოველ ღონეს ხმარობდა მევენახეობის და მეღვინეობის განსავითარებლათ პროდუქტების ხარისხის მაღლა აეწია.

ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველათ გამგეობამ შესძლო და ყოველი წევრისთვის საყოფად მიეწოდებია შაბიამანი და გოგირდი და ამ მხრივ ნაკლებობა არავის განუცდია.

სარევიზიო კომისიამ ვერაფერი დაასახელა ისეთი გამგეობის მოქმედებაში, რაც საზარალო ყოფილიყოს საზოგადოებისათვის. სარევიზიო კომისიის მიერ აღნიშნული წვრილმანი დეფექტები, საპასუხო წერილით გამგეობამ გააბათილა.

დასასრულ, ანგარიში გამგეობისა ყრილობამ დაამტკიცა და შემდეგ მოახდინეს არჩევნები.

არჩევნებმა მშვიდობიანათ ჩაიარა. კანდიდატების შესახებ საწინააღმდეგო მითქმა-მოთქმა უწინდებურათ არ გამართლდა.

იყო წარმოდგენილი ორი სია, დაახლოვებით ერთი და ამავე პირებით შევსებული, რომელთაგან პირველი თითქმის ერთხმად მიიღეს.

უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივს მიემატა მრავალი ახალი წევრები, ხოლო გამგეობაში და საბჭოში შევიდენ ძველ წევრებთან ერთად ახალი წევრებიც.

—

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

კომისიის ლიკვიდაცია.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ შესაძლებლათ დაინახა ნიჟეგოროდის ბაზრობისათვის ხელისშემწყობ კომისიის გაუქმება და მომავალში ბაზრობასთან დაკავშირებული ყველა საკითხები გადაცემული იქნება ბაზრობის ქვეგანყოფილებაში.

სალიცენზიო გადასახადის შემცირება.

სალიცენზიო გადასახადი საზღვარგარეთ გასატან სიმინდზე შემცირებულია 4 ჩერვ. კაპეიკიდან 2 კაპეიკამდი.

შერეულ საზოგადოების შესახებ

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიიღო შერეულ საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც ეხება საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციებს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და გერმანიის შორის.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

ადგილობრივ საბინაო გადასახადის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ გადასახადების განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი ადგილობრივ საბინაო გადასახადის შესახებ. პროექტი წარდგენილია ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომში დასამტკიცებლათ. გადასახადი დაკავშირებული იქნება გადამხდელის მიერ დაკავებულ სივრცესთან.

ღამით ვაჭრობის შესახებ.

ადგილობრივ გადასახადების განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი ღამით მოვაჭრეებზე გადასახადის დადების შესახებ.

გადასახადი შემოსავლის კვალობაზე.

გადასახადთა სამმართველოს წინადადება მიეცა ორი დღის განმავლობაში შეიმუშაოს პროექტი გადასახადისა შემოსავლის კვალობაზე მისი სომხეთში და აზერბეიჯანში შემოსაღებათ და აგრეთვე პროექტი თამბაქოზე აქციზის შეცვლისა ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

—

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(3 სექტემბერი).

ჩერვონცები	45,500
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	45,200
ჩეკები	43,300
დოლარები ეფექტ.	9750
„ ჩეკები	9050
ოსმ. ქალ. ლირა	6.500
საბჭ. ფულის ნიშნები	21

მუშკოპის ფასები.

(3 სექტემბერი).

პური გირ.—150 ათ. ნატეხი შაქარი—2.675 ათ. ფხვნილი შაქარი—2.025 ათ. ძროხის ხორცი—700. ბრინჯი—585 პამიდორი—100, კარტოფილი—75, კომბოსტო—150.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(3 სექტემბერი.)

პური 1 ხარ.—400 450, პური 2 ხარ.—200—250. ნატეხი შაქარი—2,800-2900, ფხვნილი შაქარი—2 250-2.400 ძროხის ხორცი—850-900, ცხვრის ხორცი—900-1100, კარტოფილი—100, კომბოსტო—150.

ბირჟის მიწოდება.

(3 სექტემბერი).

ფხვნილი შაქარი, პაპიროსის ქაღალდი, გამომწვარი აგური, რუსეთის ასანთი, საპონი „მამალი“, ქაღალდი და კარტონები, ცემენტი.

ბირჟის მოთხოვნილება.

(3 სექტემბერი).

მილები, მაკარონი და ვერმიშელი, ფიჭვის ფიცრები, ხმელი ნარმა, უმაღლესი ხარისხის ფქვილი, პორტლანდის ცემენტი, ცეილონის ჩაი, ყუბანის ხორბალი, მზესუმზირას ზეთი რუსეთის.

საქონლის ბირჟის განწყობილება.

(3 სექტემბერი).

ხორბლისა და პურის პროდუქტების ბაზარზე სუსტი მოთხოვნილება, ქიმიურ ნაწარმოებთა ბაზარზე—გაცხოველებული მოთხოვნილებაა საპონზე. დანარჩენ ბაზრებზე—უცვლელია.

სავალიუტო ბირჟის განწყობილება.

(3 სექტემბერი).

განწყობილება ხასიათდება გაძლიერებული მოთხოვნილებით ჩერვონცებზე. დანარჩენ ვალიუტაზე სუსტი მოთხოვნილება. საერთოდ მოთხოვნილება აღემატება მიწოდებას.

შავი ქვის ექსპორტი.

(„ჩემო“ ს ცნობების მიხედვით).

ივლისის განმავლობაში გატანილ იქნა 51355 ტონი შავი ქვა. აგვისტოს განმავლობაში გატანილია—51.452 ტონი.

ამჟამათ ფოთში იტვირთება გემი „კონიდეუსა“. დატვირთვა მთავრდება. განზრახულია 400.000 ფუთზე მეტი გარეცხილი მადანის გატანა.

31 აგვისტოს ფოთში მოვიდენ გემები „მედეა“ და „ოვრ“-ი. დატვირთვა დაიწყო.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

ხიზილალას რეალიზაცია.

ხიზილალას ექსპორტის მოწყობისათვის ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა პრინციპიალურათ სასურველათ სცნო შერეული საზოგადოების დაარსება უცხო კაპიტალის მონაწილეობით.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელს გერმანიაში მოლაპარაკება დაიწყოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან მათი ხიზილალას ექსპორტის შერეულ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღების შესახებ, შერეულ საზოგადოებების სამაგალითო წესდების საფუძვლებზე.

მოლაპარაკების მიხედვით ამ წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ზოგიერთი ცვლილებები.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

ბამბისა და ბრინჯის დამზადების შესახებ სპარსეთში.

სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს განზრახვა აქვს შეისყიდოს—50.000 ფუთი ბარფრუშის რაიონის ბამბა, რისთვისაც ბამბის დამზადების პერიოდისათვის ბარფრუშში არსდება სააგენტო.

ბამბის დამზადება წარმოებული იქნება პირველ რიგში, შემდეგ კი შეუდგებიან ბრინჯის დამზადებას იმ თანხმობისდა მიხედვით, რომელიც ორგანიზაციას ექნება.

ყუბანის ოლქის სასურსათო სახალხო კომისარიატის წინადადება.

ყუბანის ოლქის სასურსათო სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს—იკისროს ამ უკანასკნელმა ფქვილისა და ხორბალის გასაღება სპარსეთში, საკომისიო საფუძვლებზე.

ეს წინადადება პრინციპიალურათ მიღებულია. ეხლა საჭიროა პირობების გამომუშავება.

საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა უკანასკნელ ხანებში ფართოდ მოკიდა ხელი მუშაობას და თავის დანიშნულებას თითქმის სავსებით ასრულებს; მან უკვე გაგზავნა ერთი სამალარიო ექსპედიცია კახეთის რაიონში და აგრეთვე გახსნა ორი საექიმო პუნქტი სართიჭალის და საგარეჯოს რაიონში.

გარდა მალარიის ავადმყოფებისა იმ ადგილებში, სადაც აფთიაქი და საექიმო პერსონალი არ არის, ღებულობენ ყოველნაირ ავადმყოფებს და წამლებსაც უფასოთ აძლევენ. წითელი ჯვარი ჯერ-ჯერობით მოკლებულია საშუალებას გაგზავნოს ასეთი ექსპედიციები ყველა კუთხეებში, სადაც მალარია მძვინვარებს, რადგან მის განკარგულებაში ძალიან ცოტა მარაგია ქინაქინის. ის უკვე შეეკრა პირობით ერთ-ერთ საზღვარ-გარეთელ ფირმას 1.000 კილო ქინაქინის შემოტანაზე, რომელსაც შეიძენს წითელი ჯვარი და მით აღმოუჩენს დიდ დახმარებას იმ მხარეებს, სადაც ჯერ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს არავითარი საექიმო პუნქტები არ აქვს. ამ დღეებში გაგზავნილ იქნება სვანეთში, სადაც ბავშვთა ავადმყოფობამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო, ერთი საექიმო რაზმი მედიკამენტებით და სხვადასხვა ნივთებით.

საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების განყოფილებები გაიხსნა: ოზურგეთში, ფოთში, ქუთაისში, სოხუმში, გორში, თელავში, ცხინვალში. ამ ოთხი თვის წინათ აჭარისტანში დაარსდა განყოფილება, რომელმაც მოათავა საორგანიზაციო მუშაობა, მოახდინა წევრთა კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა აჭარისტანის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ოსმან კონცელიძე, წევრებათ მ. ჯოგიბერიძე, ა. მნდოიანცი, ნარჩემაშვილი, კ. მხეიძე ექიმი.

აჭარისტანი განსაკუთრებული ენერგიით ეკიდება ამ საქმეს. გახსნა აჭარის წყალზე საექიმო პუნქტი და აფთიაქი, რომლისათვის ცენტრალურ კომიტეტმა მისცა მედიკამენტები, სახვევი მასალა და ქირურგიული ინსტრუმენტები. მას აზრად აქვს ქ. ბათომში ცენტრალურ ადგილზე გახსნას ერთი აფთიაქი და ამბულატორია, საიდანაც უფასოთ მიეცემა წამლები და საექიმო დახმარება ყველა ღარიბ მცხოვრებთ და იმ უმუშევართ, რომლებიც ვერ სარგებლობენ დაზღვევა კასიდან უფასო ექიმობით.

მიეცა ოზურგეთის საავადმყოფოს ერთი აფთიაქი, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს საავადმყოფოს მოთხოვნილებას, აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტს აზრად აქვს გახსნას ერთი საექიმო პუნქტი აფთიაქით, რომელიმე თემში, გურიაში, რომელიც მეტად საჭიროებს ასეთს.

წითელ ჯვარს ნავთლუღში აქვს საკუთარი სახლი 30 ოთახისაგან მოწყობილი ავეჯეულობით, რომელშიაც ხსნის გლეხთა სახლს. ეს სახლი იარსებებს მანამდის, სანამ გაიხსნება გლეხთა სასახლე. გლეხთა სასახლეში იქნება მოწყობილი იურიდიული, საექიმო და სხვა განყოფილებანი, რომელიც აუცილებლობას შეადგენს ქალაქში ჩამოსულ გლეხობისთვის.

კლუბების შემოსავლიდან ცენტრალური კომიტეტი 5 პროც. აძლევს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს თავის ინვალიდების შესანახად, მას უკვე მიეცა ორი მილიარდი ინვალიდების სამშობლოში გასატუმრებლად, გარდა ამისა კლუბების შემოსავლიდან 28 პროც. აძლევს ქალაქის აღმასკომს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ასაშენებლად და 28 პროცენტი მიწად-მოქმედების კომისარიატის ცხენთა საჯიშოების სამმართველოს.

ცენტრალურ კომიტეტმა მოაწყო ავტო-სასწრაფო დახმარება ექიმით და მედიკამენტებით, რომელიც მიიღებს მონაწილეობას ყოველივე პარადების, მიტინგების და მსვლელობების დროს ყოველ უბედურ შემთხვევისათვის.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის ინვალიდთა სახლში ექიმობის საქმე მთლიანად იკისრა წითელმა ჯვარმა.

საქართველოს საკურორტო სამმართველოსაგან წითელმა ჯვარმა აიღო ბორჯომის წყლის მონოპოლია, რომლის ექსპლოატაციას უკვე შეუდგა, საამისო მთავარი საექსპერტო კანტორა გახსნილია რუსთაველის პროსპექტზე.

ცენტრალურ კომიტეტს ჰყავს ორი მატარებელი, ერთი სანიტარული, მეორე კი აბანო სამრეცხველო. უკანასკნელი განუწყვეტლივ მუშაობას იწევა, უმთავრესი სამუშაო მან შეასრულა მუღანში, სადაც აამუშავა 5,000 მუშა.

მანგლისში მყოფ ქართულ ლეგიონერებს, რომლებიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა ცენტრალურ კომიტეტმა გაუგზავნა საჩუქარი, როგორც ფულით, აგრეთვე ნივთებით.

ცენტრალური კომიტეტი კონტაქტში მუშაობს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში არსებულ წითელ ჯვრებთან, უგზავნის თავის დადგენილებებს და მოქმედების ანგარიშს და მათგანაც ღებულობს კიდეც ასეთებს.

საქ. წითელი ჯვარი მიწვეული იყო საერთაშორისო მე-11 კონფერენციაზე, რომელიც უნდა გაიხსნას ჟენევაში 28 აგვისტოს, მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა, მიიღო რა მხედველობაში მტრული განწყობილება, რომელიც შვეიცარიის მთავრობამ დაიკავა ს. ს. რ. კავშირის მიმართ, დელეგატის იქ გაგზავნა სასურველათ არ სცნო და დაადგინა: ვინაიდან ჩვენს საზოგადოებას აქვს მხურვალე სურვილი მიიღოს მონაწილეობა ამ კონფერენციის მუშაობაში—მიეცეს წინადადება კონფერენციის მოსაწვევი ადგილი გადატანილ იქმნას სხვა სახელმწიფოში.

საერთოდ წითელ ჯვარს მრავალი დანიშნულება აქვს, რომელსაც შეძლებისდაგვარათ პირნათლათ ასრულებს. აღსანიშნავია ის, რომ მას მთავრობისაგან არავითარი სუბსიდია არ მიუღია და თითქმის ყველა კომისარიატების დანიშნულებას ასრულებს ნაწილობრივათ. საჭიროა მეტი ყურადღება იქნეს მიქცეული ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებაზე, რათა მისი სალარო გადიდებულ იქნეს, რომ მით შესძლოს თავის დანიშნულებას უფრო ფართოდ განხორციელება.

ფ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირებში

ს. პ. ქ. ს. საბჭოში ინდექსის შეცვლა.

საქ. პროფ. კავ. საბჭოს პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე გამოიტანა დადგენილება ხელფასის ა. | კ ფულის ნიშნების გამოანგარიშების ვადის შეცვლის შესახებ კოლექტიურ ხელშეკრულების მიხედვით, სადაც შეტანილი უნდა იქნეს მუხლი ხელფასის ორი ინდექსით გამოწერის შესახებ, სახელდობრ, ყოველი თვის 8 ის და 22 რიცხვში.

ხელფასის ჩერვონცებით გასტუმრება.

სამუშაო ხელფასის რეალობის უზრუნველსაყოფად, ს. პ. კ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ხელფასის 25 პროცენტი გადახდილ იქნეს ნაღდზე ჩერვონცებით.

ოქროს მომგებიანი სესხი.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით ოქროს მომგებიანი სესხის ობლიგაციების განაღების შესახებ საკითხის განხილვა გადადებულია მანამდე, ვიდრე არ გაირჩევა ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტრ. სადგურის ასაგებად სესხის მიცემის საკითხი, რომელიც ქალ. აღმასკომთან არის აღძრული.

ტრანსპორტის მუშაკთა კავშირში.

ტრანსპორტის გაჯანსაღება საქართველოში.

საბარგო სადგურებსა და პორტებში გადატვირთვა-გადმოტვირთვის მეტის-მეტი სიძვირისა და კერძო ორგანიზაციების მიერ მუშა-ხელის ექსპლოატაციის გამო, ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის სამდივნომ ადგილობრივ სატრანსპორტო სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად გამართულ სხდომაზე გადასწყვიტა საქართველოს ტრანსპორტის გაჯანსაღებისა და უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით მოაწყოს რესპუბლიკის მასშტაბზე ადგილობრივ ტრანსპორტის სამრავლო (Умес), რომელიც საქ. სახ. კომ. საბჭოს დაექვემდებარება და იხელმძღვანელებს ა. კ. გზათა სახ. კომ. რწმუნებულის დირექტივებით. ყველა სატვირთზიდო ოპერაციები, როგორც რკინისგზის სადგურებზე, ისე პორტებში და აგრეთვე სატრანსპორტო-საზღვაო ცენტ. განყოფილების ფუნქციებში გადაეცემა ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს, რომელიც იმოქმედებს კავშირთან მჭიდრო კონტაქტში.

ავტო-მანქანათა შეჯიბრება.

ახლო მომავალში ადგილობრივ ტრანსპორტის საოლქო სამმართველოში მოეწყობა ავტომობილების შეჯიბრება, რომლის მიზანია ავტომანქანების ღირსების გამორკვევა და ამის მიხედვით საზღვარ გარეთ ავტომობილების შეძენა, საკონკურსო კომისიაში შედის ტრანსპორტის მუშაკთა კავშირიდან პრეზიდიუმის წევრი ამხ. გიგაური.

ქრონიკა

მისალმება.

ამხ. ამხ. ფ. მახარაძეს და მ ცხაკაიას.

— საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის შორაპნის სამაზრო მე-5-ე ლეგალური კონფერენცია, რომელიც გაიხსნა ა. წ. 23 აგვისტოს, მოგესალმებათ თქვენ საქართველოს კომპარტიის ჭაღარა ბელადებს, და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. კონფერენცია ღრმათაა დარწმუნებული, რომ თქვენი დაუღალავი ბრძოლა და რევოლიუციონური წარსული სამაგალითოა კომუნისტური ახალგაზრდობისათვის.

—

კონფერენციის პრეზიდიუმი.

— **მოსავალი თელავის მაზრაში.** ხშირი წვიმებისაგან თელავის მაზრაში დაიღუპა მოსავალის 50 პროც. ალაგ-ალაგ მოსავალი სრულებით განადგურებულია.

— **პოლიტეხნიკუმი მოსკოვის გამოფენაზე.** ტფ. პოლიტეხნიკუმის აგრონომიულ განყოფილების მთელი შემადგენლობა მიემგზავრება მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

— **სისხლი მუშებს.** ცენტრო-კავშირმა გამოიმუშავა გეგმა მუშებისათვის სისხლის მისაცემათ. სისხლი მიეცემათ მხოლოდ ფიზიკურად მომუშავე მუშებს.

— **შრომის ბირჟა.** 1 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 383 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—8, გაიგზავნა სამუშაოზე—61 უმუშევარი.

— **სამხედრო ნივთები.** ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილებამ საქ. სახალხო ბანკთან დანიშნა კომისია აღნიშნულ ბანკში შენახულ სამხედრო ხასიათის ნივთების გამოსარკვევათ, რომელიც იმყოფება საქ. სახ. კომ. საბჭოს განკარგულებაში.

— **მუშათა დაზღვევა** დამზღვევმა კასამ დაადგინა პირველ რიგში დააზღვიოს მსხვილი მრეწველობის მუშები.

— **უმაღლეს სასწავლებელ კურს დამთავრებულთა დაზღვევა.** დამზღვევ კასის დადგენილებით, დაიზღვევიან უმაღლეს სასწავლებელ ის კურს დამთავრებულნი, რომელთაც აქვთ შრომის სტაჟი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიზღვევიან. გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ პრეზიდიუმის დადგენილებით.

— **ტყის ექსპლოატაცია.** რკინის გზის სამმართველომ შეიმუშავა ხელშეკრულების პროექტი მიწათმოქმედების კომისარიატთან დასადებათ, სააგარაკო ტყეების ექსპლოატაციის შესახებ.

— **სახლები რკინის გზის მუშებისათვის.** რკინის გზის სამმართველომ გამოსცა ბრძანება რკინის გზის მუშებსა და მოსამსახურეებს შორის საერთო ბინებში ოთახების განაწილების წესის შესახებ.

— **შტატების გადასინჯვა.** ამხ. ქართველიშვილის და ამხ. არჩ. მაქაძის მონაწილეობით შესდგა კომისია ჯანმრთელობის კომისარიატის შტატის გადასასინჯათ.

— **ცენზურა საექიმო განცხადებებსა და რეკლამებზე.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა შემოღებულ იქნეს ცენზურა საექიმო განცხადებებსა და რეკლამებზე ექიმის პრაქტიკისა და ცენზის მიხედვით.

— **მცხეთის დასასვენებელი სახლი.** მცხეთაში მუშათა დასასვენებელი სახლი დაიხურება 1-ლ ნოემბერს, აღნიშნულ დროზე ბორჯომისა და წაღვერის სააგარაკო სეზონის დახურვის საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. განზრახულია ბორჯომში დასასვენებელი სახლი მთელი წლის განმავლობაში არ დაიხუროს.

— **ბოროტ-მოქმედთა შეპყრობა** შეპყრობილ იქნენ საქულა კონსტანტინიანცი და ზაქარია ძმელაშვილი, რომელთაც აღმოაჩნდათ რამდენიმე ტომარა ნაძარცვი ნივთებით.

— **სავაჭროს გატეხვა.** 31 აგვისტოს მე-3-ე სამილიციო ნაწილში მძარცველებმა გასტეხეს მელიქ არუსტამოვის სავაჭრო, საიდანაც წაიღეს რამდენიმე მილიარდის საქონელი.

— **აღმასკომის თავმჯდომარე.** ქალ. აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. სუხიშვილის შვებულებაში წასვლის გამო, მის ადგილზე დროებით დაინიშნა ამხ. ქლენტი.

— **ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება.** ამ დღეებში შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის დახმარებით მოეწყობა საქართველოში მყოფ ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება. პირველ რიგში გაიგზავნება ალექსანდროპოლში 200 ლტოლვილი.

— **საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლა.** საქართველოში საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ გაიხსნა ხუთი პუნქტი.

— **სასოფლო სამეურნეო გადასახადი.** აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სიების შედგენა და გადასახადის რაოდენობის გამოანგარიშება უკვე დასრულდა.

— **გადასახადის შემცირება.** სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო სამეულმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრ. აღმასკომის წინაშე, რათა სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებული გორის, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის და თელავის მაზრებს შეუმცირდეთ გადასახადი.

— **ფულადი გადასახადი.** ტფილისის და ბორჩალოს მაზრებისთვის დაწესებულია ფულადი გადასახადი ფუთ ხორბალზე 3,500,000 მ., თელავის, ახალციხის და ახალქალაქისთვის 3,000,000 მან. გორის, დუშეთის, სიღნაღის და სამხრეთ ოსეთისათვის 2,500,000 მან.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლი.** სკოლის გარეშე განათლების სახლი შეიცავს სკოლის გარეშე განათლების მუზეუმს, რომლის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

სახლის განკარგულებაშია მეტად მდიდარი პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა, საიდანაც წიგნებით სარგებლობა შეუძლია ყველას და სამაგალითოდ მოწყობილი სამკითხველო, სადაც გარდა მოსკოვისა და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებისა, მოიპოვება იშვიათი ლექსიკონი და მრავალი წიგნები პედაგოგიურ, საზოგადოებრივი და ეკონომიურ სოციალური ხასიათის, რომლით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ სამკითხველოში ყოფნის დროს. ბიბლიოთეკას მოეპოვება ყველა ახალი გამოცემანი.

— **ახალი სახელმძღვანელო.** ნ. კიქოძემ დასწერა სახელმძღვანელო საქართველოს გეოგრაფია შრომის სკოლებში სახმარებლად. წიგნი უკვე წარედგინა სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად.

ქალთა კრება

29 აგვისტოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა ქალთა კრება, რომელსაც დაესწრო 500 ქალი, როგორც საბჭოთა მომუშავენი ისე, რკინის გზელები და ოჯახში მომუშავე ქალები. ამხ. ფილიპე მახარაძემ გააკეთა მოხსენება მენშევიკური პარტიის ისტორიული განვითარების და დღეს მისი საბოლოო დამარცხების და სიკვდილის შესახებ. თვით მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები გადაჭრით გმობენ ამ პარტიის წარსულს და სდგებიან ოქტომბრის რევოლიუციის აქეთ მხარეს, კომინ-

მუშათა ცხოვრება

მუშათა ცხოვრება სამტრედიაში

„ცეკავშირის“ სამტრედიის განყოფილებამ უკვე აამუშავა და თითქმის სისრულეში მოიყვანა ყოფილი იტალიელის მექანიკური პარკის სახმობი ქარხანა. ამ ქარხანაში მუშაობდა მრავალი მუშა-ქალები და მამა-კაცები, რაც სამტრედიის მიძინებულ ცხოვრებას აღვიძებდა და სიცოცხლის ნიშანწყალს უმატებდა. ეს ქარხანა უკვე ამუშავდა, როგორც ვსთქვით, და მასში კვლავ შეაფარა თავი ორასამდის უმუშევარ ქალებმა და მამაკაცებმაც. ქარხანაში ახმობენ პარკს, ამოაქვთ ძაფი და სხვა. თუმცა მუშაობა ჯერ არ არის დასრულებული, მაგრამ მაინც მასალა საკმაოდ არ არის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდის მიიყვანთ და ეს ქარხანა კვლავ დაიკავებს იმ ალაგს, რომელიც მას ქონდა 1914 წლამდე. ამის თავდებია განყოფილების გამგის გამოცდილი და დაუღალავი მუშაობა. სამწუხაროდ, ქარხანაში ვერ არის საკმაოდ დაცული შრომის პირობები და მუშათა მიღება დათხოვნის საკითხიც ვერ არის მოწესრიგებული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოკლე ხანში ეს დეფექტები გამოსწორებული იქნება.

მუშკორი ხან—კონი.

დაუშვებელი რამ

მეორე რაიონის „ვეჩერნი ზორის“ კინო უკვე მიიკეტა და მისი 10 სული მუშა-მოსამსახურენი უმუშევართა რიცხვს მიემატა. ზემოხსენებულ ათ კაცს არ აქვთ მიღებული შრომის ხელფასი და არც სალიკვიდაციო ჯილდო. რის გამო ხსენებულ მუშა-მოსამსახურეებმა შეიტანეს განცხადება რაიკომში, რომელმაც მხურვალედ მოჰკიდა მუშათა საჩივარს ხელი და დაიწყო მისი გამოძიება, მაგრამ სულ ამაოდ, რადგან ხსენებულ „ზორის“ გამგეს არც კი სურდა რაიკომთან მოლაპარაკება ამის შესახებ. გამგეს არ სურს მოიკლოს „ვეჩერნი ზორის“ ბაღში მწვადების და შემწვარ ვარიების ჭამა, რადგანაც თვითონ აღზრდილა ამგვარ ფუფუნებაში და მუშები კი მეწყერსაც წაუღიათ. მისთვის ორივე ერთია: ეს გაუმაძღარი და გაუსწორებელი ვაჟბატონი ფიქრობს, მუშები სიმშილს და სილატაკეს ჩვეულნი არიან და ამის გამო დღესაც შეუძლიანთ მათ სიმშილში გაატარონ თავიანთი დღე. რაიკომმა ამ ჯიუტი ხაზეინის საქმე გადასცა სახალხო სასამართლოს. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მუშა-მოსამსახურენი გაიმარჯვებენ და „მწვადქამიას“ ლობიოსაც კი მონატრებენ. სახალხო სასამართლო გაამათრახებს მას, როგორც ეს მან დაიმსახურა.

მუშკორი გ. მ—შვილი.

რკინისგზის მუშებში

(პროფკავშირის საყურადღებოდ)

ამა წლის 25 აგვისტოს ტფილისის უბნის მუშებმა მიიღეს ჯამაგირი და რომ გზა აექციათ სპეკულიანტებისათვის და ცოტა მეტი სანოვაგე ეყიდნათ ამ ფულებით, მუშები გაემგზავრენ სოფლებისკენ. ვისაც კი უნახავს შაბათობით მუშების მოგზაურობა სოფლებისკენ, ის დარწმუნდება, რომ მუშას, უსათუოდ მდგომარეობა რომ არ აიძულებდეს, ის ტფილისიდან ფეხსაც არ გადასდგამს სოფლისაკენ.

25 აგვისტოს მოგზაურობა კი პირდაპირ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა მოგზაურთათვის, რადგანაც ღამის 12 ნახ. საათზე ტფილისიდან გორისაკენ გასულ მატარებელზე მიბმულ ანტრაციტის „იაზჩიკებში“-აც კი „სელიოდკებივით“ ეწყვნენ მუშები. მაგრამ ჩვენ არ გვაკმარებდნენ ამ სატანჯველსაც და ზოგიერთი მოხელე ხელოვნურად გვიმატებდა ტანჯვაზე ტანჯვას. აი, ამის მაგალითიც: კვირას, 26 აგვისტოს, ქარელის სადგურზე მუშები ნასყიდ სურსათ-სანოვაგით სავსე ტომრებით მოუთმენლად ელოდებოდნენ მატარებელს. საღამოს 6 საათზე სადგურის ზარმა გვანიშნა მატარებლის გამოსვლა და მუშები მოემზადნენ ლიანდაგის ნაპირებზე თავის ბარგით ვაგონებში შესასვლელად. უკვე 7 საათი იქნებოდა, როდესაც მატარებელი მოვიდა სადგურზე. მაგრამ მატარებელი სადგურთან არ შეჩერდა და მან სადგური გაიარა. მუშების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. არ იცოდნენ, თუ რაში იყო საქმე. ბოლოს მატარებელი გაჩერდა, სადგურიდან დიდი მანძილის დაშორებით. მუშებს შორის ასტყდა საშინელი ყიჟინა. გარბის ხალხი ტომრებ მოკიდებული მატარებლისკენ. ეჯახებიან ერთმანეთს ქალები, ეცემიან, უცვივდებათ, ეფანტებათ ნაყიდი სურსათი და ვინ იცის კიდევ რამდენს დაეკარგა უკანასკნელ ფულით შეძენილი სურსათ-სანოვაგე. საჭიროა გამორკვევა, ვინ და რისთვის მოუწყო მუშებს ასეთი მათი გამანადგურებელი ვაკხანალია? რისთვის არ გაჩერდა მატარებელი № 82 სადგურზე ჩვეულებრივად, და თუ ეს გარემოება გამოწვეული იყო რაიმე აუცილებელ მიზეზით, რისთვის არ შეატყობინა სადგურის უფროსმა მუშებს, რათა ისინი დამდგარიყვნენ იმ ადგილას მომზადებულნი, სადაც გაჩერდებოდა მატარებელი. განა ასეთი საქციელი სადგურის უფროსისა დასაშვებია?

მუშა ივ. ბ—შვილი.

მბეჭდავთა კლუბი

აღნიშნულ კლუბში წარმოდგენები ქართულ ენაზე კლუბთან არსებულ ქართულ სექციის მიერ მწყობრად მიდის და თითქმის სისტემატიურადაც იმართება. კვირას, 19 აგვისტოს ამავე სექციის მიერ დადგმულ იქნა სამ მოქმედებიანი დრამა „ორი დარაჯი“.

ეს პიესა თავისი შინაარსით, რომელშიაც ჩაქსოვილია ღრმა სულიერი განცდანი და რომლის მთელი სიუჟეტი აგებულია მოძმესადმი უანგარო თავდადების მისწრაფებისაკენ, იქამდის რთულია, რომ ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა, თუ არა დამსახურებული მსახიობები, მის განხორციელებას სცენაზე ველარ შესძლებდენ. მაგრამ დახეთ ჩვენს განცვიფრებას, როდესაც აქაურმა მუშა მსახიობებმა და სცენის მოყვარეებმა არამც თუ შესძლეს მისი პირნათლად შესრულება, პირიქით, გადააჭარბეს კიდეც ყოველ მოლოდინს.

პიესის მთელი ტრაგიზმი, მისი ბუნებრივი სინამდვილე ისე ცოცხლად და მკაფიოდ გადასცეს ჩვენ მუშებს, რომ თავის შეკავება ვერ შესძლეს მაყურებლებმა და აქვითინდნენ.

ეს საღამო რაღაც არაჩვეულებრივი იყო.

აღსანიშნავია ბესო მაისურაძე მსახურ „თომას“ როლში, ეს მუშათა სცენის ვეტერანი ჯერ კიდევ კარგა ხანს შესძლებს პირნათლად ტიპების დახასიათებას.

დიდი ყურადღების და მადლობის ღირსია ძველი სცენის მოყვარე ქალი ვარო ზეიჯანოვისა.

ამხ. დათიკო მელაშვილი ჩვენ ხშირად გვინახავს სხვადასხვა როლებში, მაგრამ ის ამ პიესის ჯარისკაცის როლში სახელდ. „რობერტო“, იგი სულ სხვა გეგონება. თითქოს პიესის ავტორს განსაკუთრებით ამისთვის დაუმუშავებია ეს ტიპიო, ისე ცოცხალი და გამბედავია ამ როლში.

პიესა უნაკლოდ ჩატარდა.

სამწუხაროდ, დეკორაციები ძალიან ღარიბი აღმოჩნდა, რასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ჩვენ ძლიერ გვიკვირს, რომ ასეთ მუშებს, როგორიც არიან ასოთ-ამწყობნი, დღემდის არა აქვთ შესაფერი კლუბი და თეატრი.

ეხლანდელი მბეჭდავთა კლუბი ჩვენ გვაგონებს, ამ 15—20 წლის გარეუბნებში არსებულ სათეატრო თაჩხას, რაც ყოვლად დაუშვებელია ეხლანდელ პირობებში.

საჭიროა ამ არანორმალურ მოვლენას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგან ეს დამოკიდებულია და ერთ-ერთი კინოს დარბაზი, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე მოიპოვება, გადაეცეს მბეჭდავებს. ხსენებულ კლუბში, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ოთახში, თავს ვერ იყრიან ჩვენი მუშები მისი სივიწროვის გამო.

იმედია, ამას გამოეხმაურება თვით საქ. პროფესიონალური კავშირიც.

დასასრულ ვუსურვებთ წარმატებას ხსენებულ სექციას თავის მუშაობაში მუშების საკეთილდღეოდ.

მუშა გ. გ—ძე.

დაუშვებელი საქციელი

(განათლების სახალხო კომისარიატის საყურადღებოდ).

შაბათს, 25 აგვისტოს მუშათა ცენტრალურ კლუბში ჩვეულებრივ გაიმართა დიდი კონცერტი-ბალეტი სახელმწიფო ოპერის მსახიობთა მონაწილეობით. ასეთ სერიოზულ კონცერტებს ჩვენ ვეგებებით და მუშებიც სიამოვნებით მოდიან კლუბში მის მოსასმენად, მაგრამ სახელმწიფო ოპერის მსახიობებმა ეს თანაგრძნობა არ დაინახეს და არც დააფასეს. მუშათა კლუბის აუდიტორიას ამჯობინეს „ვეჩერნი ზორი“-ს მოქეიფე ხალხი. რაშია საქმე? ამ საღამოს თანახმად სამსახურისა მუშათა კლუბში კონცერტში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, სხვათა შორის, მომღერლებს: ლადო კავსაძეს, აგასოვა-კალანდაძისას, თუმანოვა-მახარაძისას, ბალეტიდან: ქალებს კაზინეცს და ჩიბუკიანს. „ბატონი“ კავსაძე მობძანდა კლუბში და ვინაიდან ეჩქარებოდა „ზორი“-ში, არ გამოვიდა სცენაზე და ჩქარის ტემპით გაბრუნდა „მსუქან ხალხისაკენ“, რათა გასამრჯელო იქ დიდი მოელოდა. არ გამოვიდნენ, უფრო არ მობძანდნენ დანარჩენი მომღერლებიც აგასოვა-კალანდაძისა, თუმანოვა-მახარაძისა, კაზინეცი და ჩიბუკიანი.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ეს მსახიობები სახელმწიფო ხარჯზედ იმყოფებიან, იღებენ ჯამაგირს და ამ დროს სხვაგან, „ზორებში“ მიბძანდებიან. ჩვენ ამაში ვხედავთ დაუშვებელ საქციელს ზოგიერთ მსახიობების მხრით, რომელთაც არა სწამთ მუშათა კლუბები და მისი აუდიტორია, ეს ნათლად გამოსჭვივის მათ ასეთ საქციელში და პროგრამის აღსრულებაშიც.

ნუ ავიწყდებათ დიდ მსახიობებს, რომ მუშათა კლუბებშიც პატარა, მაგრამ მძლავრი ხალხია, რომელთაც წყურიათ კარგი კონცერტების და მუსიკის მოსმენა. სახალხო განათლების კომისარიატს კი ესაჭიროება ყურადღება მიაქციოს ასეთ შეუგნებელ, მუშათა იდეალების არა მოტრფიალე ელემენტებს.

ზიზღი მათ, ვინც დღესაც არ არიან მუშებთან!

მუშა მელითონე.

ტერნის დროშის ქვეშ. მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქნა ქვევით მოყვანილი რეზოლიუცია:

დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ მოგვეცა ჩვენ თავისუფლება, კომუნისტურმა პარტიამ საერთო სიმპატია და თანაგრძნობა მოიპოვა მშრომელ ხალხში და წითელ არმიაში. ოქტომბრის რევოლიუციამ გაგვანთავისუფლა თეთრ გვარდიელთა ბრბოებისაგან, რომელიც გვემუქრებოდა სიმშილით, სიცივით, დახვრეტით, სიბნელით და სხვა.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიას, რომელიც ეცადა მუშათა და გლეხთა განთავისუფლებას. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელებს, მოგიწოდებთ თქვენ დანარჩენ ქალებსაც ყოველმხრივ ენერგიულათ მხარი დაუჭიროთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და არა მენშევიკურ პარტიას, რომელიც უდგა გვერდში ვეშაპებს, ბეგებს, ხანებს, დაშნაკელებს, დენიკინ-ვრანგელებს, და სხვა, დღეს კი თვით მენშევიკური პარტიის საუკეთესო წევრებიც დარწმუნდნენ მენშევიკური ლოზუნგების უშინაარსობაში და მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს გაუმარჯოს ჩვენს ბელადებს ლენინს და ტროცკის და მსოფლიო რევოლიუციას.

პროვინციაში

სოფელი დიდი-ლილო.

ტფილისიდან 15 ვერსის მანძილზე მაღლობზე მდებარეობს სოფელი დიდი-ლილო. სოფელში ითვლება სულ 200 კომლი გლეხობა, რომელიც ღარიბათ სცხოვრობს და მისდევს პურის მოყვანას და საქონლის მოშენებას. გლეხობა დიდ ტანჯვას განიცდის უწყლობის გამო, რაც უარყოფითად მოქმედობს, როგორც ბაღებზე, ისე მინდვრებზედ; არის რამდენიმე წყარო, ამათგან ორიდან სარგებლობენ, დანარჩენებისათვის საჭიროა მილების გაყვანა და კრანების გაკეთება.

1921 წლ. აპრილიდან სოფელში ყოფილა კოოპერატიული დუქანი, რომელიც დიდ შეღავათს აძლევდა გლეხკაცობას, მიმდინარე წლის 10 თიბათვეს დუქანი დაუკეტნიათ კოოპერატიულ დუქნების რეორგანიზაციის გამო. დღეს ლილოში არ მოიპოვება არც კოოპერატიული და არც კერძო დუქანი, რის გამო სოფელი გაჭირვებას განიცდის პირველ მოთხოვნილების საგნებში, როგორც არის ფართალი, საპონი, ნავთი, მარილი, წუმწუმა და თამბაქო. ამ ორი, სამი თვის წინათ არჩეული იყო გამგეობა 7 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა რძის ფერმის მოწყობა, მაგრამ დღესაც არაფერია გაკეთებული.

მთლიან მუშათა კოოპერატივთან იყო დადებული ხელშეკრულება, სოფელში სარძეო ფერმის გახსნისათვის არტელის სახით, რომლითაც მთლიანი მუშათა კოოპერატივი აძლევდა 600 მანეთამდე ღირებულს (ოქროთი) ფერმისათვის საჭირო ინვენტარს და საქონელს კოოპერატიულ დუქნისათვის, ჯერ-ჯერობით კი არაფერია გაკეთებული ამ დარგში. ფერმისათვის საჭირო წყლის კრანები და მილები რაც უნდა გაკეთდეს და მოწესრიგდეს ახლო მომავალში, მთლიანი კოოპერატივი თავის თავზე არ ღებულობს მილების შეკეთებას, გლეხობას კი არა აქვს ამის საშუალება. საჭიროა რაც შეიძლება მალე გაიხსნას კოოპერატიული დუქანი და დაკმაყოფილდეს სოფლის მცხოვრები პირველი საჭიროების საგნებით.

სოფელში არსებობს სკოლა, მეტად მძიმე პირობებში. შენობას, სადაც მოთავსებულია სკოლა, ფანჯრები დატეხილი აქვს. სკოლა საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

სასწავლო წიგნებში და სახელმძღვანელოებში სკოლა დიდ გაჭირვებას განიცდის. სოფელს აქვს სამკითხველო. სამკითხველოს ნორიოს თემის აღმასკომიდან მოსდის თითო-ცალი გაზეთები „მუშა“ „კომუნისტი“ „მიწის მუშა“. ღარიბად გამოიყურება სამკითხველო, მოიპოვება მცირეოდენი პარტიული ლიტერატურა, პატარა მოთხრობები ქართული წიგნები და ჟურნალები.

სოფელს აქვს თავისი საკუთარი კლუბი, შიგ მოთავსებულია სცენა, აკლია მხოლოთ ფარდა და განათება, კლუბი საჭიროებს შეკეთებას.

დრო გამოშვებით კლუბში იმართება მოხსენებები, თვითმოქმედების საღამოები და წარმოდგენები. 5 აგვისტოს ადგილობრივი ძალებით დაიდგა პიესები „რაც არ მერგება არ შემერგება“ და „დედის ერთა“, რომლის შემოსავალი 12 მილიონი მან. გადაეცა ძალზე ღარიბ ქვრივს—წვრილშვილის პატრონს.

საექიმო დახმარება სოფელში არ არის, თუმცა საჭიროება არის.

მელითონე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 106

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დებულება —პასუხსაგები შრომის ამხანაგობათა (არტელების) შესახებ.

რათა მოწესრიგებულ იქნეს საქონლისა, ფულადი თანხებისა და სხვა ფასეულობის შენახვის საქმე და საამისო ოპერაციების წარმოება იმ საშუალებით, რომ ამ ოპერაციების აღსრულება გადაეცეს პასუხისმგებელ მომუშავეთ, რაც მატერიალურად უზრუნველჰყოფს ოპერაციების სწორედ შესრულებას და ფასეულობის დაცვას,—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება პასუხსაგები შრომის ამხანაგობათა შესახებ:

1) ამხანაგობას მიზნად აქვს ისეთი თანამდებობისა, სამუშაოს და მინდობილობის აღსრულება, რაც დაკავშირებულია საქონლისა, ფულადი თანხისა, ფასეულობისა და სხვ. ქონების მიღებასა, შენახვასა, გაცემასა, გაგზავნ-გამოგზავნასა და დაცვასთან. ეს მინდობილობა და სამუშაო აღსრულებულ უნდა იქნეს მისი წევრების პირადი შრომით—მათი ერთმანეთის თავდებობით.

2) ამხანაგობა მოქმედობს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

3) დასამტკიცებლად წარსადგენი წესდება ამხანაგობისა ხელმოწერილ უნდა იქნეს ამხანაგობის დამფუძნებელთა მიერ რაცხვით არა ნაკლებ 30-სა და შიგ ნაჩვენები უნდა იყოს:

ა) ამხანაგობის სახელწოდება, მიზანი და მოქმედების ადგილი, ამასთანავე აღნიშნულ უნდა იქნეს წევრთა უმცირესი რიცხვი.

ბ) წევრთა მიღების პირობა, მათი უფლება და მოვალეობა; აგრეთვე მათი ამხანაგობიდან გამოსვლისა და გამორიცხვის წესი.

გ) თვით ამხანაგობისათვის საჭირო სამსახურის გასაწევად დაქირავებული შრომის გამოყენების პირობა, წესი და ფარგალი.

დ) ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობის სივრცე ამხანაგობის ვალდებულებისათვის, უკეთუ ეს სივრცე შეზღუდულია.

ე) ვადა და სხვა პირობა ამხანაგობიდან გასულ, ან გამორიცხულ წევრთათვის იმ თანხების მიცემისა, რაც მათ ამხანაგობისაგან ეკუთვნის; აგრეთვე ვადა, რომლის განმავლობაშიაც აღნიშნული წევრნი განაგრძობენ პასუხისმგებლობას ამხანაგობის ვალდებულებათათვის.

ვ) ამხანაგობის თანხების შედგენისა, შენახვისა და ხარჯვის წესი.

ზ) საწევრო გამოსაღების შეტანის წესი და ამხანაგობის ზარალის დაფარვის წესი.

თ) ამხანაგობის საქმეთა მართვა-გამგეობის და რევიზიის წესი.

ი) ანგარიშების საერთო საფუძველი და

კ) ამხანაგობის საქმეთა ლიკვიდაციის წესი.

4) ამხანაგობის წევრად შეუძლიან იყოს ორივე სქესის პირი, 18 წლისაზე არა ახალგაზრდა, რომელიც სასამართლოს წესით უფლება-შეზღუდული არ არის.

5) ამხანაგობას აქვს იურიდიული პიროვნების უფლებანი და, როგორც ასეთს, შეუძლიან,—მოქმედ კანონდებულებათა თანახმად,—შეიძინოს ქონება, მიიღოს და დასდოს ხელშეკრულება, მიიღოს თავის თავზე ვალდებულება, იჩივლოს და პასუხი აგოს სასამართლოს წინაშე, ამხანაგობას უფლება აქვს შეერთებისა როგორც კავშირის მოწყობის სახით, ისე გაერთიანებით.

6) ამხანაგობის სალარო შესდგება წევრთა გამოსაღებისაგან (ფულად და საგნობრივ) და სხვა შემოსავლისაგან და შეიცავს: ა.—ძირითად თანხას, ბ.—სათადარიგო თანხას და გ.—სატრიალებელ თანხას. ძირითადი თანხა ინახება სახალხო ბანკში და დაიხარჯება მხოლოდ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად; უკეთუ შემცირდება იგი, შევსებულ უნდა იქნეს.

7) საწევრო გამოსაღები ამხანაგობის ყველა წევრისათვის თანაბარი უნდა იყოს.

8) ამხანაგობა ნაკისრი ვალდებულებისათვის, მისთვის ჩაბარებული ქონების ხელუხლებლობისა და შენახვისათვის და მისი წევრების მიერ სამსახურის წესიერი აღსრულებისა და, საერთოდ, მათი მოქმედებით მიყენებული ზარალისათვის პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით და აგრეთვე ყველა მის წევრთა ერთმანეთის თავდებობით იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია წესდებით თანახმად ამ დებულების მე-3-ე მუხ. „დ“ პუნქტისა.

შენიშვნა: ერთმანეთის თავდებობით პასუხისმგებლობა წევრთა შორის თანაბრად განაწილდება.

9) ამხანაგობაში შესული პასუხს აგებს აგრეთვე ამხანაგობის იმ ვალდებულებებისათვისაც, რაც მის წევრად შესვლამდე წარმოიშვა.

10) არ შეიძლება ამხანაგობის ქონება მოხმარებულ იქნეს მისი წევრების პირადი ვალდებულების გადასახდელის დასაკმაყოფილებლად.

11. ამხანაგობის წევრის პროფესიონალური პირადი შრომის დაქირავებულ შრომით შეცვლა არ შეიძლება.

12) ამხანაგობას უფლება ეძლევა მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა ცალკე მომუშავისა, მომუშავეთა ჯგუფისა და თავისი წევრების შრომისათვის იმ დაწესებულებისა ან საწარმოოს ადმინისტრაციასთან დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულებით, რომელსაც ეს მომუშავენი ემსახურებიან.

13) ამხანაგობის წევრს შრომისა ან სხვა სამსახურისათვის სასყიდელი და აგრეთვე საგარანტიო გასამრჯელო თვით ამხანაგობას ეძლევა ამხანაგობის გამგეობის და ნასამსახურევი საწარმოოს და დაწესებულების შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად.

14) ამხანაგობა მოსპობს თავის მოქმედებას: ა) ამხანაგობის მოქმედების ვადის გასვლისას, უკეთუ ეს ვადა წესდებით გათვალისწინებულია; ბ) წევრთა საზოგადო კრებისა ან რწმუნებულთა კრების დადგენილებით; გ) როდესაც მის წევრთა რიცხვი წესდებით განსაზღვრულ რიცხვზე იქნება; დ) სასამართლოს ხელისუფლების განაჩენით, როდესაც ამხანაგობის მოქმედება ცნობილ იქნება როგორც კანონის საწინააღმდეგო ან როგორც სახელმწიფო ინტერესებისათვის მავნებელი.

15) დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად—გასცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განსავითარებლად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი

იუსტიციის სახ. კომისარი ვარ. ძიელი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აგვისტოს 25.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება რომ დღეს, 4 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე მე-2 საუბნო კომიტეტის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 95) მოწვეულია მე-2 უბნის უჯრედთა მდივნების თათბირი.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება უჯრედების მდივნებისა ადგილებიდან.
2. მიმდინარე საკითხები.

უჯრედების მდივნებმა ადგილებიდან მოხსენების დროს, უნდა იხელმძღვანელონ კითხვათა ფურცლებით.

ყველა უჯრედების მდივანთა გამოცხადება დანიშნულ საათს სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნაზარიანი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ექიმი იოსებ მიხეილის ძე დონჯაშვილი, დედა ალექსანდრა ილიას ასული და ძმანი იოსებ და კონსტანტინე ვლადიმერის ძენი გვახარიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 2 სექტემბერს, ძვირფასს

ნინო ვლადიმერის ასული

გვახარია - დონჯაშვილისა

გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან სამშაბათს 4 სექტემბერს საღ. 5 საათზე. ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავ ეკლესიის გალავანში 5 სექტემბერს საღამოს 5 საათზე.

1164—1—1

ამით ვაცხადებ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 5 სექტემბერს საღამოს 5 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ყოფილ კოოპერატივ „ზაკვოენსაიუზის“ დარჩენილ ქონებათა გასასყიდათ, რომელიც შესდგება სხვადასხვა ნივთებისაგან, აფრიკიანის ქარვასლაში მდებარე, სიონის ქუჩა № 32.

მე-4-ე სამილიციო რაიონის უფროსის თანაშემწე ვ. აბულაძე.

1163—1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 (ხუთ) სექტემბერს დანიშნულია

ხელმეორედ შეჯიბრება

[illegible] საწყობის ასაგებ სამუშაოთა იჯარით გაცემის შესახებ.

ვრცელი პირობების და ნახაზების ნახვა შეიძლება „ზაჰესი“-ს ტექნიკურ განყოფილებაში დღის 10—12 საათამდე (ქ. ტფილისი ლ. დუმბაძეს ქ. ყოფ. ველიამინოვის № 3) იქიდანვე გაიცემა დაწესებულ ფორმის ბლანკები განცხადებისათვის.

სამუშაოთა უფროსის თანაშემწე გ. კიკნაძე. 593 2—2

ოთხშაბათს, ენკენისთვის 5-ს, დილის 10 საათზე

სახალხო განათლების კომისარიატის სადგომში

(ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5) ოთახში № 25

მესამე შეჯიბრება

საბავშვო სახლებისათვის მწვანეულობის მოწოდებაზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განათლების კომისარიატში ოთახში № 25. 1156 2—2

განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფი

კურსები ბუღალტერიისა

და საკომერციო მეცნიერებისა.

ტ. მ. ფილოიანისა

გაიხსნა ახალი განყოფილება. მიღება ყოველდღე. ტფილისი, პლეხანოვის პრ. 24. 588 5—2

პირველად ქართული სტენოგრაფია

სტენოგრაფიის ავტორმა პროფესორმა ქავატოვსკიმ შეადგინა ქართული სტენოგრაფია. ქართული სტენოგრაფია შემდგარია უკანასკნელ დამთავრებულ კონსტრუქციით თა ყველა ენებზე უფრო ადვილად შესათვისები სტენოგრაფიული ნიშნებით, რომლითაც შეიძლება [illegible] წერა ქართულ ენაზე ყოველგვარ ლექციების [illegible] ხელმძღვანელი იქნება თვითონ ავტორი პროფესორი [illegible] მთელი კურსები განვლილი იქნება ოთხ თვეში. დამთავრებულნი [illegible] სტენოგრაფთა კავშირს და მხოლოდ ამ კავშირის ხელმძღვანელობით იქნება შესრულებული ყოველგვარი სტენოგრაფიული საქმეები საქართველოში.

წინასწარ ჩაწერა მიიღება:

1) მეოთხე ვაჟთა გიმნაზიაში, ბელგიის ქუჩა № 4, ნასადილევის 4-და 5 ნახ. საათამდე. 2) პროფესიონალ. სკოლაში პასკევიჩის ქ. № 13, 6-და 7 ნახ. საათ. იქავე შეიძლება ყოველგვარ ცნობების მიღება. 3) დანარჩენ დროს მილიუტინის ქუჩაზე № 1 გიორგი ჩარხიშვილთან. მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვეს და ათ ენკენისთვეს შესწყდება ჩაწერა. 1—1

სასწავლო სეზონისათვის

რ. ს. ფ. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობის სავაჭრო სექტორის ამიერ-კავკასიის

განყოფილება

(რუსთაველის პროსპექტი № 16, ტელ. 19-02)

აწვდის

სახელმძღვანელოებს

ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე

და

სასწავლო ნივთებს

გამომცემლობის ფასებში

განათლების კომისარიატის ორგანოებს, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და წიგნის მაღაზიებს

სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები

დაეთმობათ შეღავათიან ფასებში

კრედიტი

ვექსილის ქვეშ ჩერვონცების ანგარიშით

მოითხოვეთ უფასოთ წიგნების პროსპექტი

3—1

პლეხანოვის ქუჩა № 25. შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5.

საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად ვამზადებ

არითმეტიკაში

მთელ კურს გავდივარ 1 თვე ნახ. ფასი მთელი კურსისა 10 მან. ნახვა 9—1 ს. 3—7 საათ. 1162 1—1

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

აწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—39

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (501—25—8

დავკარგე მოწმობა, მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსისაგან, თევდორე პეტრიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1161—1—1

დავკარგე პასპორტი № 1886 და მეტრიკული მოწმობა პოლიკარპე მიროლავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1158—1—1

დავკარგე უვადო პასპორტი გიორგი მელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1159—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ტფილისის მილიციის სამმართველოდგან და უმუშევრობის წიგნაკი მიცემული შრომის ბირჟის № 2 სექციიდან, ზაქარია კირილეს ძე ბაკურაძის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში საყოველთაოდ აცხადებს:

1) თანახმად ა. | კ. ფინსახკომის მიერ 1923 წ. 20 აპრილს დამტკიცებულ სახელმწიფო სარეწავი გადასახადის აკრეფის დროებითი წესებისა ა. | წ. 1-ლ სექტემბერს დამთავრდა რაიონების საგადასახადო კომისიებში სარეწაო საპროცენტო გადასახადის რაოდენობის გამონაგარიშება მოგებიდან, რომელიც უნდა გადაიხადონ სავაჭრო და სამრეწველო წარმოებებმა და პირად სარეწაო საქმიანობის პირებმა (მუხ. 75) ა. წ. ივნის-სექტემბრის საგადასახადო პერიოდის და გადასახადის ფურცლები გაიგზავნა მილიციაში გადამხდელებისათვის ჩასაბარებლად (მუხ. 88). თუ გადამხდელები არ მიიღებენ ასეთ ფურცლებს, იმათ უნდა გაიგონ დაწესებულ გადასახადის რაოდენობის შესახებ სათანადო ფინინსპექტორებთან წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით. ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, სარეწაო საპროცენტო გადასახადის გადამხდელთა შეუძლიანთ შეიტანონ რაიონის საგადასახადო კომისიაში საპასუხოები (მუხ 89). სარეწაო საპროცენტო გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი არა უგვიანეს ა. წ. 1-ლ ოქტომბრისა, რის შემდეგ გადასახადის ჯამზე, რომელიც ჩათვლილი იქნება ნარჩენათ, ერიცხება საურავი დაწესებულ რაოდენობისა (მუხ. 97 და განცხადება გაზეთ „კომუნისტ“-ის მე-155 №-ში საურავის რაოდენობის შესახებ).

2) მომავალ სამეურნეო წლის პირველ ნახევრისათვის 1923 წ. 1-ლ ოქტომბრიდან 1924 წლის 31 მარტამდე სარეწაო მოწმობები სავაჭრო და და სამრეწველო წარმოებათა შენახვისათვის და პირად სარეწაო საქმიანობის წარმოებისათვის (მუხ. 4 და განცხადება გაზეთ „კომუნისტ“-ის 118 და 130 №№-ში, რომლებშიაც დაბეჭდილია წარმოებათა და საქმიანობის სია) უნდა აღებულ იქნეს წინასწარ აღნიშნულ ნახევარ წლის (1-ლ ოქტომბერი) დასაწყისამდე, ა. წ. სექტემბრის თვის განმავლობაში, რესპუბლიკის ხაზინებში, წარმოებათა ადგილმდებარეობის ან პირად სარეწაო საქმიანობის წარმოების მიხედვით. ამ ვადის გასვლის შემდეგ დამნაშავენი ძირითადი სარეწაო გადასახადის წესების დარღვევისათვის იქნებიან დაჯარიმებულნი 98—103 მუხ. მუხ. დაწესებულ რაოდენობით. წარმოებათა მეპატრონენი და პირადი სარეწაო საქმიანობის პირნი, რომლებმაც უნდა გადაიხადონ დამატებითი სარეწაო გადასახადი, მოვალენი არიან 1924 წლის 1-ლ თებერვლისათვის შეიტანონ სათანადო საგადასახადო კომისიებში განცხადებები დაწესებულ ფორმით (მუხ. 78) წინა ნახევარ წლის ბრუნვის და მოგების ჯამის შესახებ.

3) თანახმად ა. | კ. ფინსახკომის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებული იყო „ზარია ვოსტოკა“ გაზეთის მე-196 №-ში სახელმწიფო ტრესტების, სინდიკატების, სააქციონერო და შერეულ საზოგადოებების, საკრედიტო დაწესებულებების და კოოპერატიული გაერთიანებათა საწარმოონი, რომლებიც წესდების ძალით ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ ანგარიშები თავიანთ ოპერაციების შესახებ ან გაუგზავნონ დასამტკიცებლად კუთვნილებისამებრ, უნდა წარადგინონ ამიერ-კავკასიის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს გადასახადთა განყოფილებაში დროებითი წესების მე-8 მუხლში ნაჩვენები ანგარიშები არა უგვიანეს 1923 წლის 1-ლ ოქტომბრისა. თუ აღნიშნულ დრომისათვის არ იქნება წარდგენილი ანგარიშები, ყველა ზევით ჩამოთვლილი საწარმოონი იქნებიან დაჯარიმებულნი დროებით წესების მე-14 მუხლით. აღნიშნული დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის შესახებ, ეხება ზევით ნაჩვენებ წარმოებებს, რომლებიც გამგეობა იმყოფება საქართველოს ფარგლებში და აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. და უცხოეთის ანგარიშვალდებულ წარმოებათა ყველა ფილიალებს, რომლების მთავარი კანტორები და სააგენტოები იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე.

ა. | კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ბ. ბიბინეიშვილი.

გადასახადთა განყოფილების მმართველის მოადგილე ბეზირგანიშვილი.

595 1—1.